გიორგი გელაძე

ირანის უკანასკნელი შაჰი

თბილისი

2009

UDC (უაკ) 929.731(55)+94(55)
გ – 297

© გიორგი გელაძე, 2009

ISBN 978-9941-0-1112-2

სარჩევი

შესავალი	5
პიროვნული პორტრეტი	7
ძალიზებული ნავთობი და მოსადეყის ფენომენი	16
რეგიონული პოლიტიკა	28
შაპის ტახტი და საზურგე	38
საშინაო პოლიტიკა 60-70 წწ.	45
შაჰისა და სამღვდელოების ურთიერთობა	56
დასასრულის დასაწყისი	68
გამოსაელის ძიებაში	79
ექსპერიმენტი სამხედროების მონაწილეობით	88
ბოლო პოლიტიკური მანევრი	98
ეპილოგი	108

შესავალი

ისტორია მარადიულობის ადვოკატია.
ისტორია ადამიანთა სიმტკიცის თუ გაჭირვების პირუთვნელი ჟამთააღმწერელია.
წარსულის ცოდნა ჩვენ ყოველთვის ხელს გვიწყობს აწმყოს უკეთ აღქმაში და მომავლის განჭვრეტაში.
სწორედ ეს გარემოება 'ირანის უკანასკნელი შაჰის' დაწერის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახდა. იმის გარდა, რომ ირანის მიმართ ჩემი ბუნებრივი ინტერესი მრავალსაუკუნოვან ქართულ-სპარსულ ურთიერთობებს უკავშირდება, სამი ათწლეულის განმავლობაში ამ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისადმი ყურადღებას მსოფლიოს მედიაც იჩენდა – ანტიმონარქიული სახალხო გამოსვლები, პოსტრევოლუციური რყევები, ერაყთან რვაწლიანი გამაჩაიაგებელი ომი თუ სახელისუფლო ცენტრებს შორის მძაფრი დაპირისპირება რეგიონის გარეთ ფართოდ შუქდებოდა. ამჟამად ყველაზე აქტუალურ საკითხად ირანის ბირთვული პროგრამა გადაიქცა, თუმცა წიგნში აღწერილი ამბები მონარქიის პერიოდს და კერძოდ მუჰამედ რეზა ფაჰლავის ზეობას მოიცავს.
დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ბევრი ქვეყანა ისეთი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, როდესაც მტკივნეული რეფორმები ამა თუ იმ ფორმით ეროვნული ან რელიგიური თვითმყოფადობის მგრძნობიარე თემას ეხებოდა. გავრცელებული სტერეოტიპის თანახმად, მოდერნიზაცია ავტომატურად ვესტერნიზაციას ნიშნავს, ანუ შუა აღმოსავლეთშიც ირანელმა, პაკისტანელმა ან ავღანელმა მატერიალური კეთილდღეობის სანაცვლოდ ტრადიციული წეს-ჩვეულებები დასავლური ღირებულებებით უნდა შეცვალოს, ჯინსის შარვალი ჩაიცვას და მეჩეთის მაგიერ ლუდხანას მიაშუროს. შაჰის მმართველობის დროს ირანმა შთამბეჭდავი სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი გა-

ნიცადა, საერთაშორისო არენაზეც შაჰმა საქვეყნო აღიარებას და თავბრუდამხვევ დიდებას მიაღწია, მაგრამ საკუთარ ხალხთან ურთიერთობის დარეგულირება მან ვერ შესძლო. მისი უუნარობა, ჩასწვდომოდა ირანელების მისწრაფებებს და მათი მეამბოხე პოტენციალის მასშტაბს, საბედისწერო აღმოჩნდა. წიგნში მოყვანილი ფაქტები იძლევა იმ მიზეზების გარკვევის მცდელობას, რომელმაც რევოლუციაში გადაზრდილი მწვავე პროტესტი გამოიწვია და შედეგად რეგიონის კლასიკური ტიპის ავტოკრატიულ მმართველობას ბოლო მოუღო.

ფაჰლავის მაგალითი გაკვეთილია განვითარებადი ქვეყნების ხელმძღვანელებისთვის: როდესაც მეთაური თავის ძალაუფლებას ხალხზე მაღლა დააყენებს, მან შესაძლოა ერთიც დაკარგოს და მეორეც.

მისი იმპერიული ბრწყინვალება შაჰინშაჰი მუჰამედ რეზა ფაჰლავი საკუთარ თავს სპარსეთის იმპერიის დამაარსებელს დიდ ქურუშ (კიროს) მეფეს ადარებდა და წარსული დიდების აღდგენაზე ოცნებობდა. ირანის სახელმწიფო სამ საკვანძო პრინციპზე უნდა დაფუძნებულიყო: ღმერთი, შაჰი და სამშობლო. ამ სამეულში ღმერთის გვერდით შაჰი შემთხვევით არ აღმოჩნდა. მონარქს, როგორც ღვთის მიერ კურთხეულ პიროვნებას, დედამიწაზე უზენაესის მითითებები უნდა შეესრულებინა. ამდენად, ხელისუფლება უბრალო მოკვდავებისათვის მხოლოდ მოწიწების და პატივისცემის ობიექტი უნდა ყოფილიყო. ამ კავშირის თეოლოგიური დასაბუთების გარდა, ფაჰლავები სპარსელი კლასიკოსი პოეტების შედევრებსაც იმოწმებდნენ. ფირდოუსის 'მეფეთა წიგნს' ანუ შაჰნამეს ამ მხრივ გამორჩეული ადგილი ეკავა. მე-11 საუკუნეში შექმნილ პოემაში მეფე სპარსელთა სიამაყისა და თვითმყოფადობის სიმბოლოდ განიხილება. მხოლოდ შაჰის ინსტიტუტთან არის დაკავშირებული ქვეყნის ბრწყინვალება, სვე-ბედი და უკვდავება. 'შაჰნამეზე' დაყრდნობით ცხრა საუკუნის შემდეგ მუჰამედ რეზა ფაჰლავი შემდეგ აზრს გამოთქვამდა:

> *'უცხოელი ვერ გაიგებს ირანისთვის მონარქიის მნიშვნელობას. ეს ჩვენი ცხოვრების გზა არის, რომლის გარეშე ჩვენ როგორც ქვეყანა ვერ ვიარსებებთ[1]'.*

სწორედ დიად წარსულთან განუყოფელი კავშირის გამო ატარებდა შაჰი ფაჰლავის გვარს, რომელიც პართიის სპარსულ სამეფოსთან და ძველსპარსულ ენასთან ასოცირდებოდა. ნებისმიერ შემთხვევაში ყველას უნდა სცოდნოდა, რომ ფაჰლავი ღმერთთან ხუთი წლის ასაკიდან მუდმივად კონტაქტში მყოფი, მისგან დალოცვილი და დამოძღვრილი ადამიანი იყო:

> *'ჩემთან არის სხვებისათვის უხილავი მისტიური ძალა, რომლისგანაც გზავნილებს ვიღებ.. ბევრს ამის არ სჯერა, მამაჩემსაც კი არ სჯეროდა[2]'.*

მამა-ფაჰლავის მართლაც დიდად არც მისტიციზმის სჯეროდა და არც შამანობის. მაზანდარანის თიხით ნაშენებ სახლში დაბადებული გლეხის შვილი ფორტუნამ სპარსეთის შაჰად და უზარმაზარი დოლათის პატრონად აქცია, მაგრამ მდიდრულ სამეფო სასახლეშიც მას პირდაპირ იატაკზე ეძინა. სტანდარტული გაგებით რეზა გაუნათლებელი კაცი იყო, დაბადებით თანდაყოლილი შინაგანი ინტელექტით კი უამრავ ნასწავლს

სჯობდა. მისი სიხისტე და სიფიცხე ლეგენდარულ მასშტაბებს აღწევდა. როდესაც აცნობეს, რომ რელიგიურ ქალაქ ყუმში სასულიერო პირმა ის აუგად მოიხსენია, იქ თავად ჩავიდა, მოლა მოძებნა და ჯოხით სამაგალითოდ სცემა. ასევე პირადად ფიზიკურად გაუსწორდა რეზა იმ ახუნდებს, რომლებმაც ის დაგმეს ყუმში მდებარე ფატიმას მეჩეთში ფეხსაცმლის გაუხდელად შესვლის გამო. სხვაგან მან მეტი რკინისკაცობა გამოავლინა. მეშჰედში სახელისუფლო პოლიტიკის მიმართ უკმაყოფილო ღვთისმსახურებს საარტილერიო ჭურვებით დაერია და მეჩეთი მინარეთიანად მიწასთან გაასწორა[3]. თავისი მმართველობის პერიოდში შაჰმა სხვა საზოგადოებრივ ფენასთან შედარებით ყველაზე მეტად სამღვდელოება დააზარალა: მიწები ჩამოართვა, უფლებები წაართვა, გავლენა შეუკვეცა. თუმცა თავად რეზა ღრმად მორწმუნე იყო, მისი მემკვიდრის აზრით, ზედმეტად მორწმუნეც კი:

ღმერთზე ისე ფიქრობდა, თითქოს სანავთობო ჭაბურღილის მთავარი ინჟინერიც ის ყოფილიყო[4]:

მუჰამედ რეზას ალბათ კიდევ დიდხანს მოუწევდა მამის ჩრდილქვეშ თავისი ყმაწვილკაცური ცხოვრებით ტკბობა. მაგრამ მსოფლიო ომმა უდარდელი პრინცი ნაადრევად აქცია უცხოელთა მორჩილებაში მყოფ გვირგვინოსნად. მათგან უცერემონიოდ გაძევებული მამა მუჰამედ რეზამ უკვე ვერასოდეს ნახა.

თავდაპირველად გარემოცვაში ახალგაზრდა შაჰი არცკი ტოვებდა ძალაუფლების მოყვარული პიროვნების შთაბეჭდილებას. მეგობართა წრეში ნაღვლიანად ის საზოგადოებრივ სფეროში ისეთ სამსახურზე ოცნებობდა, რომელიც გადაწყვეტილების მიღების ტვირთისგან გაათავისუფლებდა, ხოლო ფულს მხოლოდ თავისი სპორტული გატაცებების დასაკმაყოფილებლად დახარჯავდა. სამაგალითო ათლეტური მონაცემების მქონე მუჰამედ რეზა შესანიშნავი მოთხილამურე იყო. რამდენადაც ირანში შესაბამისი ინფრასტრუქტურა განვითარებული არ იყო, მან შვეიცარიის სამთო კურორტ სენტ-მორიზში მამული შეიძინა. იქვე თაღლა მოაშენებინა, სადაც დიდი რაოდენობით ცხენები პყავდა. ჯირითობაც ფაპლავის დიდი გატაცება იყო ისევე, როგორც სპორტული მანქანების სწრაფი მართვა[5]. ფარაჰ დიბას გაცნობის შემდეგ წყვილი მანქანით გასასეირნებლად ქალაქგარეთ გადიოდა, იქ კი პირადი დაცვის სამსახურის თანამშრომლებს დიდი ჯაფა ადგათ, რათა შაჰის მანქანას ძალიან არ ჩამორჩენილიყვნენ.

ფაჰლავის ყველაზე გამორჩეულ სიამოვნებას თეითმფრინავის მართვა ანიჭებდა. ამა თუ იმ ადგილს წრიულად შემოუვლიდა ხოლმე, თვალწარმტაცი ხედებით ტკბებოდა ან ასაშენებელ კომპლექსებს ჰაერიდან დაჰყურებდა. ერთხანს ადგილობრივ ჩინოსნებს აშინებდა 'ციდან მოფრენილი' მონარქის უეცარი გამოჩენის პერსპექტივა, თუმცა ეს გატაცება უფრო დროის სასიამოვნოდ გატარებასთან იყო დაკავშირებული, ვიდრე სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებასთან. თეითმფრინავისადმი ლტოლვა შაჰს ცხოვრების ბოლომდე გაჰყვა, თუმცა ახალგაზრდობის დროინდელი კომფორტული ოთხადგილიანი მორანსოლნიეს ნაცვლად საბოლოო გაფრენა 59 წლის ასაკში მან ბოინგით განახორციელა.

ამ მოგზაურობის დროს შაჰს თანამეცხედრე ფარაჰი ახლდა. დედოფალი წარჩინებული ოჯახიდან იყო, რომლის წევრები განათლებას საზღვარგარეთ იღებდნენ. ბაბუა თბილისში სპარსეთის კონსულის თანამდებობაზე მუშაობდა, მამა სანკტ-პეტერბურგში სწავლობდა, ხოლო ფარაჰი საფრანგეთში არქიტექტურის სფეროში იღრმავებდა ცოდნას. მათი პირველი შეხვედრა სწორედ პარიზში შაჰის ვიზიტის დროს საელჩოში გამართულ მიღებაზე მოხდა. მუჰამედ რეზა უკვე ორგზის განქორწინებული იყო. პირველი ქორწინება ეგვიპტის მეფის ფუად I-ის ქალიშვილ ფაუზიასთან ხანმოკლე აღმოჩნდა. მეორე მეუღლე შვიდი წლის მანძილზე სორაია ესფანდიარი ბახთიარი იყო, რომელთან განშორების მიზეზად ტახტის მემკვიდრის არყოლა დასახელდა. მომდევნო წელს შაჰმა უკვე ფარაჰზე იქორწინა, რომლისგანაც ოთხი შვილი შეეძინა.

ფარაჰმა სახელი გაითქვა როგორც მოაზროვნემ, სხვადასხვა სოციალურ პროექტებზე მზრუნველმა და კულტურის მოამაგემ. მკაცრი აბსოლუტური მონარქიის პირობებში ის ლიბერალური ფასეულობების მომხრე მოჩანდა, რაც რეჟიმის კონსერვატიულ ელემენტებს აღიზიანებდა, ხოლო ინტელიგენციას თუ სტუდენტობას ცელილებების იმედს უღვივებდა. ფარაჰი მხოლოდ შაჰის მეუღლე არ იყო. მან სპარსეთის მონარქიული ტრადიციის საწინააღმდეგოდ შაჰის გარდაცვალების შემთხვევაში კონსტიტუციურად მიიღო ქვეყნის მართვის უფლება მანამ, ვიდრე უფლისწული ზრდასრულ ასაკს მიაღწევდა. ამასთან, მეფის კორონაციის ცერემონიალზე დედოფლის კურთხევაც მოხდა. წინამორბედი დედოფლებისგან განსხვავებით, რომლებიც არაბულენოვან მალაქეს ტიტულს ატარებდნენ, ფარაჰს სპარსული ტიტული შაჰბანუ მიენიჭა. ფარაჰი მოგვიანებით მართლაც აქ-

ტიურად მონაწილეობდა ქვეყნის მართვა-გამგებლობაში. უფროს ვაჟ რეზასთან ერთად კვირაში რამდენჯერმე პრემიერ-მინისტრს ხვდებოდა, ცალკეულ ვეზირებს იღებდა, აგრეთვე, ჯარის სახეობათა სარდლებს, უწყებათა ხელმძღვანელებს, მეჯლისის წევრებს ეთათბირებოდა[6].

თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მუჰამედ რეზა ერთობ მწყრალად უყურებდა ქალი-ხელმწიფის მოდელს:

'როცა ძალაუფლება ქალს უპყრია, მამაკაცთან შედარებით ის განუზომლად სასტიკი და სისხლისმსმელია[7]'.

შაჰი, რომელიც გამორჩეულად ამაყობდა ქალთა ემანსიპაციისკენ მიმართული თავისი გადაწყვეტილებებით, ამავდროულად, ხაზს უსვამდა მამაკაცის უდავო უპირატესობას არა მხოლოდ სამეფოს მართვის საქმეებში, არამედ ზოგადად ცხოვრებაში. ის საცინლად იგდებდა სქესთა შორის თანასწორობისათვის მებრძოლ ფემინისტურ მოძრაობას, აღიარებდა მამაკაცის ცხოვრებაში ქალის მნიშვნელოვან როლს მხოლოდ მისი სილამაზისა და სათნოობის შემთხვევაში და სარკაზმით საუბრობდა ქალის შემოქმედებით პოტენციალზე:

'თქვენ არასოდეს გყოლიათ მიქელანჯელო ან ბახი, ისტორიას არ ახსოვს თუნდაც გამოჩენილი ქალი-მზარეული, თქვენ არაფერი შეგიქმნიათ[8]'.

ამ და სხვა მოურიდებელი სენტენციების მიღმა შაჰი მყარად სარგებლობდა მექალთანის რეპუტაციით. ვინაიდან ის არაფრით ჩამოუვარდებოდა ავღანელ მეფე ზაჰირს, რომლისთვისაც ქაბულის ქუჩებში და ინსტიტუტების სიახლოვეს მზეთუნახავებს შავი ფერის საარაკო კადილაკით ეძებდნენ, ფაჰლავი თავის რჩეულებს ნიავარანის სასახლის გვერდითი ჭიშკრიდან იღებდა და უკან ლაბრადორის ლეკვით დასაჩუქრებულებს უშვებდა[9]. მას ძალიან ახარებდა ფავორიტი ქალებისგან პირადი ბარათების მიღება, მაგრამ მათ არასოდეს პასუხობდა. ჩვეულებს შაჰმა არც დეკნილობაში სასიკვდილოდ ავადმყოფმა უღალატა. როცა პანამაში ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ფაჰლავი მცირე ხნით გაუჩინარდა, მისი გარემოცვა დედოფალ ფარაჰის ჩათელით პოლიტიკური გატაცების პანიკურმა შიშმა მოიცვა. თუმცა აღმოჩნდა, რომ ის არა ხომეინის მომხრეთა ჯგუფმა, არამედ მხოლოდ გართობის სურვილმა გაიტაცა[10]. იმის მიუხედავად, რომ მამის ბოლო სიტყვები – 'შვილო, ძლიერი იყავი და ნურაფრის გეშინია[11]' – მუჰამედ რეზას სამუდამოდ დაამახსოვრდა, სუსტი სქესის მიმართ თავადაც სუსტი აღმოჩნდა: ქალებს

ბოროტებად მიიჩნევდა და ამ ბოროტებისადმი ლტოლვა საკუთარ თავში ვერ დასძლია[12].
პირად ცხოვრებაში შაჰი ნაღვლიანი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. პირველი შეხვედრის დროს თვით ფარაჰმაც შენიშნა მისი მოწყენილი თვალები. ზოგიერთ პიროვნებას მასზე ემოციებისგან თავისუფალი ადამიანის წარმოდგენაც კი ექმნებოდა. არც ტახტის მემკვიდრეს ანებივრებდა სითბოთი ან ყურადღებით. პრემიერ ალამის თქმით, კუნძულ ქიშზე მდებარე რეზიდენციაში ორი კვირის მანძილზე მამა-შვილმა ერთად მხოლოდ ნახევარი საათი გაატარა.
ჟურნალისტებთან პირისპირ ჯდომისას შაჰი კეთილგანწყობილი და უშუალო იყო, ხანდახან უხერხულად იღიმებოდა, ნელა ლაპარაკობდა, თითქოს საჭირო სიტყვებს ეძებდა. წინასწარ დაზეპირებული გამოთქმები არ ახასიათებდა. თამამი რეპორტიორები სიტყვასაც კი აწყვეტინებდნენ და მის ფრაზებში ჩაძიებას ცდილობდნენ. ინგლისურ ენაზე თარჯიმნის გარეშე თავისუფლად საუბრობდა, თუმცა საგრძნობი აქცენტი ჰქონდა. კურიოზებიც ახლდა. მაგალითად, ერთ-ერთ საერთაშორისო ორგანიზაციას ქმედითუუნარო (იმპოტენტ) უწოდა, რაზეც მოსაუბრემ უმალ დაუდასტურა, - მართალს ბრძანებთ, ის ნამდვილად მნიშვნელოვანი (იმპორტანტ) ორგანიზაციაა[13]. იმ დროს, როცა თავის დაქვემდებარებულებთან მკაცრი იყო და სამეფო კარის პროტოკოლის ნორმების საფუძველზე ურთიერთობდა, ჟურნალისტებისგან წინასწარ შედგენილი კითხვების წერილობით წარდგენას ან ტექსტის შემდგომ გაცნობას არ ითხოვდა.
მას უყვარდა წიგნების კითხვა. ბოლოს, როცა ნაუცბათევად დატოვებული სასახლე ჟურნალისტებმა მოინახულეს, მისი ლიტერატურული გემოვნებაც ცნობილი გახდა. თავისუფალ დროს ფაჰლავი ეტყობა ვოლტერის, ფლობერის, შექსპირისა და პლუტარქეს ნაშრომებს ეცნობოდა, პოლიტიკური მოღვაწეებიდან კი გებელსით, ჩერჩილით, განდით და დე გოლით ინტერესდებოდა. თუმცა მას განსაკუთრებით საკუთარ თავზე დაწერილი პანეგირიკული სტილის წიგნების და სტატიების კითხვა ხიბლავდა. საზღვარგარეთ თავის რეპუტაციაზე ზრუნავდა და ამერიკულ და ბრიტანულ პრესაში ხშირად მისი ადმინისტრაციისგან მოსყიდული ავტორების მიერ დაწერილ ნაწარმოებებს რეგულარულად ეცნობოდა. სხვადასხვა გამოფენებზე ორგანიზებულ სამეფო დინასტიის ფოტოალბომებსაც დიდხანს ათვალიერებდა ხოლმე. ასევე დიდ სიამოვნებას ანიჭებდა საზეიმო ცერემონიალზე საკუთარი ძეგლისთვის ფარდის ახდა.

რეგიონის სხვა ქვეყნების მსგავსად, ირანიც თავისი მმართველის ძეგლებით და პორტრეტებით იყო მოფენილი. ყველგან, დიდი თუ მცირე ზომის ქალაქში ქუჩა, სკვერი, მოედანი, სკოლა, საავადმყოფო თუ ხიდი მის სახელს ატარებდა. კინოთეატრებში ფილმების დაწყების წინ იმპერიული ჰიმნის თანხლებით შაჰის შესახებ კადრების ჩვენება ხდებოდა. პიროვნების კულტის დანერგვა აღმოსავლური ელემენტების შერევით მიმდინარეობდა. რამდენადაც პროვინციებში ბევრგან გრუნტოვანი გზა იყო, ხოლო შაჰისადმი მადლიერების გამოხატვა ფეხსაცმელზე კოცნით გამოიხატებოდა, ირანელებს პირდაპირი მნიშვნელობით საკუთარი ტუნებით უხდებოდათ ფაჰლავის ფეხსაცმლიდან მტვრის მოწმენდა.

ადგილობრივი მლიქვნელი ჩინოსნების ფანტაზია ზოგჯერ უსაზღვრო იყო. ერთი პროვინციის ხელმძღვანელმა მიზანშეუწონლად მიიჩნია სოფელში ახლადაშენებული საშოგადოებრივი აბანოსთვის შაჰის სახელის დარქმევა და თვით დედოფლისგან თანხმობის მიღების შემდეგ სხვა სახელის მინიჭების განკარგულება გასცა. მეორე მოხელემ ეს ფაქტი შაჰისადმი გამოვლენილი უპატიოსცემულობით ახსნა, საჩივარი დაწერა და გუბერნატორის პიროვნებით უშიშროების სამსახური დააინტერესა[14].

ქუჩებში, შენობის ფასადებიდან და ცხადია თავად შენობების კაბინეტებიდან ფაჰლავი იმზირებოდა. თუმცა მხოლოდ მზერა საკმარისი არ იყო. შაჰი ხშირად მიმართავდა თანამემამულეებს, მაგრამ მის აზრებს, მის გეგმებს, მის ცხოვრებისეულ ფილოსოფიას ხალხი წიგნების სახით უნდა გასცნობოდა. პირველ წიგნს, რომელიც ამავდროულად უცხოელთათვის საზღვარგარეთ გამოიცა, 'ჩემი ქვეყნის სამსახურში' დაერქვა. მასში საკმაო ადგილი უკავია საუბარს მონარქიის არსზე, ახსნილია წინა ათწლეულებში მოპოვებული გამარჯვებებისა და განცდილი მარცხის მიზეზები, ლაიტმოტივად კი ხალხისა და შაჰის ურყევი კავშირის იდეა გასდევს. ერთპიროვნული მმართველობის გაძლიერებისა და ქვეყნის განვითარების ახალი პერსპექტივის გაჩენასთან ერთად ფაჰლავიმ მეორე წიგნი გამოაქვეყნდა. მისი 'დიადი ცივილიზაციისკენ' სწორედ ირანის სწრაფ მოდერნიზაციას და წამყვანი ქვეყნების კოპორტაში შესვლას გულისხმობდა.

შაჰი ამ პერიოდისთვის უკვე ახალი ტიტულით სარგებლობდა. როგორც 'არიამეჰრს' ანუ არიელთა სინათლეს, ფაჰლავის თანამემამულეებზე მანათობელი ეფექტი უნდა მოეხდინა. ვიდრე

ქვეყნის განვითარება წარმატებით მიმდინარეობდა, შაჰი ირანელთა კაბადონზე მართლაც ბრწყინავდა. ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე ირანისთვის ხელსაყრელი ეკონომიკური გარემო მან საკუთარ დამსახურებად მიიჩნია. თვითკმაყოფილი მონარქი უცხოელებსაც კი დამრიგებლურ გზავნილებს უთელიდა.

შაჰი გარეგნულ იერს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ძირითადად იმპერიული არმიის მთავარსარდლისთვის შესაფერის საზეიმო სამხედრო ფორმას ატარებდა. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სალივანი თავის მემუარებში შაჰის პორტრეტის ერთ საყურადღებო დეტალს იხსენებს: ის ერთობლივ ირანულ-ამერიკულ სამხედრო სწავლებებზე იყო მიწვეული, სადაც ღონისძიების წინ შაჰს განმარტოებულ ოთახში შეხვდა. თბილი და გულახდილი საუბარი მანამ გაგრძელდა, ვიდრე ადიუტანტმა მას წარმოდგენის დაწყების შესახებ არ ამცნო:

> *'მომლიმარი მასპინძლიდან ის უცბად რკინისებურ აეტოკრატად გადაიქცა. ტანსაცმელი და მზის სათვალე მოირგო, მკერდი წინ გასწია, ნიკაპი და ტუჩები გაისწორა. გარეთ გასასვლელი კარი მან მხოლოდ ამის შემდეგ გააღო[16]'.*

დასავლეთში ირანზე მომუშავე ზოგ პიროვნებას ეჭვი გაუჩნდა, რომ მონარქს ნარცისიზმი შეეყარა, სხვა ვერსიით კი ის განდიდების მანიამ შეიპყრო. თუმცა ხანმოკლე აღმასვლის შემდეგ დაცემაც მალე დაიწყო. მონარქს განვითარებადი მძიმე ავადმყოფობა დაუდგინდა, რაც დროში დაემთხვა ქვეყანაში ეკონომიკურ დაღმასვლას და საერთო ვითარების გაუარესებას. მისი განწყობაც შესაბამისად შეიცვალა. რისხვიანი და პირქუში არიამეჰრი ახლა დაბნეულ ადამიანად გადაიქცა, დამაჯერებელი და მამხილებელი რიტორიკა საბოდიშო-შემრიგებლური ტონით ჩაენაცვლა. მტრების საამებლად მან საკუთარი რამდენიმე უერთგულესი თანამდებობის პირი სატუსაღოდ გაიმეტა, მაგრამ ესეც ამაო აღმოჩნდა: მტრები თვით იმპერიული ხელისუფლების გულს – ფარშევანგის ტახტს უმიზნებდნენ. შაჰი ერთბაშად ფიზიკურად დაჭანა, ასაკი შეეტყო, დეპრესიის ზღვარსაც მიუახლოვდა. აშშ-ს სენატის ერთ მაღალჩინოსანს სადილზე უმასპინძლა, მაგრამ შეხვედრა მხოლოდ შემაძრწუნებელი სცენით აღინიშნა: შაჰი საჭმელს არც გაეკარა, დუმდა და მუდმივად ჭერს შესცქეროდა[17]. დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ტახტის შენარჩუნების იმედები თანდათან ეფემერული ხდებოდა. კატასტროფამდე სამი თვით ადრე ხალხისადმი სატელევიზიო

მიმართულაში მან საკუთარ თავს მოკრძალებულად ფადიშაჰიც კი უწოდა. გარემოცვა შეეთხელდა, საზღვარგარეთელი მეგობრები შემოეფანტნენ, მათ შორის ისინიც, ვინც მცირე ხნით ადრე ლექსიკონში არსებულ ყველაზე საქებარ სიტყვებს არ იშურებდნენ მისთვის. ვერც ქმედით დახმარებას ელირსა და ვერც თანაგრძნობას. უცხო ქვეყნების ჟურნალისტებს ჯერ კიდევ მასპინძლობდა, შესაძლოა იმ იმედით, რომ მათგან მოისმენდა რაიმე სასურველს. მაგრამ მათ წინაშეც არანაკლებ საბრალო იყო. ჟურნალ 'თაიმის' მიმომხილველის კითხვას მისი ყველაზე სერიოზული შეცდომის შესახებ მოკლედ მიუგო: 'ის, რომ საერთოდ მოვევლინე ამქვეყნად[18]'.
ცხადი იყო, რომ შაჰი უკვე აგონიაში იმყოფებოდა და ფინიშამდე არცთუ ბევრი დრო ჰქონდა დარჩენილი.
არიელთა სინათლე საბოლოოდ უსახელოდ და ტრაგიკულად ჩაქრა.

[1] სანდრა მაქეი, 'ირანელები', 1996, გვ.254
[2] 'ჩიკაგო თრიბუნი', 1973 წლის 30 დეკემბერი
[3] რიშარდ კაპუშჩინსკი, 'შაჰინშაჰი', 1982
[4] ფარაჰ ფაჰლავი, 'მარადიული სიყვარული', 2004, გვ.124
[5] ერთ დღეს შაჰი ცხენიდან ჩამოვარდა. ის ფაქტი, რომ დაზიანებები არ მიიღო, მან ზებუნებრივ უხილავ ძალას მიაწერა, რომელმაც მიწაზე დაცემამდე თითქოს ის ხელში დაიჭირა.
მუჰამედ რეზა ფაჰლავი, 'ჩემი ქვეყნის სამსახურში', 1961
[6] 'მარადიული სიყვარული', გვ.262
[7] აფშინ აფშარი, 'შაჰი და ხალხი', 2005
[8] ორიანა ფალაჩი, 'ინტერვიუ ისტორიასთან', 1976, გვ.270
[9] რობერტ ფისკი, 'ახლო აღმოსავლეთის დაპყრობა', 2006, გვ.141
[10] 'შაჰი და ხალხი'
[11] 'ჩემი ქვეყნის სამსახურში'
გადასახლებაში მყოფი რეზა შაჰი 1944 წელს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გარდაიცვალა. ის თავდაპირველად კაიროს ალ-რიფაის მეჩეთში დაკრძალეს, საიდანაც ექვსი წლის შემდეგ თეირანის გარეუბან რეიში მისთვის საგანგებოდ აგებულ მაუზოლეუმში გადაასვენეს. 1979 წელს ახალმა ხელისუფლებამ მაუზოლეუმი დინამიტებით და ბულდოზერებით მიწასთან გაასწორა, ბედის ირონიით კი სწორედ ალ-რიფაი იქცა კაიროში გარდაცვლილი მუჰამედ რეზას სამუდამო განსასვენებლად.
[12] ციტატები შაჰის ინტერვიუდან: 'განა მართებულია, რომ მეფემ ანუ სპარსეთის იმპერატორმა დრო დახარჯოს ისეთ საკითხებზე სასაუბ-

როდ, როგორიცაა ქალები და ცოლები?. [მამაკაცთან] თქვენ თანასწორნი ხართ კანონის წინაშე, მაგრამ, უკაცრავად გამოთქმისთვის, არა შესაძლებლობებით... თქვენ მოღალატეები ხართ, თქვენ ბოროტება ხართ, თქვენ ყველანი!'
'ინტერვიუ ისტორიასთან', გვ.270
[13] უილიამ სალივანი, 'მისია ირანში', 1981
[14] 'მარადიული სიყვარული', გვ.237
[15] არიული რასის სიწმინდის თეორიაზე დაფუძნებულ ნაციონალ-სოციალისტურ გერმანიაში ირანელებს ოფიციალურად სწორედ არიელები ეწოდებოდათ და მათ, როგორც პრივილეგიების მქონე რასის წარმომადგენლებს, გერმანელებთან ქორწინების უფლება გააჩნდათ.
[16] 'მისია ირანში'
[17] იქვე, გვ.191
[18] ს.აგაევი, 'რესპუბლიკის დაბადება', 1984, გვ. 37

1979 წლის 5 მარტს თეირანის მახლობლად მდებარე სოფელ აპმადაბადში მილიონამდე ადამიანმა მოიყარა თავი. ირანელები იმ პიროვნებისადმი პატივისცემის გამოსახატავად მივიდნენ, რომლის სახელის დადებითად ხსენება ოცდახუთი წლის მანძილზე ტაბუდადებული იყო. აღმოჩნდა, რომ უბრალო მოქალაქეების გულში მუჰამედ მოსადეყს ისეთი ღრმა კვალი დაეტოვებინა, რომლის წაშლა დიდი მცდელობის მიუხედავად ხელისუფლებამ ვერ შესძლო. განსხვავებული პოლიტიკური მოსაზრებების მქონე ადამიანები ღვაწლმოსილი პიროვნების საფლავთან სწორედ იმ მოვლენებს იხსენებდნენ, რომელმაც მოსადეყი ესოდენ გამორჩეული სიმბოლური დატვირთვის მქონე ფიგურად აქცია...

მეორე მსოფლიო ომის დასრულების ექო დედამიწაზე ძლიერად გაისმა. ნაციზმის განადგურებამ მხოლოდ ხელი შეუწყო ბევრ ქვეყანაში განმათავისუფლებელი ბრძოლის გაშლას. ერთდროულად რამდენიმე კოლონიურ სამფლობელოში დაწყებულმა წინააღმდეგობის კამპანიამ სასტიკ ომში გამარჯვებული ბრიტანეთის იმპერიაც კი შეატორტმანა. გამონაკლისი არც ირანი იყო, სადაც ინგლისელთა მასიური შესვლა მე-XIX საუკუნეში დაიწყო. ავღანელებისგან განსხვავებით, სპარსელი ყაჯარების სუსტმა დინასტიამ ქვეყნის დაცვა ვერ უზრუნველყო და მოკლე დროში ლონდონს გადამწყვეტი ეკონომიკური და პოლიტიკური ბერკეტები ჩაუგდო ხელთ. რეგიონის კოლონიური ექსპლუატაციის გარდა, ბრიტანეთს რუსეთთან იმპერიული დაპირისპირების ფონზე უკვე დაპყრობილ ინდოეთში სტრატეგიული პოზიციების გამყარება აინტერესებდა. ირანში მან ხელში ჩაიგდო მონოპოლია ქვანახშირის, თამბაქოს, რკინიგზის და ტელეგრაფის სფეროში, ასევე მოიპოვა ნავთობის ძიების უფლება, რითაც შესძლო სპარსეთის შიდადინასტიური დაპირისპირებით მანიპულირება და სასურველი სამეფო კანდიდატების ფავორიტობა. ამიტომ პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამდე სუსტი ცენტრალური ხელისუფლების არსებობით ინგლისი დაინტერესებული იყო. მაგრამ რუსეთში ბოლშევიზმის წარმატებამ თავისი გამოძახილი ჰპოვა სპარსეთის მემარცხენე დაჯგუფებებში, რომლებმაც 1920 წელს კასპიის ზღვის პირას გილანის საბჭოთა რესპუბლიკა გამოაცხადეს.

ახლა ინგლისმა თეირანში ქმედითი მთავრობის ჩამოყალიბების აუცილებლობა დაინახა, რომელიც თავის ხალხს რუსული ექ-

სპანსიის წინააღმდეგ დარაზმავდა. ბრიტანელთა უშუალო მონაწილეობით სპარსეთის არმიის ელიტური კაზაკთა ბრიგადის მეთაურმა პოლკოვნიკმა რეზა ფაჰლავიმ 1921 წლის თებერვალში სამხედრო გადატრიალება განახორციელა, შემდეგ ყაჯართა დინასტია გააუქმა და ფაჰლავთა მმართველობას დაუდო სათავე. ქემალ ათა-თურქის მიბაძვით რეზა ცეცხლითა და მახვილით შეუდგა ადმინისტრაციულ, საგანმანათლებლო, სამხედრო და სოციალურ რეფორმებს. მან სპარსეთს თვით სახელი შეუცვალა და ირანი ('არიელთა მიწა') დაარქვა, ძველი არისტოკრატიის მიწები მიისაკუთრა, ჩადრის ტარება აკრძალა, ოპონენტები დახოცა, დააპატიმრა ან ქვეყნიდან გააძევა და დესპოტური მართვის სისტემა განამტკიცა.

ახალმა მსოფლიო ომმა ვითარება კვლავ თავდაყირა დააყენა. რეზამ ამ დროისთვის ბრიტანელთა პოლიტიკური გავლენისგან დისტანცირება შესძლო. მან ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, რაც მეომარი მხარეების აგენტურის აქტიურ საქმიანობას ერთმანეთის წინააღმდეგ არ გამორიცხავდა. ერაყში 1941 წლის აპრილის პროგერმანული გადატრიალების შემდეგ ინგლისისათვის ირანის ლოიალურობის საკითხი დიდმნიშვნელოვანი გახდა, რადგან რუსეთთან დამაკავშირებელი პირდაპირი გზა ევროპაში ვერმახტის ჯარებმა გადაკეტეს, ხოლო შეიარაღებისა და ეკონომიკური დახმარების მიწოდების ყველაზე ოპტიმალური სატრანსპორტო მარშრუტი სწორედ ირანული დერეფანი უნდა გამხდარიყო. 1941 წლის 23 აგვისტოს მოსკოვმა და ლონდონმა ირანის წინააღმდეგ ერთობლივი მასირებული სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო შეტევა დაიწყეს. ხუთ დღეში შაჰმა კაპიტულაცია გამოაცხადა. ამ თავდასხმით კრემლმა ირანთან მეგობრობის შესახებ 1921 წლის ხელშეკრულების VI მუხლი დაარღვია, ხოლო ბრიტანეთმა ევროპის კონტინენტზე გერმანიასთან ომში განცდილი წარუმატებელი სერიების შემდეგ სამხედრო კამპანიის ძლევამოსილად დასრულება მიითვალა. პატიმრობაში აყვანილმა რეზამ 16 სექტემბერს ტახტიდან გადადგომა გამოაცხადა:

> *'მე არ ვიქნები დაპყრობილი ქვეყნის ნომინალური მმართველი დაბალი რანგის ინგლისელი ან რუსი ოფიცრის დიქტატის ქვეშ'.*

მოკავშირეები რამდენიმე დღის მანძილზე ყოყმანობდნენ მისი შემცველელის თაობაზე და ბოლოს შეთანხმდნენ რეზას 11 შვილისგან უფროსი ვაჟის 21 წლის მუჰამედ რეზას კანდიდატურაზე იმ პირობით, რომ ის უძალაუფლებო დამკვირვებელი იქნე-

ბოდა[2]. მომდევნო ოთხი წლის მანძილზე ისინი მართლაც ქვეყნის სრული ბატონ-პატრონნი იყვნენ მაშინ, როცა ფაჰლავის მხოლოდ ცერემონიული უფლებები გააჩნდა. ირანის დერეფანს უინსტონ ჩერჩილმა გამარჯვების ხიდი უწოდა, ქვეყანას კი პრობლემები მხოლოდ მოემატა. ხელისუფლების სისუსტით შეიარაღებული დაჯგუფებები სარგებლობდნენ. მთავარ მაგისტრალებზე გადაადგილება საშიში იყო. თავს ესხმოდნენ არა მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობას, არამედ მოკავშირეთა კოლონებსაც. თეირანში აშშ-ს ელჩის საჩივარზე შაჰმა გულახდილად განაცხადა, რომ არაფრის გაკეთება არ შეეძლო[3].

ომის დასრულების შემდეგ საფრთხე თვით ირანის ერთიანობას დაემუქრა. წითელმა არმიამ ქვეყნის დატოვება მანამდე გააჭიანურა, ვიდრე მის ჩრდილქვეშ მარქსისტულმა ჯგუფებმა ქურთისტანსა და აზერბაიჯანში ავტონომია არ გამოაცხადეს. ხანგრძლივი დაპირისპირება საჯარისო ოპერაციით დამთავრდა, რითაც რეგიონებზე თეირანის იურისდიქცია აღდგა. მაგრამ ამ გამოცდილებიდან გამომდინარე კრემლიდან მომდინარე ხრიკების შიში ირანში მყარად დამკვიდრდა, რამაც მის საგარეო-პოლიტიკურ ორიენტირზე დიდი გავლენა შეასრულა.

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში აზვირთებულმა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ზეგავლენა ირანზეც მოახდინა, რომლის სამხედრო დეოკუპაციამ მის საზოგადოებაში რეალური დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილი გაზარდა. განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ქვეყნის მთავარი საუნჯე ნავთობი მოექცა, რომლის წარმოების მონოპოლიური უფლება 'ანგლო-ირანულ სანავთობო კომპანიას' გააჩნდა. ირანის ნავთობის მარაგების აღმოჩენასთან ერთად ეს ინგლისური კომპანია 1908 წელს შეიქმნა, ამასთან, მისი წილის 51%-ს ბრიტანეთის მთავრობა ფლობდა. ირანის ბიუჯეტში მთელი სანავთობო შემოსავლების 16% მიდიოდა, რაც თანდათან უკმაყოფილებას ზრდიდა. ირანელებს ეს ციფრი მიზერულად მიაჩნდათ და ერთ-ერთ არგუმენტად საუდის არაბეთი მოჰყავდათ, რომელსაც მსგავსი სახის კონტრაქტის საფუძველზე არაბულ-ამერიკული კომპანია 'არამკო'-სგან 50% ერგებოდა. ბრიტანელები მოქმედი შეთანხმების გადახედვაზე უარს აცხადებდნენ, ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები კი ხელისუფლებისგან აქტიურ მოქმედებებს მოითხოვდნენ.

მუჰამედ მოსადეყმა ჯერ კიდევ ყაჯართა მმართველობისას გაითქვა სახელი. შვეიცარიაში ნასწავლ სამართალმცოდნეს რამდენიმე მნიშვნელოვანი თანამდებობა ეკავა: იყო ფინანსთა მი-

ნისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, აზერბაიჯანის პროვინციის გუბერნატორი, აგრეთვე, პარლამენტის წევრი. მეჯლისის ტრიბუნიდან მან რეზა შაჰს უზურპატორი უძახა, რისთვისაც ფაშლავიმ ის მცირე ხნით დააპატიმრა და იძულებით გააჩუმა. 1944 წელს მოსადეყმა მკაცრად დაგმო საბჭოეთთან კაბალური სანავთობო შეთანხმების პროექტი და ამავდროულად კამპანია ბრიტანელების წინააღმდეგ გააჩაღა. მან პოსეინ ფათემისა და ქარიმ სანჯაბისთან ერთად 'ეროვნული ფრონტი' ჩამოაყალიბა, რომელიც ბრძოლის ავანგარდში მოექცა. ოპოზიცია ნავთობის სრული ნაციონალიზაციის მოთხოვნით გამოვიდა, რასაც ხელისუფლება იმ არგუმენტით უარყოფდა, რომ ირანი ვერ შესძლებდა მრეწველობის ადმინისტრირებას და, ამდენად, საეროაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. მაგრამ ვითარება საგანგაშო ხდებოდა. 1951 წლის მარტში პოლიტიკური ძალადობის მსხვერპლი პრემიერ-მინისტრი გენერალი აღი რაზმარა გახდა, აპრილში კი ნავთობის საკითხის გადასაწყვეტად ხალხმრავალი გამოსვლები მოეწყო. 28 აპრილს მეჯლისის მიერ არჩეული მუსამედ მოსადეყი შაჰმა პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დაამტკიცა.

მოსადეყი ეკონომიკურ ეფექტზე მეტად ნაციონალიზაციის მორალურ ასპექტზე ამახვილებდა ყურადღებას, ამტკიცებდა, რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობის გარეშე ეკონომიკური თავისუფლების მიღწევა შეუძლებელი იყო. მის რიტორიკაში კოლონიური ინტერესებისადმი მონობისა და მორჩილების ჯაჭვის დამსხვრევის ფრაზები ჭარბობდა. ნანატრი დღე 1 მაისს დადგა, როცა პრემიერმა ხელი მოაწერა ისტორიული მნიშვნელობის დეკრეტს, რაც ბრიტანელებთან შეთანხმების გაწყვეტას და მათი ქონების ჩამორთმევას ითვალისწინებდა.

ლონდონის რეაქციამ დიდხანს არ დააყოვნა. ყოველგვარი საქონლის ექსპორტის აკრძალვასთან ერთად მან სრული სანავთობო ემბარგო შემოიღო, რომელშიც იტალიის და იაპონიის გარდა ყველა მოკავშირე ქვეყნის მხარდაჭერა მიიღო. მუშაობა შეჩერდა აბადანის ქარხანაში, სადაც ევროპისათვის განკუთვნილი ნავთობის 43%-ის გადამუშავება ხდებოდა. ქვეყანამ თავისი საბიუჯეტო შემოსავლების ძირითადი წყარო დაკარგა. მომდევნო ორი წლის მანძილზე ვითარება არ შეიცვალა: სანქციებმა დიდი ეკონომიკური სიდუხჭირე გამოიწვია, მაგრამ შედეგი მაინც ვერ გამოიღო. ამიტომ ბრიტანეთმა ძალისმიერი ოპერაციის ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო. იმის მიუხედავად, რომ თავად ლონდონი დიდხანს უარყოფდა 1953 წლის აგ-

ვისტოს მოვლენებში რაიმე როლის შესრულებას, ახლახან აშშ-ში აქამდე გასაიდუმლოებული ზოგიერთი დოკუმენტის გამოქვეყნების შემდეგ ფარდა აეხადა 'აიაქსის' კოდური სახელწოდების მქონე კარგად ორგანიზებულ შეთქმულებას, რომელიც აშშ-სა და ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურებმა პრემიერ მოსადეყის დამხობის მიზნით განახორციელეს.

იმ დროს, როცა მოსადეყმა თავისი ქარიზმისა და პოპულარობის წყალობით შაჰის რეალური ძალაუფლება შეზღუდა[4], ლონდონი და ვაშინგტონი გლობალური კონფრონტაციის წინა ხაზზე ერთობლივად იღვწოდნენ. დასავლეთის ქვეყნებში დიდი შეშფოთება გამოიწვია კრემლის ექსპანსიამ, რომელმაც აღმოსავლეთ ევროპა და შორეული აღმოსავლეთის მნიშვნელოვანი ნაწილი მოინელა. ნავთობით მდიდარი სპარსეთის ყურის სახელმწიფოების შესაძლო გაწითლებამ კი გეოსტრატეგიული კატასტროფის შეგრძნება გაამძაფრა. ისედაც, თვით ვაშინგტონის სახელისუფლო სტრუქტურების შიგნით კომუნისტური გავლენის წინააღმდეგ გამალებული ნადირობა მიმდინარეობდა, ხოლო უახლოეს ხანში მოსალოდნელი იყო რუსეთის შესვლა ბირთვულ სახელმწიფოთა კლუბში. 1951 წლის არჩევნების შედეგად ინგლისში ძალაუფლებას ისევ ჩერჩილის კონსერვატიული პარტია დაუბრუნდა, მომდევნო წელს კი თეთრ სახლს რესპუბლიკელთა წარმომადგენელი დუაით ეიზენჰაუერი დაეპატრონა. იმ პრინციპის საფუძველზე, რომ ყველა ანტიდასავლური ძალა პოტენციურად მოსკოვის მოკავშირე უნდა ყოფილიყო, ოკეანის ორივე მხარეს მოსადეყის ნეიტრალიზაციის აუცილებლობის დასკვნამდე მივიდნენ.

ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის მხრიდან ოპერაციის ხელმძღვანელობის მიზნით ირანში პრეზიდენტ თეოდორ რუზველტის შვილიშვილი ქერმით რუზველტი გაიგზავნა. უპირველესად მისი განზრახვა ქვეყანაში შესაბამისი ფონის შექმნა იყო. დაიწყო მოსადეყის მხარდამჭერი კოალიციის წევრების, პოლიტიკური აქტივისტების, სამღვდელოების წარმოადგენლების, ჟურნალისტების ინტენსიური მოსყიდვა[5]. გაზეთები შეუდგნენ მოსადეყის შესახებ პასკვილების დაბეჭდვას, კარიკატურების დახატვას, ჭორების გავრცელებას: ერთგან მას რუსეთის აგენტობა ბრალდებოდა, მეორეში - ბრიტანეთის სასარგებლოდ ფარული საქმიანობა, მესამე გაზეთი მისი ებრაული წარმოშობის თაობაზე წერდა. საპარასკევო ლოცვებზე მოლებმა კრიტიკული გამოსვლები დაიწყეს და "ათეისტი მოსადეყის" საწინააღმდეგო ლოზუნგებით მრევლის იდეოლოგიურ შემზადებას

შეუდგნენ. მოსყიდული ჯგუფები თავს ესხმოდნენ მოსადეყის ოპონენტებს, რათა გარშემო დიქტატურის შთაბეჭდილება შექმნილიყო. ამავდროულად სხვა დაჯგუფებებმა ქუჩებში მანქანებისა და ვიტრინების მსხვრევას და გამვლელების უმიზეზო ცემას მიჰყვეს ხელი, რასაც მოსადეყისა და კომუნიზმის სადიდებელი ლოზუნგების აკომპანიმენტით აკეთებდნენ. რამდენიმე მენეთთან ბომბი აფეთქდა, რაც მარქსისტული 'თუდეს' ანტირელიგიური ქმედებების გამოსამზეურებლად იქნა გამოყენებული. საბოლოოდ, საზოგადოების თითოეული ფენა იმ დასკვნამდე უნდა მისულიყო, რომ მოსადეყის მმართველობა ან საყოველთაო ქაოსში გადაიზრდებოდა ან პროსაბჭოთა ძალების გამარჯვებით დასრულდებოდა, ამიტომ ის ლოგიკურად მოსადეყის წასელისა და შაჰის სტაბილური ხელისუფლების მხარდამჭერი უნდა გამხდარიყო.

ორი მუსამედის ურთიერთობა შეხმატკბილებული არასოდეს ყოფილა. სამართალმცოდნე მოსადეყი 1906 წლის კონსტიტუციაზე დაყრდნობით აცხადებდა, რომ შაჰმა მხოლოდ უნდა იმეფოს, ხოლო მთავრობამ - ქვეყანა მართოს. 1952 წლის იელისში თავდაცვის სამინისტროს კონტროლის გარშემო წარმოშობილი დავის გამო მოსადეყი გადადგა, რასაც მასობრივი საპროტესტო გამოსვლები, 250 კაცამდე მსხვერპლი და, საბოლოოდ, გაფართოებული უფლებებით ხელისუფლებაში მისი დაბრუნება მოჰყვა. პრემიერმა მეჯლისისგან ექვსი თვით საგანგებო უფლებამოსილებით აღჭურვას მიაღწია, რაც ერთი წლის ვადით გახანგრძლივდა, თუმცა მოგვიანებით დეპუტატთა უმრავლესობა მოსადეყის მიმართ ოპოზიციურად განეწყო, რაც რეფერენდუმის მეშვეობით მათი დათხოვნით დასრულდა.

ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის დოკუმენტები ცხადყოფს იმ პრობლემას, რომელიც გადატრიალების დაგეგმვის პროცესში წარმოიშვა. ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება თავად შაჰი იყო, რომელიც გეგმის მიხედვით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებისგან თავს იკავებდა:

> *"შაჰი სპეციფიურ მომზადებას საჭიროებს. რამდენადაც მას გადაწყვეტილების მიღება უჭირს და ეჭვებისა და შიშის გავლენის ქვეშ იოლად ექცევა, თავისი როლის შესასრულებლად ის უნდა წავახალისოთ".*

ფაჰლავის შიში იმ ვარაუდიდან გამომდინარეობდა, რომ ჯარი არ დაემორჩილებოდა და მთელი ღონისძიება ავანტიურად გადაიქცეოდა. რუზველტი კი მას დაბეჯითებით უმტკიცებდა, რომ უმოქმედობის შემთხვევაში ირანს გასაბჭოება ან მეორე კორე-

ად გადაქცევის რეალური საფრთხე ელოდა. 1 აგვისტოს შაჰს წარედგინა დადგენილება მთავრობის თავმჯდომარის პოსტიდან მუჰამედ მოსადეყის გადაყენების და მის ნაცელად არმიის გენერალ ფაზლოლა ზაჰედის დანიშვნის შესახებ. თუმცა ამ დოკუმენტზე მისი ხელმოწერა მხოლოდ 15 აგვისტოს გაჩნდა. სრული მხარდაჭერის განცხადება ეაშინგტონში მანამდე თვით პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა გააკეთა, რომლის თქმით, თუ 'რკინის ფარდისკენ' ირანის სელის პროცესი გაგრძელდებოდა, მისი ადმინისტრაცია შორიდან მეთვალყურის როლში არ დარჩებოდა[7].

ირანელ სამხედროებს შორის შეთქმულთა ჯგუფი გამოიკვეთა: საერთო ხელმძღვანელობა გენერალ ზაჰედის ებარა, რეალურად კი არმიის მოქმედებების დაგეგმვას გენერლები არფაა და ახავი ახორციელებდნენ. სამოქალაქო სექტორში სასახლის კართან და ბრიტანელებთან დაახლოებულმა ძმებმა რაშიდიანებმა დემონსტრაციისათვის ექვსი ათასამდე ადამიანის მოგროვება შესძლეს. გადაყენების დადგენილება პრემიერს იმპერიული გვარდიის სარდალმა პოლკოვნიკმა ნასირიმ გადასცა[8]. მაგრამ მოსადეყმა იმ მოტივით, რომ მისი დათხოვნა მხოლოდ მეჯლისის კომპეტენციაში შედიოდა, გადადგომაზე უარი განაცხადა და თავად ნასირის დაპატიმრების განკარგულება გასცა. ზაჰედიმ სამხედრო შენაერთები ქუჩაში ვერ გაიყვანა, რადგან ინფორმაციის გაჟონვის გამო მთავრობამ მათი განიარაღება მოასწრო.

დილით ცნობილი გახდა გადატრიალების წარუმატებლობისა და ერაყში შაჰის გაქცევის შესახებ. ეიფორიაში მყოფი მოსადეყის მომხრეები ქუჩაში გავიდნენ და ფაჰლავის ძეგლების მსხვრევა დაიწყეს. ძალიან გააქტიურდა 'თუდე', რომელმაც რესპუბლიკის გამოცხადების წინადადება წამოაყენა. შაჰის ერთგული გენერლის ჰოსეინ ფარდუსთისთვის ეს გარემოება გამოცანად დარჩა. მისი აზრით, დიდი პოლიტიკური გამოცდილების მქონე 'თუდე' მოსადეყთან კონტაქტში შესვლას შეეცდებოდა და ქუჩებში წითელი დროშების ფრიალით დასაველეთის პროვოცირებას არ მოახდენდა. ამიტომ გენერალმა ეჭვი გამოთქვა, რომ 'თუდეს' ნიღაბქვეშ შესაძლოა სინამდვილეში დაქირავებულ პროვოკატორთა ჯგუფი მოქმედებდა. თუმცა 'თუდეს' მეთაური ნურადინ ქიანური მოსადეყს მართლაც შეხვდა და მონარქისტებისგან დასაცავად პარტიისთვის იარაღის გადაცემა სთხოვა. თვითმხილველის თქმით, მოსადეყმა მტკიცედ მიუგო:

'იმ პრემიერის ხელი უნდა გახმეს, რომელიც ხალხის დასახოცად ვინმეს იარაღს დაურიგებს'.

როგორც ჩანს, პრემიერ-მინისტრმა შეთქმულების წარუმატებლობა საბოლოოდ დაიჯერა, რადგან მომდევნო რამდენიმე დღის მანძილზე მას საგანგებო ზომები არ გაუტარებია. მაგრამ 19 აგვისტოს გადატრიალების მცდელობა განმეორდა. ამჯერად თერთმეტპუნქტიანი გეგმა ზედმიწევნით ზუსტად შესრულდა: ქალაქის სხვადასხვა ნაწილში პრომონარქისტული დემონსტრაციები დაიწყო, რომელსაც ჯერ სამეფო გვარდია, შემდეგ კი სატანკო ასეულის მებრძოლები, მეტყვეიამფრქვევეები და არტილერისტები შეუერთდნენ. სამხედროებმა პრემიერ-მინისტრის რეზიდენცია და რადიოსადგური დაიკავეს, მოსადეყის სახლს სატანკო ჭურვები დაუშინეს, რასაც ქვეითთა შტურმი, ქონების გაძარცვა და სახლის გადაწვა მოჰყვა.

საყურადღებოა შაჰ ფაპლავის ქცევა. მოვლენების ეპიცენტს ის თავიდანვე განერიდა და მეუღლესთან ერთად კასპიისპირა ქალაქ ნიშარში გაეშურა. პირველი პუტჩის შემდეგ იგი ბაღდადში ჩავიდა, იქიდან კი რომში გადაფრინდა, სადაც 'ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის' უფროსს ალენ დალესს ხვდებოდა. მოსადეყის მთავრობის დაცემის შესახებ ცნობა მან სასტუმრო 'ექსელსიორში' სადილობისას ასოშეითედ პრესის ჟურნალისტისგან მიიღო. სორაია აქვითინდა, შაჰმა კი წაიჩურჩულა: 'ვიცოდი, რომ ხალხს ვუყვარდი[10]'. ის აეროპორტში გაეშურა, თვითმფრინავის პილოტის ადგილი დაიკავა და თეირანში ტრიუმფით დაბრუნდა, სადაც მოსადეყის მომხრეების სასტიკი დევნა უკვე გაჩაღებული იყო[11].

სამხედრო ტრიბუნალმა სახელმწიფო ღალატის ბრალდებით ყოფილ პრემიერ-მინისტრს სიკვდილი მიუსაჯა. განაჩენი მალე უვადო პატიმრობით შეიცვალა. სამი წლის შემდეგ მოსადეყი საკუთარ სოფელში დააბრუნეს, სადაც მკაცრი შინაპატიმრობის პირობებში მან ცხოვრების ბოლო 11 წელი გაატარა.

მუჰამედ მოსადეყი არაერთგვაროვანი პიროვნება იყო. მეტიც, იმდროინდელ სახელმწიფო მოღვაწეებს შორის ექსცენტრიულობით გამოირჩეოდა: მთავრობის სხდომებს ის საბანში გახვეული და პიჟამოჩაცმული ატარებდა, მუდმივად სურდო სდიოდა, საჯაროდ ქვითინებდა და ჯანმრთელობას უჩიოდა. მიუხედავად იმისა, რომ თაყვანისმცემლები მაჰათმა განდის ადარებდნენ, პოლიტიკურ ბრძოლას ის ყოველთვის მშვიდობიანად არ აწარმოებდა. ოპონენტებთან ჭიდილში პრემიერი არც კანონის გადახვევას ერიდებოდა. მაგალითად, მეჯლისის დათხოვნის უფლება კონსტიტუციურად მას არ გააჩნდა. მის ხისტ სანაეთობო პოლიტიკას შემოსავლების შეჩერება და ეკონომიკური კრიზისი

მოპყვა, რამაც ანტისამთავრობო განწყობის შესაქმნელად ნოყიერი ნიადაგი შექმნა. თუმცა მოსადეყის მმართველობა თავიდანვე რამდენიმე მიზეზით გახდა გამორჩეული: გენერლებისა და უსახელო ტექნოკრატების შემდეგ მთავრობას აღიარებული პოლიტიკური მოღვაწე პირველად ჩაუდგა სათავეში; თუ პრემიერობის შერჩეულ კანდიდატს შაჰი დასამტკიცებლად ადრე მეჯლისს წარუდგენდა ხოლმე, მოსადეყი პრემიერად სწორედ ხალხის მიერ არჩეული მეჯლისის წევრებმა დაასახელეს, რაც შაჰმა მხოლოდ დაადასტურა; ეს პირველი მთავრობა იყო, რომელიც ქვეყანას მეფის ნება-სურვილით არ მართავდა, რაც შეზღუდულ მონარქიას უყრიდა საფუძველს; წინა მინისტრთა კაბინეტებისგან განსხვავებით, მოსადეყის მთავრობამ ღიად გაილაშქრა ირანის ეკონომიკაში გაბატონებული უცხოური მონოპოლიების წინააღმდეგ.

მოსადეყს მხურვალედ სწამდა, რომ პარლამენტი, თავისუფალი მედია თუ კონკურენტუნარიანი პოლიტიკური გარემო ირანს პროგრესის გზაზე წაიყვანდა. ის ფაქტი, რომ შაჰის გაქცევა მან რესპუბლიკის გამოცხადებისთვის არ გამოიყენა, ადასტურებს, რომ კონსტიტუციური გადატრიალების განხორციელება მის გეგმებში არ შედიოდა. არაერთი ბრალდების მიუხედავად, ის არც საბჭოთა კომუნისტების მომხრე ყოფილა. 'თუდესთან' სხვა მიზეზით შექმნილი დროებითი ტაქტიკური კავშირი მან გადამწყვეტ დღეებში შეწყვიტა. თვით შაჰსაც კი არ სჯეროდა 'ეროვნული ფრონტისა' და მარქსისტების ალიანსის შესახებ: მისი მტკიცებით, მოსადეყის პირისპირ დარჩენილი 'თუდე' პრემიერს ორ კვირაში თავიდან მოიცილებდა[12].

სასამართლოზე მოსადეყი იურისტისთვის დამახასიათებელი შთამბეჭდავი სიტყვით გამოვიდა:

> *ჩემი ყველაზე დიდი დანაშაული ის არის, რომ ირანის ნავთობის ნაციონალიზაცია მოვახდინე და ჩემი სიცოცხლის, ღირსების და ქონების დაკარგვის ფასად მსოფლიოში ყველაზე მძლავრი იმპერიის პოლიტიკური და ეკონომიკური ექსპლუატაციის სისტემას შევებრძოლე'.*

მოსადეყმა არაფერი მოინანია, მოგვიანებით კი პირად საუბრებში მხოლოდ ამერიკელთა მოქმედების განჭვრეტის წარუმატებლობა აღიარა. თვითიზოლაციის ხანგრძლივი პოლიტიკის შემდეგ აშშ აქტიურ საერთაშორისო სცენაზე თავისუფლებისა და ლიბერალური ფასეულობების ხელშეწყობის ლოზუნგებით გამოვიდა, ამიტომ ბრიტანეთისგან განსხვავებით ირანში მას და-

დებითი რეპუტაცია ჰქონდა. მოსადეყმა თეირანში არსებული ბრიტანული საელჩო დახურა, მაგრამ ეიზენჰაუერს დახმარების იმედად წერილებს უგზავნიდა. შუამავლად ჩამოსული ამერიკელ ემისარს ინგლისელებზე 'მესჩიოდა კიდეც:

'თქვენ არ იცით, ისინი რა გაიძვერები არიან. თქვენ არ იცით, ისინი რა ბოროტები არიან[13].

თუმცა მესამე სამყაროს განვითარებადი ქვეყნის პრემიერის პატრიოტიზმს პოტომაკის ნაპირებზეც მწყრალად უყურებდნენ. ოპერაცია 'აიაქსი' სწორედ ეიზენჰაუერის დონეზე იყო დამტკიცებული. თეთრ სახლის პრიორიტეტს ამ შემთხვევაში მზარდ საბჭოთა გავლენასთან დაპირისპირების აუცილებლობა წარმოადგენდა, და არა ბრიტანული კოლონიური ინტერესების დაცვა: სამი წლის შემდეგ ის არ შეუერთდა ინგლისის სამხედრო აგრესიას ეგვიპტის წინააღმდეგ, რომელიც ბრიტანული იმპერიის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში ერთ-ერთი ბოლო ეპიზოდი აღმოჩნდა.

'აიაქსი' ხუთი ათასამდე ადამიანის სიცოცხლის, უცხოეთის სპეცსამსახურების მიერ ხუთი მილიონი დოლარის დახარჯვის და ირანის დემოკრატიის ჩანასახის განადგურების ფასად დაჯდა. კონსტიტუციური მონარქიის აღდგენის მცდელობა კვლავ ჩაიშალა. სანავთობო დამოუკიდებლობის სიზმარიც მალე დასრულდა - ირანულ ნავთობს დასავლურ კომპანიათა კონსორციუმი დაეპატრონა, რომლის ერთ-ერთი წევრი ანგლო-ირანული სანავთობო კომპანიის მემკვიდრე 'ბრითიშ პეტროლიუმი' გახდა. ოპერაციამ აგრეთვე შორსმიმავალი გამოძახილი დატოვა:

- რუზველტთან საუბრისას შაჰმა აღნიშნა: 'ტახტის შენარჩუნებას ეუმადლი ღმერთს, ჩემს ხალხს, ჩემს არმიას და თქვენ[14]'. ამ მადლიერების ბოლო პასაჟმა ვაშინგტონთან უაღრესად მჭიდრო ურთიერთობაში პპოვა ასახვა. დროთა განმავლობაში შაჰისადმი სიძულვილი ავტომატურად აშშ-ს მიმართ მძაფრ ანტიპათიაში გადაიზარდა, რამაც საბოლოოდ ირანი მსოფლიოში ყველაზე ანტიამერიკულად განწყობილ ქვეყნად აქცია;
- გარედან რეჟიმის შეცვლის ეს პირველი წარმატებული ექსპერიმენტი სხვა ქვეყნებში გაგრძელდა, რომელთა შორის მომდევნო ობიექტი უკვე ათი თვის შემდეგ გვატემალა გახდა. ამერიკელი მკვლევარის სტეფან კინზერის თქმით,

'მოქმედმა და პოტენციურმა ტირანებმა ისწავლეს, რომ ყველაზე მძლავრი ქვეყნები შეიწყნარებდნენ მათ უხომო დესპოტიზმს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთისა და მათი სანავთობო კომპანიებისადმი ისინი მეგობრულად იქნებოდნენ განწყობილი[15]':

ირანის მომდევნო 25 წლიანი ისტორია ამის ყველაზე ნათელი მაგალითი გახდა;

- 1978 წელს ოპოზიციის ფართომასშტაბიანი მოძრაობის მომძლავრების შემდეგ ყველა ორგანიზაცია შაჰის გადაყენების ლოზუნგის ქვეშ გაერთიანდა. წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, მათი ბრძოლის მიზნად არა მონარქთან ძალაუფლების გაყოფა, არამედ თვით ტახტის დამხობა იქცა. ამიტომ სამეფო სასახლიდან მომდინარე არაერთმა კომპრომისულმა ვარიანტმა სრული ფიასკო განიცადა;
- ხელისუფლებაში მისელის შემდეგ რევოლუციის მეთაურებმა ძირითად საზრუნავად 19 აგვისტოს მსგავსი გადატრიალების აღკვეთა მიიჩნიეს. შედეგად, შაჰის მომხრე ასობით მაღალი რანგის ოფიციალური პირი ტრიბუნალებმა ჩამოსახრჩობად და დასახვრეტად გაგზავნა;
- ანალოგიური მიზეზით აშშ-ს საელჩო, რომელიც ამ მოვლენების დროს მაკოორდინირებელ როლს ასრულებდა, ანტიმონარქისტული დაჯგუფებების თავდასხმის ობიექტი გახდა მაშინვე, როგორც კი მისი მეშვეობით ხელისუფლებაში შაჰის დაბრუნების თუნდაც მცირე ეჭვი გაჩნდა. შედეგად, შეერთებული შტატების ისტორიაში ყველაზე დამამცირებელი ფურცელი ჩაიწერა.

აღიარება და სინანული ირანის საქმეებში ასეთი სახით ჩარევის გამო დასავლეთში მხოლოდ ოთხი ათეულის წლის შემდეგ გაისმა. პრეზიდენტმა ქლინთონმა დაადასტურა სხვადასხვა ქვეყნების მხრიდან ირანის ექსპლუატაციის ფაქტი და ირანელებისადმი მიმართვაში დასძინა, რომ მათ აქვთ 'უფლება იყენენ აღშფოთებული იმით, რაც ჩემმა ქვეყანამ... თქვენს მიმართ 50, 60, 100 ან 150 წლის წინ მოიმოქმედა[16]'. ადმინისტრაციის აზრი უფრო კონკრეტულად დიპლომატიური უწყების ხელმძღვანელმა მადლენ ოლბრაითმა გამოთქვა:

> *'1953 წელს აშშ-მ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ირანის პოპულარული პრემიერ-მინისტრის მოსადეყის დამხობის ორგანიზებაში. გადატრიალება ირანის პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით ცალსახად უარყოფითი მოვლენა იყო[17]'.*

ცხოვრების ბოლო წლები მოსადეყმა მშობლიურ სოფელში გაატარა, საიდანაც ნებართვის და ესკორტის გარეშე გადაადგილება აკრძალული ჰქონდა. ერთხელ ჯარისკაცებთან ერთად ის გადატრიალების წლისთავისადმი მიძღვნილ გადაცემას რადიოთი ყურს უგდებდა. კითხვაზე, რატომ უსმენდა მისთვის უსია-

მოვნო პროპაგანდას, მოსადეყმა თქვა, რომ, პირიქით, სიამოვნებდა წელიწადში ერთხელ მაინც თავისი სახელის გაგონება[18]. 83 წლის მოსადეყი კიბოს დაადებით 1967 წელს გარდაიცვალა, 12 წლის შემდეგ კი მის დაბადების დღეზე აპმადაბადში ჩასული ადამიანების რაოდენობამ ყველაზე ცხადად დაადასტურა ყოფილი პრემიერის მიმართ უბრალო ირანელთა ნამდვილი დამოკიდებულება.

[1] სანდრა მაქეი, 'ირანელები', 1996, გვ.185
[2] ჰოსეინ ფარდუსთი, 'ფაპლავთა დინასტიის აღმასვლა და დაცემა', 1999, გვ.100
[3] ნორმან 'შვარცკოფი, ავტობიოგრაფია, 1992, გვ.12
[4] 'მოსადეყი თავისი ხალხის 95-98% მხარდაჭერით სარგებლობს', - თეირანში აშშ-ს ელჩის მოხსენებიდან
[5] ქვეყანაში, სადაც წლიური შემოსავალი 500 აშშ დოლარს არ აღემატებოდა, რუზველტი დეპუტატების გადაბირების მიზნით კვირაში 11 ათას დოლარს ხარჯავდა.
თარიქ ალი, გაზეთი 'ნეიშენი', 31 ივლისი 2003 წ
[6] 'ნიუ-იორკ თაიმსი', 16 აპრილი 2000 წელი
[7] იქვე
ტერმინი 'რკინის ფარდა' ჩერჩილის ორიგინალურ ფრაზებს შორის ყველაზე პოპულარული გახდა. 1946 წელს ფულბრაითში სიტყვით გამოსვლისას მან აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური რეჟიმების დამყარება შუაგულ ევროპაში რკინის ფარდის ჩამოშვებად დაახასიათა.
[8] ნასირის გარჯა დაუფასდა და მოგვიანებით გენერლის წოდებით საეაქის უფროსად დაინიშნა. რევოლუციის შემდეგ ის ერთ-ერთი პირველი იყო, რომელსაც ტრიბუნალმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა
[9] ფარიბა ამინი, 'მოსადეყი: მთავრობის მოკრძალებულობა და პატიოსნება', 2001
[10] 'ირანელები', გვ.207
[11] სხვებთან ერთად სიკვდილით დასაჯეს საგარეო საქმეთა მინისტრი ჰოსეინ ფათემი. მოგონებებში შაპი მას კომუნისტური პარტიის წევრობას აბრალებს, თუმცა სინამდვილეში ფათემი მოსადეყთან ერთად თავიდანვე 'ეროვნული ფრონტის' სათავეებთან იდგა.
[12] მუპამედ რეზა ფაპლავი, 'პასუხი ისტორიას', გვ.91
[13] ვერნონ უოლტერსი, 'უსახელო მისიები', გვ.247
[14] ქერმით რუზველტი, 'კონტრგადატრიალება', 1979
[15] სტეფან კინზერი, 'შაპის გარემოცვა: ამერიკული გადატრიალება და ტერორიზმის ახლოაღმოსავლური საძირკველი', 2003
[16] 'ვაშინგტონ პოსტი', 1 მაისი 1999 წელი
[17] ციტატა 2000 წლის 17 მარტს ვაშინგტონში აშშ-ირანის საბჭოს სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას
[18] 'მოსადეყი: მთავრობის მოკრძალებულობა და პატიოსნება'

ირანის საგარეო პოლიტიკის შემუშავებაში და წარმართვაში შაჰი პირადად იღებდა აქტიურ მონაწილეობას. სპარსული ნაციონალიზმის ლოზუნგებით ის შეერთებულ შტატებთან, ბრიტანეთთან და ისრაელთან უნისონში მოქმედებდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რეგიონში მომხდარ დეკოლონიზაციის პროცესს ბევრ მუსლიმანურ ქვეყანაში თან დაერთო პროდასავლური მონარქისტული რეჟიმების მსხვრევა. ახლადშექმნილ რესპუბლიკებში ხელისუფლების სათავეში მოსულმა ძალებმა მთავარ მიზნებად კოლონიური მმართველობის შედეგების აღმოფხვრა და ანტიიმპერიალისტური ბრძოლა გამოაცხადეს. მემარცხენეთა წარმატება დიდწილად სწორედ ბრიტანეთის იმპერიის პოლიტიკურმა მემკვიდრეობამ განაპირობა. კოლონიზაციის პერიოდში ლონდონმა ახლო აღმოსავლეთში მორჩილი მსხვილი ფეოდალებისგან მმართველი დინასტიები ჩამოაყალიბა, არაერთი ახალი ადმინისტრაციული ერთეული შექმნა და ხელოვნური საზღვარი დააწესა. ახალი პოლიტიკური რუკის ფონზე კი მწვავე ეთნიკური თუ რელიგიურ-კონფესიური ანტაგონიზმი გამოხატულებას შეიარაღებულ კონფლიქტებში ჰპოვებდა.

არა მხოლოდ რეგიონის მასშტაბით, არამედ მთელს მსოფლიოში ათწლეულების მანძილზე ყველაზე ცხელ წერტილად პალესტინა იქცა. გაეროს გენერალური ასამბლეის 1947 წლის 29 ნოემბრის დადგენილებით, ბრიტანეთის ამ ყოფილ სამანდატო ტერიტორიაზე მკაფიოდ გამოკვეთილ საზღვრებში ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი არაბული და ებრაული სახელმწიფო უნდა ჩამოყალიბებულიყო, ხოლო მთავარი ქალაქი იერუსალიმი გაეროს ადმინისტრაციას უნდა დაქვემდებარებოდა. ეთნოტერიტორიული კონფლიქტი ამ ორ ხალხს შორის 1948 წელს ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა, რომლის შედეგად ახლადშექმნილმა ისრაელმა არაბების კუთვნილი მიწები მიიტაცა, მილიონზე მეტი ადამიანი ლტოლვილად აქცია და გაეროს გადაწყვეტილების შესრულება შეუძლებელი გახადა. ამიერიდან პალესტინის თემა არაბული ქვეყნებისთვის მაკონსოლიდირებელ საკითხად იქცა, ისრაელს კი დიპლომატიურ ცნობაზე უარი ეთქვა და სრული ემბარგო გამოეცხადა.

თეირანმა თავისი პალესტინური პოლიტიკა სრულიად განსხვავებულად წარმართა. შაჰს კომუნისტური ექსპანსიის საფრთხე თავისი მმართველობის პირველი დღიდან აშინებდა, ამიტომ მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას სწორედ პრომერიკულ ის-

რაელთან შეუდგა. მიუხედავად იმისა, რომ თელ-ავივის ოფიციალური აღიარებისგან მან 12 წლის მანძილზე თავი შეიკავა, ინტენსიური კონტაქტები მხარეებმა საიდუმლო ვითარებაში დაამყარეს. არაბული ბოიკოტის პირობებში ირანმა ისრაელის ნავთობმომარაგების უზრუნველყოფის ვალდებულებაც კი აიღო. სანაცვლოდ შაჰი დახმარებას სამხედრო და სადაზვერვო სფეროში იღებდა. ასობით უმცროსი ოფიცერი ისრაელის სამხედრო სასწავლებლებში გაიგზავნა, გენერალიტეტის დონეზეც ახლო კონტაქტები დამყარდა. განსაკუთრებით ინტენსიურად სადაზვერვო სამსახური 'მოსადი'[1] მონაწილეობდა ირანის უშიშროების სამსახურის 'სავაქის'[2] ჩამოყალიბებაში, რომელმაც ახლო აღმოსავლეთში ყველაზე არაადამიანური რეპრესიული ორგანოს სახელი მოგვიანებით მყარად დაიმკვიდრა. ორი ქვეყანა რეგულარულად ცვლიდა ინფორმაციას არაბული სახელმწიფოების, მათ შორის სპარსეთის ყურის ნავთობით მდიდარი მონარქიული ქვეყნების შესახებ. 1961 წელს აღფრთოვანებული შაჰი ამბობდა:

> *'ირანისა და ისრაელის ურთიერთობა ნამდვილ სიყვარულს ჰგავს, რომელიც შესაძლოა ორ ადამიანს ქორწინების გარეშე აკავშირებდეს'.*

თუმცა ებრაელებისადმი თბილი დამოკიდებულებით ჯერ კიდევ რეზა შაჰი გამოირჩეოდა. ბოლო თხუთმეტი საუკუნის მანძილზე ის პირველი ირანელი მონარქი გახდა, რომელმაც ებრაელებისადმი პატივისცემა ისფაჰანში თორას წინაშე თავის დახრის და ლოცვაზე დასწრების სახით გამოხატა. დიდი ქურუშ მეფის შემდეგ რეზა ებრაელთა სათაყვანებელი პიროვნება გახდა. 1971 წელს პერსეპოლისში გამართული სპარსეთის მონარქიის 2500 წლისთავის აღსანიშნავი ზეპომპეზური ღონისძიება ამავდროულად სპარსულ-ებრაული ისტორიული ურთიერთობების აღდგენის მოელენად მოინათლა. პერსეპოლისის ზეიმის იდეა შაჰის ხელისუფლებას ისრაელის ტურიზმის დეპარტამენტის უფროსმა ტედი კოლეკმა მიაწოდა, რომელმაც მანამდე ირანისგან ტურისტული ინდუსტრიის განვითარების გეგმის ხელშეწყობის თხოვნა მიიღო.

რეგიონში საყოველთაო აღშფოთების მიუხედავად, შაჰის ირანი ისლამურ ქვეყნებს შორის ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელიც 1973 წელს ისრაელის მხარდამჭერი სახელმწიფოების მიმართ შემოღებულ სანავთობო ემბარგოს არ შეუერთდა. მეტიც, საერთაშორისო ბაზარზე გაჩენილი ნავთობის საექსპორტო ვაკუუმის შევსება თეირანმა საკუთარი პოტენციალით სცადა, რითაც

თავად ემბარგოს მნიშვნელობა მკვეთრად დასცა. ამ საკითხისადმი დამოკიდებულება შაჰმა ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე ჩამოაყალიბა:

'დასავლეთისთვის ნავთობის მიწოდების შეწყვეტა ეკონომიკურ კრახს გამოიწვევს, ჩვენ კი ამის გაკეთებას ვერაფერი გვაიძულებს'[4].

შაჰის პრიორიტეტებს ის ფაქტიც ადასტურებს, რომ პრემიერ-მინისტრები დავით ბენ-გურიონი, მოშე დაიანი, იცხაკ რაბინი და მენაჰემ ბეგინი თეირანში მასთან შესახვედრად ჩადიოდნენ. თანდათან, განსაკუთრებით კი რევოლუციური ტალღის აზვირთებასთან ერთად, შაჰის 'პროიმპერიალისტური და პროსიონისტური პოლიტიკა' ოპოზიციის მხრიდან რადიკალურად ნეგატიური შეფასებების ობიექტად იქცა. რამდენადაც იდეოლოგიურად ანტიმონარქისტული მოძრაობის წარმმართველ ძალას მუსლიმანური სამღვდელოება წარმოადგენდა, შეხედულება შაჰის მარიონეტობის შესახებ ხალხის მასებში პოპულარული გახდა. და პირიქით, პალესტინელთა მიმართ სხვადასხვა ფორმით თანაგრძნობის გამოხატვას ნებისმიერი პოლიტიკური მრწამსის მქონე რევოლუციური ჯგუფი აუცილებლობად მიიჩნევდა.

შაჰისა და ისრაელის ინტერესები ასევე იდენტური აღმოჩნდა ლიბანის სამოქალაქო ომთან მიმართებაში. ორივე ქვეყანა აქტიურად ხელს უწყობდა საად ჰაადადის ქრისტიან-მარონიტთა დაჯგუფებას, რომელმაც თავის მთავარ მოწინააღმდეგედ ლიბანში დევნილი 'პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია' გამოაცხადა. ასეთი დამოკიდებულება საბოლოოდ ფაჰლავის საკმაოდ ძვირი დაუჯდა. მისი ხანგრძლივი მცდელობის მიუხედავად, ლიბანელ შიიტთა სათვისტომოს კეთილგანწყობა ირანული ოპოზიციისკენ გადაიხარა. შიიტების აღიარებული მეთაური იმამ მუსა სადრი შაჰის პოლიტიკას მკაცრად აკრიტიკებდა და თავის მრავალრიცხოვან მრევლსაც შესაბამისად განაწყობდა[5]. სადრმა შიიტთა პარტიზანული დაჯგუფება 'ამალი'[6] დაარსა, რომლის საწვრთნელ ბაზებზე მალე ირანში კანონგარეშედ გამოცხადებულმა მოჯაჰედებმა[7] მოიკიდეს ფეხი. მარქსისტული ორიენტაციის მქონე ფედაინები[8] კი პარტიზანული ბრძოლის მეთოდების სწავლას 'პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის' ბაზებზე შეუდგნენ. პგო-ს თავმჯდომარე იასირ არაფატი ნეჯეფში მყოფ აიათოლა ხომეინის ეწვია, რომლებმაც ახლო პირადი ურთიერთობა ერთობლივი ბრძოლის კონკრეტული დეტალების [illegible]ესამუშავებლად გამოიყენეს[9]. ლიბანში ოპო-

ზიციონერთა სამხედრო მომზადების ორგანიზაციულ-საფინანსო საკითხებს ხომეინის თანამებრძოლები და მოგვიანებით ისლამური რესპუბლიკის ცნობილი მოღვაწეები მუსტაფა ჩამრანი და იბრაჰიმ იაზდი ზედამხედველობდნენ. ლიბანის სხვადასხვა გასამხედროებულ ბაზებზე სწავლებაგავლილმა ათასობით ირანელმა 1979 წლის თებერვალში ქალაქებში მიმდინარე ხელჩართული ბრძოლების დროს გადამწყვეტი როლი შეასრულა.
შაჰის პოლიტიკა მეზობელ ერაყშიც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. არსებული სასაზღვრო კონფლიქტის გარდა, თელ-ავივთან თეირანის ურთიერთობას ბაღდადი მეტად მტკივნეულად აღიქვამდა. 1958 წლის ივლისში დამხობილი პროდასავლური ჰაშიმიტების დინასტიის რესტავრაცია ირანმა და ისრაელმა ერთობლივად სცადეს, მაგრამ უშედეგოდ. ამის შემდეგ ახალი რესპუბლიკური რეჟიმის ძირის გამოთხრას თეირანი ქურთი სეპარატისტების მეშვეობით შეუდგა. ის წლების მანძილზე სამხრეთ ქურთისტანში მოქმედი მასუდ ბარზანის შეიარაღებულ ჯგუფებს საბრძოლო მასალებით და საკვები პროდუქტებით ამარაგებდა. რამდენჯერმე ქვეყნებმა ელჩები გაიწვიეს, 1971 წელს კი დიპლომატიური ურთიერთობაც გაწყვიტეს. ბაღდადი შაჰს მუდმივად ბრალს სდებდა ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში მეორე ისრაელის შექმნის მცდელობაში[10]. 1973 წლის ოქტომბერში, როცა მორიგ არაბ-ისრაელის ომში ერაყის არმიის ჯავშანსატანკო პოლკი სირიის დედაქალაქ დამასკოს ისრაელის შეტევისგან საკუთარი განადგურების ფასად იცავდა, ქურთმა მეამბოხეებმა ჩრდილოეთ ერაყში აქტიური დივერსიული მოქმედებები განახორციელეს. პრეზიდენტი აპმად ჰასან ალ-ბაქრი უკიდურეს აღშფოთებას ვერ მალავდა იმ ფაქტით, რომ 'რეაქციული ირანის და ისრაელის ქმედებები სხვადასხვა ფრონტზე ერთდროულად ხორციელდებოდა[11]'.
ერთი დეკადის მანძილზე სამხედრო გადატრიალებების მეშვეობით ბაღდადში სამჯერ მოხდა ხელისუფლების შეცვლა, მაგრამ ირანთან ურთიერთობა კვლავ ცივი ომის სტადიაში დარჩა. მორიგი ესკალაცია ძალაუფლებაში 'ბაასის' პარტიის[12] მოსვლის შემდეგ მოხდა. სასაზღვრო კონფლიქტის გამო შაპმა 1937 წლის შეთანხმების დენონსაცია მოახდინა, რის პასუხად ერაყმა სავაჭრო და სატრანზიტო სფეროში არსებული შეთანხმებები შეაჩერა, ათასობით ეთნიკურად სპარსელი ქვეყნიდან გააძევა და შაჰისგან დევნილი სავაქის გენერალი თემურ ბახთიარი შეიფარა[13]. 1970 წლის იანვარში ბაღდადმა ირანის მიერ წაქეზებული ახალი შეთქმულების გამოაშკარავების შესახებ გამო-

აცხადა. ყველა ეჭვმიტანილი სიკვდილით დასაჯა, შაჰის ელჩი კი ქვეყნიდან გააძევა. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ერაყს ათასობით სამხედრო მოსამსახურე იორდანიასა და სირიაში ჰყავდა მიელინებული, ჯარის ნაწილები ქურთ მეამბოხეებს ებრძოდნენ, ქვეყანაში კი დასავლეთის კომპანიების მიერ ნავთობწარმოების შემცირების გამო ეკონომიკური კრიზისი სუფევდა, ირანთან პირდაპირი კონფრონტაციის ძალა მას არ შესწევდა. ამიტომ ერაყმა ორიენტირი მარქსისტული ბანაკის ქვეყნებზე აიღო. კომუნისტური პარტიის აქტივისტების წინააღმდეგ გაჩაღებულმა სისხლიანმა ტერორმა ხელი არ შეუშალა მოსკოვთან მეგობრობის ხელშეკრულების დადებას, რომლის საფუძველზე კრემლმა ერაყის ნავთობის ეროვნული მრეწველობის განვითარების საქმეში დახმარების ვალდებულება აიღო.
1968 წელს ბრიტანეთმა სპარსეთის ყურის ზონაში ბოლო კოლონიების დატოვების გადაწყვეტილების შესახებ გამოაცხადა, რასაც მოკლე ხანში მსოფლიოს რუკაზე რამდენიმე ახალი არაბული მონარქიული სახელმწიფოს შექმნა მოჰყვა. ტერიტორიული გაფართოების იმედად ინგლისელთა წასვლისთვის ირანი საგანგებოდ ემზადებოდა. ჯერ კიდევ 1927 წელს მან შიიტი არაბებით ჭარბად დასახლებულ კუნძულ ბაჰრეინზე პრეტენზია განაცხადა, რაც მეჯლისმა საკანონმდებლო სახით გააფორმა. მაგრამ ანექსიის რეალური განხორციელება ბრიტანელებთან ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად ჩაიშალა. სამაგიეროდ, თეირანს ხელ-ფეხი გაეხსნა ჰორმუზის სრუტის პატარა კუნძულების დასაკავებლად. ირანული მედია-საშუალებები დიდხანს ასხამდნენ ხოტბას შაჰის დისშვილის, საზღვაო ფლოტის კაპიტან შაჰრიარ შაფიყის შენაერთს 1971 წლის 30 ნოემბერს კუნძულებზე წარმატებული სადესანტო ოპერაციის ჩატარებისათვის. მანამდე ხელმოწერილი შეთანხმების თანახმად, კუნძული აბუ-მუსა ირანს და შარჯას საკონტროლო ზონებად უნდა გაეყოთ და ნავთობშემოსავლებიც თანაბრად გაენაწილებინათ. დიდი და მცირე თუნბის კუნძულები კი რას-ელ-ჰაიმის საემიროს კუთვნილება იყო, რომლის დაპყრობა ორივე მხრიდან მსხვერპლით დასრულდა. არაბული სამყარო აღშფოთების მორიგმა ტალღამ მოიცვა. გამონაკლისი მხოლოდ იორდანია აღმოჩნდა, რომელმაც ერთი წლით ადრე 'პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის' შეიარაღებული დაჯგუფების განადგურების საქმეში ირანისგან დიდი დახმარება მიიღო[14]. მაშინ, როცა შაჰი ქვეყნის წარსული დიდების დაბრუნებაზე საუბრობდა, არაბუ-

ლი სახელმწიფოები კუნძულებიდან ირანის ჯარების გაყვანას გაეროში დაჟინებით მოითხოვდნენ, მაგრამ უშედეგოდ.
ურთიერთმტრული მოქმედებების სერიის შემდეგ, რომლის დროს ერაყმა 60 ათასამდე ირანელის დეპორტაცია მოახდინა, 1975 წელს მხარეებმა ფაქტობრივი ზავი გააფორმეს. ალჟირის შეთანხმების საფუძველზე თეირანმა ქურთი მეამბოხეების მხარდაჭერაზე უარი თქვა და მდინარე შატლ-ალ-არაბის[15] გასწვრივ მდებარე ზოგიერთი ტერიტორიის დათმობას მდინარის თანაბრად გამოყენების სანაცვლოდ დათანხმდა. იმის მიუხედავად, რომ შეთანხმების შესრულებას არც ერთი მხარე არ ჩქარობდა, ცივი ომი მაინც ცივმა მშვიდობამ ჩაანაცვლა და 1979 წელს როგორც თეირანში, ასევე ბაღდადში მომხდარი ხელისუფლების შეცვლამდე ვითარების გამწვავება აღარ მომხდარა.
ვიდრე ეგვიპტის სათავეში გამალ აბდელ ნასერი იმყოფებოდა, მისი პანარაბული სოლიდარობის პოლიტიკის წინააღმდეგ ირანი ძალისხმევას არ იშურებდა. ეგვიპტის, ლიბიისა და სირიის ფედერაციულ სახელმწიფოდ გაერთიანების იდეის საპასუხოდ ის იორდანია-ერაყის პაშიმიტური სამეფოს შექმნის წახალისება-მხარდაჭერას ეწეოდა. საიდუმლო ოპერაციების გეგმის თანახმად, სავაქი ლიბანში ზოგიერთ პოლიტიკურ ჯგუფს, მაგალითად, მარონიტ ფალანგისტებს და სომეხ დაშნაკებს, ასევე ინფორმაციის საშუალებებს აფინანსებდა. კერძოდ, ირანმა 15 ათასი დოლარით დააფინანსა 'ალ-ჰაიათის' საგაზეთო კამპანია როგორც პირადად ნასერის წინააღმდეგ, აგრეთვე, ინტეგრაციის გზაზე დამდგარ არაბულ ქვეყნებს შორის განხეთქილების ჩამოგდების მიზნით. 1960 წელს ეგვიპტემ თეირანის მიერ ისრაელის სახელმწიფოს აღიარების საპასუხოდ მასთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა, ათი წლის შემდეგ კი შაჰმა იგივე გადაწყვეტილება ლიბანთან მიმართებაში იქ თემურ ბახთიარის ყოფნის გამო მიიღო.
ირანი აქტიურად მონაწილეობდა სენტოს[16] სამხედრო-პოლიტიკურ სტრუქტურებში, სადაც 1960-იან წლებში მის გარდა ბრიტანეთი, პაკისტანი, თურქეთი და აშშ შედიოდნენ. კომუნიზმის შეჩერების მიზნით გაერთიანებული ეს ქვეყნები სამხედრო და სადაზვერვო საკითხებში მჭიდროდ თანამშრომლობდნენ. 1970 წლისთვის რეგიონში კრემლი დიდ გავლენას ფლობდა. ეგვიპტეში მას 15 ათასი სამხედრო ექსპერტი ჰყავდა[17], სირიაში, სამხრეთ იემენსა და სომალიში სამხედრო-საზღვაო ბაზები გააჩნდა, ლიბიასთან კი სტრატეგიული პარტნიორობა აკავშირებდა. ამასთან, პალესტინის კონფლიქტისადმი დამოკიდებულების და

მიუმხრობელი ქვეყნების ანტიკოლონიური ბრძოლის მხარდაჭერის გამო ახლო აღმოსავლეთის საზოგადოების საგრძნობ ნაწილშიც ის პოზიტიური იმიჯით სარგებლობდა. ამიტომ რუსულ ორბიტასთან მყოფი სირიისა და ეგვიპტის მოქმედებებს ირანი ეჭვის თვალით უყურებდა. კაიროსთან ურთიერთობის დათბობა შესაძლებელი მხოლოდ მას შემდეგ გახდა, რაც ახალმა პრეზიდენტმა, ნასერის ყოფილმა მოადგილემ ანვარ ალ-სადათმა საგარეო-პოლიტიკური კურსი დიამეტრალურად შეცვალა.

აღმოსავლეთით მონარქისტულ ავღანეთთან კონტაქტები დინამიურად ვითარდებოდა, მაგრამ 1973 წელს ქაბულში მომხდარი სასახლის გადატრიალების შემდეგ ქვეყანა შიდაარეულობამ მოიცვა და საზოგადოებრივ ასპარეზზე როგორც მარქსისტული, ასევე ისლამისტური დაჯგუფებების მკვეთრმა გააქტიურებამ შაჰის შეშფოთება გამოიწვია.

პაკისტანსა და ინდოეთს შორის სისხლიანი ომების დროს თეირანი თავის მეზობელს უჭერდა მხარს. ორმხრივი შეთანხმების თანახმად, პაკისტანის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავები ფრონტის ხაზიდან ირანის აეროდრომებზე ეშვებოდნენ, საწვავით უფასოდ მარაგდებოდნენ და ისევ საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად მიემართებოდნენ. თუმცა სენტოს წევრობამ და ირანის დახმარებამ 1971 წლის ომის კატასტროფული შედეგებისგან პაკისტანი მაინც ვერ იხსნა.

ფაჰლავიმ არაერთხელ გამოაცხადა, რომ შეიარაღებული ძალების მოვალეობა მოიცავდა ეროვნული ინტერესების დაცვას ქვეყნის საზღვრებს გარეთაც. ამ მოტივით ის ამა თუ იმ კონფლიქტის მხარეს არა მხოლოდ ფინანსურად ან შეიარაღებით ეხმარებოდა, არამედ საბრძოლო შენაერთებითაც უზრუნველყოფდა. 1970 წელს შაჰმა მთელი საჯარისო ბრიგადა გააგზავნა სპარსეთის ყურის გაღმა ომანის სულთნის ომში ამბოხებული დოფარის პროვინციის დასამორჩილებლად. საუდის არაბეთთან, იორდანიასთან და ისრაელთან ერთად ირანი აგრეთვე აქტიურად ჩაერია იემენის სამოქალაქო ომში მონარქისტების მხარეზე რესპუბლიკელთა წინააღმდეგ, რამაც მხოლოდ მცირე ხნით გადააედა მუთავაქილთა დინასტიის საბოლოო დამხობა.

ამდენად, ირანის რეგიონული პოლიტიკა შესაძლოა შეფასდეს როგორც თანმიმდევრული, მიზანდასახული და აქტიური. პოსტბრიტანულ ახლო აღმოსავლეთში თეირანის მიერ ჟანდარმის ფუნქციების შესრულებით ირანის ხელისუფლება ამაყობდა, არაბული სამყაროს ნაწილი კი ქილიკობდა. სწრაფმა ეკონომი-

კურმა ზრდამ შესაძლებელი გახადა, რათა ირანს დიდი რაოდენობით სამხედრო შესყიდვები განეხორციელებინა, შეიარაღების მოდერნიზაცია მოეხდინა და იმპერიული არმია მნიშვნელოვნად გაეძლიერებინა. ქვეყნის შიგნით ოპოზიციის ჩახშობის გზით პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციის შედეგად თეირანს საშუალება მიეცა, მთლიანად რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტის როლის შესრულებაზე ალაპარაკებულიყო. ირანის გავლენის გაზრდაში, მით უფრო ჰორმუზის სრუტის კუნძულების დაკავების ფონზე, არაბული სახელმწიფოების მმართველი წრეები რეგიონში სპარსული ჰეგემონიის დაბრუნების შემაშფოთებელ ტენდენციას ხედავდნენ. თავისი პოლიტიკის განხორციელებისას თეირანს მართლაც არა მარტო საკუთარ ინტერესებზე ზრუნვა ამოძრავებდა. ის, ამავე დროს, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ბრიტანეთთან, ისრაელთან თუ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან პარტნიორობის პრინციპებს იცავდა[18].

ყველაზე ნაკლებად შაჰი არაბული და მუსლიმანური სამყაროს ინტერესებს ითვალისწინებდა: გარდა იმისა, რომ დგამდა კონკრეტულ ნაბიჯებს სხვადასხვა ქვეყნების ერთიანობის ან ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ, ის ხელს უშლიდა ზოგიერთი რესპუბლიკური წყობის მქონე ქვეყნების ურთიერთდაახლოებას და, რაც მთავარია, პალესტინის კონფლიქტის გარშემო ერთიანი ფრონტის ჩამოყალიბებას. საბოლოო ჯამში, ასეთმა პოლიტიკამ ირანის ხელისუფლებას მძიმე დარტყმა მიაყენა. მოგვიანებით ოპოზიციის ყველა სეგმენტს არაერთი მიზეზი მიეცა, რათა საშინაო პოლიტიკასთან ერთად შაჰის საგარეო კურსის წინააღმდეგ არანაკლებ მძაფრი კრიტიკით გამოსულიყო. ამიტომ მეზობელ ქვეყნებშიც მან ქმედითი დახმარება მიიღო. ხანგრძლივი დროის განმავლობაში შაჰის ოპოზიციის პროპაგანდისტული კამპანია მეზობელ ერაყს შეფარებული სასულიერო ლიდერებისგან ხორციელდებოდა, მომავალი პარტიზანული ბრძოლების მართვის გამოცდილებაც შიიტური სამღვდელოების დალოცვით ოპოზიციის მებრძოლებმა ლიბანის ტერიტორიაზე გაიარეს. მეზობელი ქვეყნების ოფიციალური წრეები ან აშკარად ხელს უწყობდნენ ან თვალს ხუჭავდნენ შაჰის საწინააღმდეგო მოძრაობის გაშლაზე. როდესაც გადამწყვეტი მომენტი დადგა, მუჰამედ რეზა ფაჰლავის მისი კეთილისმსურველები ვერაფრით დაეხმარნენ, მანამდე ჩაგრულისა და დევნილის მდგომარეობაში მყოფი ანტიმონარქისტული ძა-
ლების ? ურებმა კი შესძლეს ხელისუფლების სრული და-

მარცხება საინფორმაციო, ფსიქოლოგიურ და ბიოლოს შეიარაღებულ ბრძოლებში.

[1] ებრ: ჰამოსად ლემიდი'ინ ე'ლე თაექიდიმ მეიუპადიმ – დაზვერვისა და სპეციალურ ოპერაციათა ინსტიტუტი
[2] სპარსული აკრონიმი: სააზმანე ამნიათ ვა ეთთელაათე ქეშვარ – ქვეყნის უშიშროებისა და ინფორმაციის ორგანიზაცია
[3] სტიფენ გოლშტეინი, 'ქურუშიდან ჰამადინეჯადამდე'
[4] 'დეილი ექსპრესი', 1972 წლის 14 ივნისი
[5] 1978 წლის 31 აგვისტოს, ირანში რეოლუციური ბრძოლის აღმაფლობის დროს, სადრი ტრიპოლიდან რომში თვითმფრინავით ჩასვლისას ორ მხლებელთან ერთად უკვალოდ დაიკარგა. მისი ბედის შესახებ დღემდე არაფერია ცნობილი, თუმცა თავიდანვე ეჭვი გაჩნდა, რომ ეს გაუჩინარება პოლიტიკური მკვლელობებით სახელგანთქმული საეაქის ან მისი პარტნიორი სპეცსამსახურების ოპერაციის შედეგი უნდა ყოფილიყო. სადრების სახელმოხვეჭილმა რელიგიურმა ოჯახმა თავისი დაუმორჩილებლობით დიდი საზრუნავი სადამ ჰუსეინსაც გაუჩინა, რომელმაც დიდი მცდელობის მიუხედავად მისი მიმხრობა ან განუმება ვერ შესძლო. მუსას ერთი ბიძაშვილი მუჰამედ ბაყირ ალ-სადრი თავის დასთან ერთად 1980 წლის 9 აპრილს ციხეში ჩამოახრჩეს, ხოლო მეორე ბიძაშვილი სადეყ ალ-სადრი ორ ვაჟთან ერთად 1999 წელს ნეჯეფში დახვრიტეს. სადეყის მეოთხე ვაჟი მუყთადა ალ-სადრი ერაყში 2003 წლის ანგლო-ამერიკული შემოსევის შემდეგ გაელენიანი სასულიერო ლიდერი და 'მაჰდის არმიის' მეშვეობით შიიტების შეიარაღებული წინააღმდეგობის მოძრაობის სულისჩამდგმელი გახდა.
[6] არაბული აკრონიმი: აფვაჯ ალ-მუყაემათ ალ-ლუბნანია – ლიბანის წინააღმდეგობის რაზმები.
[7] სპარს: მოჯაჰედინე ხალყე ირან – ირანის ხალხის მებრძოლები
[8] არაბ: ფედაიუნ – თავისუფლებისათვის მებრძოლები.
[9] არაფატი პირველი უცხოელი სტუმარი გახდა, რომელიც პოსტ-მონარქისტულ ირანს ოფიციალურად ეწვია.
[10] შ.ნიაზმატოვი, 'ირან-ერაყის კონფლიქტი', გვ38
[11] იქვე, გვ411
[12] არაბ: ჰიზბ ალ-ბაას ალ-არაბი ალ-იშთირაქ - არაბული სოციალისტური აღორძინების პარტია
[13] შაჰის მეორე ცოლის სორაია ესფანდიარის ბიძა და ბოლო პრემიერ-მინისტრის შაჰფურ ბახთიარის ნათესავი თემურ ბახთიარი საეაქის პირველი უფროსი გახდა. მოგვიანებით მას ბრალი წაუყენეს ერაყის დაფინანსებით შაჰის ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზებაში, კერძოდ, პრემიერ-მინისტრის და სასახლის მინისტრის მკვლელობის მცდელობაში, და დაუსწრებლად სიკვდილი მიუსაჯეს. 1970 წლის აგვისტოში საეაქის აგენტებმა შესძლეს ერაყში თავშეფა-

რებულ ბახთიართან მსაკერულად დაახლოება და ნდობის მოპოვება, რის შემდეგ ის ნადირობის დროს მოკლეს.

[14] ოცი წლის შემდეგ იორდანიის მეფე ჰუსეინ ბინ ტალალი ერთადერთი არაბი ლიდერი იქნება, რომელიც ერაყის მიერ ქუვეითის ოკუპაციას არ დაგმობს.

[15] ტოპონიმიკური ომის პირობებში ირანში არ ცნობენ ტერმინს 'შატლ-ალ-არაბ' (არაბული მდინარე) და მას არვანდ რუდს (მდინარე არვანდს) უწოდებენ. ანალოგიურად, არაბებისთვის მიუღებელია საყოველთაოდ აღიარებული ტერმინი 'სპარსეთის ყურე' და მას არაბეთის ყურის სახელით მოიხსენიებენ.

[16] ინგლისური აკრონიმი: ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაცია

[17] ანვარ ალ-სადათი, 'თვითმყოფადობის ძიებაში', 1978, გვ.237

[18] სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას კაცომოძულე აპარტეიდული რეჟიმი მართავდა, ოუმცა ეს გარემოება შაპს მასთან მოძგებიანი საეკონომო ურთიერთობის წარმოებაში ხელს არ უშლიდა.

ძალაუფლების დაბრუნების შემდეგ ფაჰლავიმ ირწმუნა, რომ ვაშინგტონის სახით სანდო მოკავშირე ჰყავდა და ამიტომ მასთან ყოვლისმომცველი მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას შეუდგა. უპირველესად, მომავალში შიდაპოლიტიკური მდგომარეობის შესაძლო გამწვავების თავიდან აცილების მიზნით მან უშიშროებისა და თავდაცვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება განიზრახა. საჭირო გახდა შეიარაღებულ ძალებში 1941 წელს დამკვიდრებული დამარცხებულის სინდრომის გადალახვა და არმიის მოდერნიზაცია, აღჭურვა და იდეოლოგიურად მომზადება. ამ მიზნით პირველი ამერიკელი სამხედრო მრჩევლები და ინსტრუქტორები ირანში 1944 წელს გაჩნდნენ.

მუჰამედ რეზას მმართველობის საწყის 22 წელიწადში შიდაკრიზისული ვითარების დასარეგულირებლად არმია სამჯერ იქნა გამოყენებული: მან ჯერ ჩრდილოეთ ირანში მარქსისტ სეპარატისტებს მოუღო ბოლო, 1953 და 1963 წლებში კი შაჰის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მოძრაობა ჩაახშო. მადლიერმა მონარქმა ჯარი თავისი ზრუნვის პრიორიტეტად აქცია. დიდძალი თანხები დაიხარჯა სამხედრო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. მაღალი სტანდარტით გარემონტებულ ბაზებზე მეჩეთები და კინოთეატრებიც აშენდა. სამხედრო მოსამსახურეთა სახელფასო შემოსავალი წოდების მიხედვით საკმაოდ განსხვავდებოდა, მაგრამ საზოგადოების სხვა ფენებთან შედარებით მაინც სოლიდურად გამოიყურებოდა: გენერლები ექვსი ათასი დოლარის ექვივალენტ ირანულ რიალს იღებდნენ, ოფიცრები – საშუალოდ ორი ათასს, სერჟანტების ხელფასი ერთი ათას დოლარს შეადგენდა, ხოლო რიგითების შემოსავალი ოთხას დოლარს აღწევდა. ეს გარემოება, ისევე როგორც ირანში ზოგადად არმიის მზარდი ელიტური სტატუსი, ჯარში სამსახურის და კარიერული წინსვლის მოტივაციას ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა, მით უფრო, რომ სამხედროები სოციალური შეღავათებითაც სარგებლობდნენ.

ყოველდღიურად ისინი ღმერთის, შაჰისა და სამშობლოს ერთგულების ფიცს დებდნენ. ამ ტრიადაში შაჰის მეორე ადგილი იმას მიუთითებდა, რომ მისი ძალაუფლების დაცვა სამხედროების უმნიშვნელოვანეს მოვალეობას წარმოადგენდა. ოფიცერთა დაწინაურების ბრძანებებს მაიორის წოდების ზევით შაჰი ხელს პირადად აწერდა. მას ძალიან უყვარდა სამხედრო მუნდირში გამოწყობა თუ უცხოური სამხედრო თემატიკის ჟურნალების

გაცნობა. სხვა ქვეყნების კომპანიებთან სამხედრო შეთანხმებების გაფორმებასაც ის უშუალოდ ზედამხედველობდა. კონტრაქტებისათვის მიღებული დიდი ქრთამის გამო ირანულ ბიმონდში გენერალიტეტი მალე ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ჯგუფი გახდა.

ჰორმუზის სრუტეში კუნძულების დაკავების ოპერაციამ არმიის ავტორიტეტი გაზარდა. ვინაიდან ხელისუფლება შეიარაღებულ ძალებს საგარეო პოლიტიკის წარმოების ერთ-ერთ საშუალებად განიხილავდა, მან სამხედრო გადაიარაღების გამალებული პროგრამა გააგრძელა.

ჯერ კიდევ 1964 წელს, როცა ქვეყანას საკმარისი რაოდენობით სავალუტო რეზერვი არ გააჩნდა, მეჯლისმა მოიწონა მთავრობის გადაწყვეტილება 100 ერთეული ფ-5 ტიპის ავიაგამანადგურებლის შესაძენად აშშ-სგან 200 მილიონი დოლარის ოდენობით კრედიტის აღების თაობაზე. ოთხი წლის შემდეგ შაჰის ვიზიტის დროს გაფორმდა შეთანხმება 600 მილიონი დოლარის ღირებულების სამხედრო ტექნიკის შესყიდვის შესახებ. ბრიტანეთის შემდეგ ირანი ფ-4 'ფანტომების' შემსყიდველი მეორე უმსხვილესი სახელმწიფო გახდა. მხოლოდ ოთხი წლის განმავლობაში 1973-76 წწ. შეიარაღების შეძენაზე თეირანმა 15 მილიარდი დოლარი დახარჯა, ხოლო ოცი წლის მანძილზე – 36 მილიარდი[1], მათ შორის 6,8 მილიარდი აშშ-ს კონგრესისგან გასაიდუმლოებული შეთანხმებების საფუძველზე.

შაჰის არმია გიგანტური მასშტაბებით იზრდებოდა. მის შეიარაღებაში 400 მოიერიშე და გამანადგურებელი თვითმფრინავი და 2200 საბრძოლო ტანკი იყო, რაც საუდის არაბეთის შეიარაღებას რაოდენობით ხუთჯერ აღემატებოდა. ორი ირანული ავიამზიდი სპარსეთის ყურეში იყო ბაზირებული. 1972 წელს კუნძულ ხარკზე მსოფლიოში სამხედრო-საზღვაო ძალების ერთ-ერთი უმსხვილესი ბაზა გაიხსნა. საზღვაო ფლოტის ბაზის კეთილმოწყობის მიზნით 200 მილიონი დოლარი დაიხარჯა ასევე ბენდერ-აბასში, ოთხჯერ მეტი კი – პაკისტანის საზღვრის სიახლოვეს ჩაჰბეჰარში ინდოეთის ოკეანის ზონაში მსხვილი საავიაციო და საზღვაო ბაზის შესაქმნელად.

ყოველივე ეს ამერიკელთა ყოველმხრივი დახმარების საფუძველზე ხორციელდებოდა. საელჩოში თავდაცვის ატაშეს ოფისის გარდა, პენტაგონს ირანში მუდმივმოქმედი სამხედრო მისია გააჩნდა, რომლის მეშვეობით ყველა ერთობლივი პროექტი სრულდებოდა. 1978 წლის ოქტომბრისთვის ირანში 58 ათასი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე და სამოქალაქო კონტრაქ-

ტორი მოღვაწეობდა[2] მაშინ, როდესაც თვით ირანის თავდაცვის სამინისტროში 450 ათასი კაცი მსახურობდა. აშშ-ს სამხედრო პერსონალი ირანის ჯარში სრულად იყო ინტეგრირებული: ხელფასით, ტრანსპორტირებით, განთავსებით, სოციალური შეღავათებით და ბავშვებისთვის განათლებით. უსრულველყოფა შაჰის მთავრობის კომპეტენციაში შედიოდა. ამერიკელთა სამსახურეობრივი პირადობის მოწმობებიც კი მიუთითებდა, რომ ისინი ირანის შეიარაღებულ ძალებს ეკუთვნოდნენ[3]. ამერიკელი ოფიცრების წლიური ხელფასი 150 ათასიდან ორასი ათას დოლარამდე მერყეობდა.

ირანის სახმელეთო, საზღვაო და საავიაციო ბაზებით შეერთებული შტატები აქტიურად სარგებლობდა. ინდოეთის ოკეანეში წყალქვეშა ნავების სტაციონირებისათვის კუნძულ დიეგო-გარსიას გარდა ის ირანის სანაპიროზე ჯასკში მდებარე ბაზას იყენებდა. არაბთა გაერთიანებულ საემიროებთან ტერიტორიული დავის საკითხში ვაშინგტონის მიმხრობის მიზნით თეირანმა მას კუნძულ აბუ-მუსაზე რადიო-საკომუნიკაციო ცენტრის ჩამოყალიბების ნებართვა მისცა. ანალოგიურ საიდუმლო ობიექტს ჩრდილოეთ ირანში კასპიის ზღვის ნაპირებთან მდებარე საფაზვერეო დანიშნულების ბაზა წარმოადგენდა. ამ ობიექტზე, რომელიც გარეგნულად მთვარესე ასტრონავტების საფგურს უფრო ჰგავდა, ცენტრალური საფაზვერეო სამსახურის ოფიცრები განსაკუთრებით მნიშვნელოვან ამოცანებს ასრულებდნენ[4]. ამერიკელთა ხელშეწყობით შაჰი აგრეთვე ქვეყნის შიგნით ტოტალური კონტროლის სისტემის შექმნას ცდილობდა. უშიშროებაზე პასუხისმგებელ უწყებას საეაქი წარმოადგენდა, რომელიც ისრაელისა და აშშ-ს ტექნიკური, მატერიალური და საკადრო დახმარებით 1957 წელს შეიქმნა. საეაქმა ამერიკულ ფირმა 'როქუელ ინტერნეშნალთან' 5,5 მილიონი დოლარის ღირებულების კონტრაქტი გააფორმა, რომლის საფუძველზე მის განკარგულებაში სატელეფონო საუბრების მონიტორინგის სისტემა 'აიბიექსი' აღმოჩნდა. საიდუმლო სამსახურს სათაეეში შაჰის ნდობით აღჭურვილი უახლოესი ადამიანები ედგნენ. მაგრამ, ამის მიუხედავად, სამეფო სასახლის კარზე შაჰმა სპეციალური სადაზვერვო ბიურო ჩამოაყალიბა, რომლის ხელმძღვანელად ბავშვობისდროინდელი მეგობარი ჰოსეინ ფარდუსთი დანიშნა და, სხვა ამოცანებთან ერთად, სწორედ საეაქის მაღალი თანამდებობის პირების სატელეფონო მოსმენა დააკისრა. გარდა ამისა, შაჰის არმიის მეთაურების საუბრების მონიტორინგისათვის აშშ-ში საჭირო ტექნიკური საშუალებების შესაძენად 7,5 მილიონი დო-

ლარი დაიხარჯა[5]. ფაჰლავიმ ძალოვანი სტრუქტურების ურთიერთკონტროლის ისეთი მექანიზმი შექმნა, რომელსაც სასახლის ან სამხედრო გადატრიალების შესაძლებლობა სრულად უნდა გამოერიცხა.
შაჰზე შეიარაღებული თავდასხმა ორჯერ განხორციელდა: პირველად 1949 წელს უნივერსიტეტში ვიზიტის დროს ის ფედაინების აქტივისტმა რევოლვერიდან გასროლით დაჭრა, ხოლო 1965 წელს სამეფო სასახლეში დაცვის შეიარაღებულმა წევრმა სროლებით სცადა ფაჰლავის სამუშაო ოთახში შეჭრა. თუმცა შაჰისგან განსხვავებით მისი ორი პრემიერ-მინისტრი ჰაჯ-ალი რაზმარა და ჰასან ალი მანსური მკელელობას ვერ გადაურჩნენ.
სავაქის მოვალეობა, ცხადია, ამგვარი თავდასხმების აღკვეთა იყო, მაგრამ ის არა მხოლოდ ექსტრემისტულად განწყობილ დაჯგუფებებს ან პოლიტიკურ ოპოზიციას, არამედ თითოეულ დისიდენტურ აზრს ახშობდა. მიკროსახელმწიფოს ფუნქციების მქონე სავაქმა უზარმაზარი სახელისუფლო მანქანა ტოტალიტარული რეჟიმის განმტკიცების საქმეში ჩაბა: იმ პირობებში, როცა განსხვავებული მრწამსის მქონე პოლიტიკური პარტიების საქმიანობა აკრძალული იყო, ხოლო პრესა მკაცრი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა, ყველა წიგნი თუ თეატრალური წარმოდგენა ცენზურას ექვემდებარებოდა. სავაქის სამოქმედო არე მთელი ქვეყანა იყო. ეს ერთი შეხედვით უხილავი ძალა სახელმწიფო უწყებებში, სასწავლო დაწესებულებებში, ბაზრებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში და დასასვენებელ პარკებში იყო დაბუდებული. 60 ათასამდე აგენტი შაჰის ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ადამიანების გამოვლენისა და ნეიტრალიზაციის საქმით იყო დაკავებული. ზოგი ცნობით, საკუთარი სურვილით ან იძულებით ინფორმატორის როლს სამი მილიონამდე ადამიანი ასრულებდა[6].
მოსმენების გარდა, ფართოდ მოიკიდა ფეხი დასმენის ინსტიტუტმა. ასეთ დროს კი ბუნებრივია, რომ რეალურ დისიდენტებთან ერთად დაბეზღებულთა შორის ყოფით ნიადაგზე გადამტერებული ადამიანებიც აღმოჩნდნენ. სავაქის კლანჭებში მოხვედრილებს ერთობ მძიმე ხვედრი ელოდათ. წამების მრავალგვარ მეთოდში შედიოდა გაწკეპლვა, ფეხისგულზე ცემა, ფრჩხილების დაძრობა, ძვლების დამტვრევა, სიგარეტით ან ქიმიური ნივთიერებით სხეულის სხვადასხვა ნაწილების ამოშანთვა, გაუპატიურება, სოდომიზირება თუ ნელი შეწვა – მსხვერპლს ელექტრომავთულზე მიაბაყდნენ და ტოსტერში პურის ნაჭერის

მსგავსად თანდათან აცხელებდნენ. უხეშმა ძალამ ბევრი სასულიერო პირი, სტუდენტი, მუშა და ინჟინერი დაიმორჩილა, მაგრამ ასევე ბევრი შეიწირა. სავაქს შებრალება არ ახასიათებდა, მას არც სასულიერო წოდება ან სამეცნიერო ხარისხი აინტერესებდა: სახელოვან აიათოლა თალეყანის მისი ქალიშვილის გაუპატიურება აყურებინეს, ხანგრძლივი წამების შემდეგ აიათოლა საიდი ელექტროსკამზე მოკლეს, ხოლო აიათოლა აზარშარი ადუღებული ზეთით სავსე ქვაბში ჩააგდეს. ზოგ ნაწამებ ადამიანს სავაქი უკვალოდ აქრობდა. მისი ერთი მაღალჩინოსნის აღიარებით, 'მათ იოლად შეეძლოთ წამების ცოცხალი დოკუმენტების თავიდან მოცილება[7]'. ისფაჰანის ციხეში პატიმრებს დამშეულ კატებს და შხამიან გველებს უგდებდნენ, ხოლო რიგში მდგომი სხვა ფსიქოლოგიურად უკვე გატეხილი პატიმრები მზად იყვნენ, ხშირად ყველაზე წარმოუდგენელი დანაშაული ელიარებინათ[8]. ამერიკელი ექსპერტების თანახმად, სავაქის ჯურღმულებში წლიურად საშუალოდ 150 პოლიტპატიმარი იღუპებოდა[9]

შაჰის საპყრობილეებში არაერთი პოეტი, რეჟისორი, პროფესორი, მწერალი თუ თეატრის დირექტორი იჯდა. ჩვეულებრივ, წამების შემდეგ ისინი სატელევიზიო კამერების წინაშე აღმოჩნდებოდნენ ხოლმე, რათა თავიანთი ცოდვები მოენანიათ

პრობლემებისადმი ზედმეტი ყურადღების მიქცევა და ქვეყნის წარმატებების არასაკმარისი აღნიშვნა. კომუნისტური საბჭოეთის მსგავსად, მონარქისტულ ირანშიც ოპონენტების მისამართით საქვეყნოდ იარლიყების მიკერება იყო გავრცელებული: მაგალითად, ხარაბქარ (მაენებელი) ან დოშმან (მტერი). 'მაკბეტის' და 'ჰამლეტის' დადგმა პიესებში მეფის და პრინცის მკვლელობის გამო ტაბუდადებული იყო. რომელიმე აკრძალული წიგნის წაკითხვა ან სახლში შენახვა და მოსადეყის ან ხომეინის სურათის ქონა დაპატიმრებისთვის საკმარის დანაშაულად ითვლებოდა.

'დიადი ცივილიზაციის' გზაზე დამდგარი ირანელები იძულებული იყვნენ, ქარაგმებით ესაუბრათ ან პირადი უსაფრთხოების გამო სარისკო საკითხები საერთოდ არ ეხსენებინათ. ბევრი ადამიანი საზღვარგარეთ გაიქცა. ნახევარ მილიონამდე ირანელი მხოლოდ შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. მათ შორის შემოქმედებითი ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენელი იყო, რომელიც უშიშროების სამსახურის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ საქმიანობას წარმოუდგენლად მიიჩნევდა. იყვნენ, აგრეთვე, სტუდენტები, რომლებიც შაჰის მთავრობამ სასწავლებლად გა-

აგზავნა. უცხოეთში მათი დაფინანსება პოტენციური შფოთისთავების თავიდან მოშორებას და, მეორე მხრივ, ხელისუფლებისადმი მადლიერების მიღებას ემსახურებოდა.
სავაქის ცენტრალურ აპარატში ამერიკელთა მუდმივი მისია ფუნქციონირებდა, ასევე, შტატებში აქტიურად მოქმედებდა სავაქის ბიურო მანსურ რაფიზადეს ხელმძღვანელობით. ამდენად, სასწავლებლად მყოფი სტუდენტების შესახებ სავაქს სრული ინფორმაცია მოეპოვებოდა. თუმცა მორჩილი მასის ნაცვლად ამ სტუდენტებისგან შაჰმა მოგვიანებით მებრძოლი ახალგაზრდობა მიიღო, რომელმაც მას და ამერიკულ ინტერესებს ირანული და ამერიკული ქუჩებიდან შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია. ძნელია ისტორიაში სხვა ისეთი მაგალითის მოძებნა, როცა განათლების მიმცემ ქვეყანას ასეთი დიდი რაოდენობით ადამიანი მოკლე დროში ესოდენ უკომპრომისო მოწინააღმდეგედ გადაექცა. შემდგომი მოვლენების განვითარებაში ამ ირანულმა ფენომენმა გამორჩეული როლი შეასრულა.
ფარაჰ ფაჰლავიმ თავის მემუარებში აღიარა:

> *'სავაქის ზოგმა აგენტმა უდავოდ გადააჭარბა მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას და გაუმართლებელი საქციელი ჩაიდინა, რითაც უნებურად მეფისა და მონარქიის მორალურ სახეს ზარალი მიაყენა[10]'.*

მისი მტკიცებით, გარკვეული დროის შემდეგ ჩაფიქრებული იყო სავაქის რეორგანიზაცია და მისი გადაქცევა ამერიკული და ბრიტანული უშიშროების სამსახურების მსგავს უწყებად. 1977 წელს ვითარება მართლაც შეიცვალა: უცხოეთის პოლიტიკური მოღვაწეების მიერ ადამიანის უფლებების საკითხის წინ წამოწევამ და საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების მიერ ირანის შესახებ მკვეთრად უარყოფითი მოხსენების შემდეგ შაჰმა 357 პოლიტიკური პატიმარი გაათავისუფლა. საპყრობილეს კარები პირველად გაიღო 'ემნესთი ინტერნეშნალის' თუ 'წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის' ორგანიზაციის წარმომადგენლებისთვის. მცირე ხანში დისიდენტური ტიპის მწერალთა ასოციაციამ დარბევების და დაპატიმრებების გარეშე პირველი შეკრება ჩაატარა. ნოემბერში ჟურნალი 'თაიმი' აღნიშნავდა, რომ 'მთავრობამ პოლიციური სახელმწიფოდან უფრო ფართო პიროვნული თავისუფლებების დამკვიდრებისკენ მიმართული ნაბიჯები გადადგა'[11]. თუმცა ერთპარტიული პოლიტიკური სისტემის პირობებში სავაქი აბსოლუტური მონარქიის ძირითად დასაყრდენად ბოლომდე დარჩა.

როგორც სამხედროების, ასევე სავაქელების მეთაურებმა შაჰის ნდობა გაამართლეს და მონარქიის მიმართ მართლაც ერთგულების მაღალი დონე გამოაელინეს. ფაჰლავი მათ ყოელისშემძლეობაში იმდენად დარწმუნებული იყო, რომ ამაყად აცხადებდა:

ჩემს დამხობას ვერავინ შესძლებს. ჩემს უკან 700 000 ჯარისკაცი დგას[12]*.*

თუმცა სამსახურის 22 წლიანი არსებობის მანძილზე სავაქის დირექტორის თანამდებობაზე ნამყოფი ოთხი გენერლიდან ძალადობრივი სიკვდილის თავის აცილება ვერც ერთმა მათგანმა ვერ შესძლო: თემურ ბახთიარი შაჰის ხელისუფლებამ მოაკვლევინა, ხოლო ჰასან ფაქრავანი, ნემათოლა ნასირი და ნასერ მოყადამი რევოლუციურ ტერორს შეეწირნენ.

[1] 'თაიმი', 1978 წლის 27 ნოემბერი
[2] უილიამ სალივანი, 'მისია თეირანში', 1981
[3] იქვე, გვ.74
[4] ჯეიმს ბომფორდი, 'საიდუმლო ორგანიზაცია', 2001, გვ.124
[5] ჰოსეინ ფარდუსთი, 'ფაჰლავთა დინასტიის აღმასელა და დაცემა', 1999
[6] რიშარდ კაპუშჩინსკი, "შაჰინშაჰი', 1982
[7] 'თაიმი' 1979 წლის 19 თებერვალი
[8] 'შაჰინშაჰი', გვ.64
1964 წელს წამებას ვერც მომავალი პრეზიდენტი ალი აქბარ ჰაშემი-რაფსანჯანი გადაურჩა. მას სავაქელებმა ძეალი მოსტეხეს.
[9] 'თაიმი', 1979 წლის 19 თებერვალი
[10] ფარაჰ ფაჰლავი, 'მარადიული სიყვარული', 2004, გვ. 238
[11] მუჰამედ რეზა ფაჰლავი, 'პასუხი ისტორიას', 1980, გვ.152
[12] ასაფ ჰუსეინი, 'ისლამური ირანი', 1985, გვ.124

საშინაო პოლიტიკა 60-70 წლებში

1963 წლის 26 იანვარს შაჰმა საერთო-სახალხო რეფერენდუმზე რეფორმების ჩატარების საკითხი გაიტანა, რომელიც სოციალური, საგანმანათლებლო, ეკონომიკური და სასოფლო-სამეურნეო დარგების მოდერნიზაციას ისახავდა მიზნად. თვით რეფერენდუმის გამართვის ფაქტი იმას მიუთითებდა, რომ ქვეყნის შიგნით და გარეთ ფაჰლავის ისეთი ლიბერალი მონარქის სახელის დამკვიდრება სურდა, რომელიც თავისი ახლოაღმოსავლელი კოლეგებისგან განსხვავებით მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ხალხის ნება-სურვილით იღებდა. იმის მიუხედავად, რომ ღონისძიების შედეგები ეჭვს არ იწვევდა, კენჭისყრა მაინც ორიგინალური მეთოდით ჩატარდა: ამომრჩეველს ბიულეტენის ჩასაგდებად ორი ყუთი შესთავაზეს, მათგან ერთს გარკვეეით სიტყვა 'მოვაფეყ' (მომხრე) ეწერა, ხოლო მეორეს - 'მოხალეფ' (მოწინააღმდეგე). სავაქის რეპრესიების ფონზე გასაკვირი არ იყო, რომ ხმების 99,6% შაჰის ინიციატივების მხარდამჭერად გამოცხადდა. ამით ხელისუფლებამ ცხოვრებაში რეფორმების გასატარებელი კარტ-ბლანში მიიღო.

ირანის ისტორიაში 6 ბაჰმანის რევოლუციის და თეთრი რევოლუციის სახელით შესულ ამ მოვლენას ქვეყნის განვითარების საქმეში ახალი ეპოქა უნდა დაეწყო. უპირველესად, მთავრობა შეუდგა მსხვილი მემამულეებისგან მიწების შესყიდვას და საბაზრო ღირებულებასთან შედარებით 30% ფასდაკლებით გლეხებისთვის მათ მიყიდვას. ამასთან, გლეხს საშუალება მიეცა, თანხა 25 წლის მანძილზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით გადაეხადა. ამ გზით დაახლოებით ცხრა მილიონ ადამიანს სოფლად ფეოდალისგან გათავისუფლების საშუალება მიეცა.

რეფორმების მეორე პუნქტის შესაბამისად, გამოცხადდა ტყის ნაციონალიზაცია და გატარდა ღონისძიებები ხეების მასობრივი განაშენიანებისთვის. ხელისუფლებამ ასევე დაიწყო სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებული ფაბრიკა-ქარხნების გადაცემა კერძო მფლობელობაში, რასაც ახალი სამრეწველო კლასის ჩამოყალიბებისთვის უნდა შეეწყო ხელი. წერა-კითხვის უცოდინრობის აღმოსაფხვრელად 'განათლების კორპუსი' შეიქმნა, აგრეთვე სოფლად გავრცელებული დიფტერიის, მალარიის, ტუბერკულიოზის და ქოლერის დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად 'ჯანმრთელობის კორპუსი' ჩამოყალიბდა, სადაც ჯანდაცვის სფეროს ათასობით სპეციალისტი შევიდა. ახლადდაკომპლექტებულ 'რეკონსტრუქციის და განვითარების კორ-

პუსს' გლეხებისთვის ფერმერობის ახალი მეთოდების სწავლება დაეკალა. შესაბამისი ფონდის მეშვეობით პროვინციებში შეუდგენენ სკოლების, ბიბლიოთეკების და საზოგადოებრივი აბანოების მშენებლობას, აგრეთვე, წყლის საქაჩების და დენის გენერატორების დამონტაჟებას. დაწყებით სკოლაში სწავლა სავალდებულო და უფასო გახდა. დაიწყო მუშაობა სოციალური უსაფრთხოებისა და დაზღვევის სისტემის შესაქმნელად, რომელიც პენსიაზე გასვლის შემდეგ მოქალაქისთვის ხელფასის 100%-ით მიცემას ითვალისწინებდა.

გამოიცა შაჰის ბრძანებულება ქალებისთვის საარჩევნო უფლების მინიჭების შესახებ, რასაც კიდევ რამდენიმე ნოვატორული კანონი დაემატა. საოჯახო სამართალში შეტანილი ცვლილების შემდეგ განქორწინების და ბავშვის პატრონაჟის საკითხების გადაწყვეტისას ქალს მამაკაცთან გათანაბრებული უფლება მიეცა. მრავალცოლიანობის ზღვარი ადრინდელი ოთხის ნაცვლად ახლა ორით განისაზღვრა, ამასთან, მეორე ცოლის მოყვანა მხოლოდ პირველი მეუღლის თანხმობის შემთხვევაში გახდა შესაძლებელი[1]. დროებითი ქორწინების ინსტიტუტი სიღე აიკრძალა.

ერთი დეკადის განმავლობაში წერა-კითხვის უცოდინართა პროცენტული მაჩვენებელი ორჯერ შემცირდა, მოსწავლეთა რაოდენობა კი ოთხჯერ გაიზარდა. სიკვდილიანობა 1000 კაცზე 25-დან 16-მდე შემცირდა, ხოლო სიცოცხლის საშუალო მაჩვენებელი 10 წლით მოიმატა და 51 წელს მიაღწია. პოლიკლინიკების რიცხვი 80%-ით გაიზარდა, აფთიაქების – 50%-ით. თუმცა საზღვარგარეთ კვალიფიცირებული პერსონალის გადინებაც თვალშისაცემი გახდა. ხუთი წლის მანძილზე უცხოეთში ხუთჯერ მეტი უმაღლესი სამედიცინო და ტექნიკური სფეროს სპეციალისტი წავიდა, რომელთაგან ბევრი უკან აღარ დაბრუნებულა.

ხუზისტანის ნავთობის ექსპლუატაციისგან ირანის შემოსავლებმა 12 წელიწადში 11-ჯერ იმატა და 3,4 მილიარდ დოლარს მიაღწია. არაბ-ისრაელის 1973 წლის ოქტომბრის ომის შემდეგ გადაუმუშავებელი ნავთობის ფასმა ბარელზე 3 დოლარიდან 11,6 დოლარამდე აიწია, შესაბამისად, ნავთობის საბიუჯეტო შემოსავლები თითქმის გაოთხმაგდა. ამუშავდა ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები შირაზში, ქერმანში და თეირანის რაიონში, გაფართოვდა აბადანის ქარხნის მუშაობის მოცულობა. კუნძულ ხარკზე კი სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარების შედეგად პორტს საათში 40 ათასი ტონა ნავთობის მომსახურების საშუალება მიეცა.

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ ირანი განვითარებული ქვეყნების ნუსხაში შეიტანა, ამიტომ თავდაპირველი წლიური 29 მლნ დოლარის ოდენობის ეკონომიკური დახმარება 1967 წელს სრულად შეუწყვიტა. მცირე ხანში საზღვარგარეთ საფინანსო დახმარების აღმოჩენა თვით ირანმა დაიწყო. 1974 წელს შაჰმა თავისი ახალი მიზანი დაასახელა:

'ახლო აღმოსავლეთში პირველობა საკმარისი არ არის, ჩვენ მსოფლიოს მძლავრი სახელმწიფოების დონეზე უნდა ავიდეთ[2].

მისი პროგნოზით, ათ წელიწადში ეკონომიკური განვითარების დონით ირანი გერმანიას დაეწეოდა, ხოლო XXI საუკუნის დასაწყისში საუკეთესო ხუთეულში დაიკავებდა ადგილს.

1960-70 წწ. სპარსეთის ყურის მთელი რეგიონი სწრაფ ეკონომიკურ აღმასვლას განიცდიდა. ნავთობით მდიდარი არაბული სამეფოები ერთ დიდ სამშენებლო კომპლექსად გადაიქცა. იგივე ხდებოდა ირანშიც. ფრანგი ჟურნალისტი ედუარ საბლიე ასე აღწერდა ნანახ შთაბეჭდილებებს:

'დასახლებული პუნქტები სოკოებივით მომრავლდა. ყველგან შენობა-ნაგებობები და გზები იგება. დედაქალაქის ცენტრში თხუთმეტსართულიანი შენობები აღმოცენდა. ცხოვრების დონე სწრაფად იზრდება. მრეწველობის განვითარების მხრივ ირანს მხოლოდ იაპონია უსწრებს[3]'.

ასეთ ვითარებაში შაჰმა საჭიროდ მიიჩნია თავისი პიროვნების წინ წამოწევა. მონარქიის მეტი პოპულარიზაციის მიზნით უცხოელ სტუმართა მონაწილეობით მან არაერთი გრანდიოზული ღონისძიება გამართა, მათ შორის 1967 წელს სამეფო კორონაცია და 1976 წელს ფაჰლავის დინასტიის დაარსების 50 წლისთავი. 1971 წლის ოქტომბერში კი მან ირანი რამდენიმე დღით მსოფლიოს მიზიდულობის ცენტრად აქცია. ათეულობით სახელმწიფოს მეთაურთა თანდასწრებით სპარსეთის უძველეს დედაქალაქ პერსეპოლისში მონარქიის 2500 წლოვანი ისტორიის აღსანიშნავი ზეიმი ჩატარდა[4].

ქალაქის ნანგრევების წინ სამი უზარმაზარი სამეფო კარვის და 59 მცირე ზომის კარვისგან დიდი ბანაკი გაშენდა. ხიზილალის გარდა ყველა საკვები პროდუქტი ევროპიდან იქნა ჩატანილი. 25 ათასი ღვინის ბოთლი, ისევე როგორც ბაკარას ჭიქები და სერალინ ლიმოჟის ჭურჭელი საფრანგეთიდან გაიგზავნა[5]. პარიზის რესტორანმა 'მაქსიმმა' ირანში 165 მზარეული მიაელინა, რომლებმაც მეფის ოჯახს და სტუმრებს ფარშევანგის მკერ-

დი მიართვეს. ლანვინმა სასახლის კარის პერსონალისთვის საგანგებოდ 50 ახალი ტანსაცმელი მოამზადა, ელისაბედ არდენმა კი ახალი კოსმეტიკური ნაწარმი 'ფარაჰი' გამოუშვა. სხვა მხრივ, უმაღლეს დონეზე ორგანიზებული ბანკეტების გარდა ორი ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა.

ქურუშ მეფის საფლაეთან მუჰამედ რეზა შაჰი მგზნებარე სიტყვით გამოვიდა:

> *'ახლა, როდესაც ირანი თავის ისტორიასთან კავშირის აღდგენისთვის იღვწის, ჩვენ აქ მოვედით, რათა მთელი ხალხის უდიდესი მადლიერება გამოვხატოთ ისტორიის უკვდავი გმირის, მსოფლიოში პირველი იმპერიის დამაარსებლის, დიდი განმათავისუფლებლის, კაცობრიობის ღირსეული შვილის წინაშე[6]'.*

შემდეგ მოეწყო სპარსეთის ისტორიის უნიკალური ექსპოზიცია. ქვეყნის სხვადასხვა ეპოქის ამსახველი სამხედრო აღჭურვილობით 1700-ზე მეტმა ჯარისკაცმა საზეიმო აღლუმში მიიღო მონაწილეობა. აქ იყვნენ ძველი მიდიელები, აქემენიანი ფეხოსნები, პართიელი კავალერისტები, სეფიანთა არტილერისტები, ასევე ბაქტრიულ აქლემებზე და ბრიტანულ ტანკებზე ამხედრებული მეომრები, თანამედროვე სამხედრო მოსამსახურე ქალები და ავიაციის პილოტები. ფაჰლავი კიდევ ერთხელ ადასტურებდა ძველი სპარსეთის იმპერიის მემკვიდრეობას და ქურუშის პერიოდის იდეალიზაციით ირანის დიდების დაბრუნების პირობას დებდა. ამ პოლიტიკამ აპოგეას 1976 წლის 31 მარტს მიაღწია, როცა შაჰმა ახალი, იმპერიული კალენდარი შემოიღო: მზის ისლამური ჰიჯრის კალენდარი, რომელიც ათვლას მექიდან მედინაში წინასწარმეტყველ მუჰამედის გადასვლის თარიღიდან იღებდა, მან მონარქიული კალენდრით ჩაანაცვლა, სადაც წელთაღრიცხვა ქურუშის გამეფებიდან იწყებოდა. 1355 წელი ირანში უცბად 2535 წლით შეიცვალა[7].

ფაჰლავისეული დიადი ცივილიზაციის გეგმით გათვალისწინებული ამბიციური და შორსმიმავალ პროექტები საგარეო სფეროსაც მოიცავდა. შაჰის ჩანაფიქრით, ინდოეთის ოკეანის ზონაში დასავლეთ ევროპის თანამეგობრობის მსგავსი ორგანიზაცია უნდა ჩამოყალიბებულიყო, სადაც ირანიდან სინგაპურამდე რეგიონის ყველა ქვეყანა შევიდოდა მომავალში ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის და აფრიკის სახელმწიფოების ჩართვის პერსპექტივით[8]. სხვა პროექტით, თეირანი დასავლეთ ევროპასა და შორეულ აღმოსავლეთს შორის ძირითად სატრანზიტო პუნქტად უნდა გადაქცეულიყო. ამ მიზნით კომპანია 'ირან ეირმა'

წინასწარი თანხმობა განაცხადა 1978 წლისთვის კონკორდის ტიპის ორი თვითმფრინავის შესყიდვაზე. ეს ირანული ორგანიზაცია მსოფლიოს წამყვანი აეროკომპანიების რიცხვში უნდა შესულიყო.

შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში შაჰმა ორპარტიულობის გაუქმება გადაწყვიტა. ჯერ კიდევ 1950 წწ. ბოლოს ამერიკული სისტემის მიბაძვით თავის მხარდამჭერ მაღალი რანგის პირებს მან ორი პარტიის შექმნა დააავალა. ვინაიდან განსხვავებული მსოფლმხედველობის მქონე ორგანიზაციები არალეგალურად იყო გამოცხადებული, სასახლის კარის სატელიტ პარტიებს კონკურენციის შთაბეჭდილება უნდა შეექმნათ. პიროვნული მიზეზის გამო ლიდერებს შორის ერთმანეთის მიმართ რეალური ქიშპის შემთხვევაშიც მონარქიისადმი მათი მხარდაჭერა სრული და უპირობო უნდა ყოფილიყო. შაჰის პირადი მეგობარი და მომავალი პრემიერ-მინისტრი ასადოლა ალამი პარტია 'მარდომს' (ხალხი) ჩაუდგა სათავეში, ხოლო მოქმედი პრემიერი მანუჩერ ეყბალი – პარტია 'მელიუნს' (ნაციონალისტები). თუმცა ეს ორივე პარტია მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა და ქვეყნის ცხოვრებაში რაიმე გავლენით არ სარგებლობდა. პლურალისტული პოლიტიკური გარემოს იმიტაციას ფალავი განსაკუთრებით დასავლეთში საჯარო გამოსვლებისას თავისი მმართველობის სარეკლამოდ იყენებდა.

'მე რომ დიქტატორი ვყოფილიყავი, ჰიტლერის მსგავსად ერთ დომინანტ პარტიას დავაფინანსებდი',

განაცხადა მან 1961 წელს. როგორც ჩანს, 14 წლის შემდეგ შაჰის წარმოდგენა დიქტატურის შესახებ მნიშვნელოვნად შეიცვალა. იმ ვითარებაში, როცა სწრაფი ეკონომიკური პროგრესის გამო შაჰის პიროვნება მსოფლიოში მზარდ ინტერესს იწვევდა, ხელისუფლებამ ორპარტიულობის თამაში დაასრულა და ერთი ძლიერი ცენტრალიზებული პოლიტიკური დაჯგუფების შექმნა გამოაცხადა. ამიერიდან 'რასთოხიზი' (აღორძინება) სავალდებულო წესით ყოველი ირანელის ნავსაყუდელი უნდა გამხდარიყო. ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი – სახელმწიფო მოხელე, ვაჭარი, ხელოსანი, სტუდენტი თუ მასწავლებელი მასში უნდა გაწევრიანებულიყო. ქვეყანაში შექმნილი ახალი რეალობა შაჰმა მკაფიო სიხისტით ჩამოაყალიბა:

"ირანელებს ჩვენ ორ კატეგორიად ვყოფთ – მონარქიის, კონსტიტუციის და ექვსი ბაჰმანის რევოლუციის ერთგულებად და არაერთგულებად. პიროვნებას, რომელიც ახალ პოლიტიკურ პარტიაში არ შევა, ორი

გზა რჩება: მას, როგორც არალეგალური ორგანიზაციის, კანონგარეშე 'თუდეს' წევრს ანუ მოღალატეს ირანის საპატიმრო ელის ან სურვილის შემთხვევაში მას ხვალვე ქვეყნის დატოვება შეუძლია. ის უკვე არ არის ირანელი, ის უსამშობლოა, ხოლო მისი საქმიანობა კანონის თანახმად დასჯას ექვემდებარება[9]".

განსხვავებული აზრისადმი შაჰის ნულოვანმა შემწყნარებლობამ საგაქს ახალი მასშტაბური დაპატიმრებების ტალღის აგორების საშუალება მისცა, რომლის მსხვერპლი შემოქმედებითი ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენელი გახდა. 'რასთოხიზის' შექმნით ადამიანებს აიძულებდნენ არა მხოლოდ მასში შესვლას და საწევრო შესატანის გადახდას, არამედ ზოგადად კიდევ უფრო მკაცრ პოლიციურ გარემოსთან შეგუებას. იმის მიუხედავად, რომ შაჰის მხარდამჭერებმა ერთი წლის თავზე სიამაყით გამოაცხადეს ირანის 33 მილიონი მოსახლეობიდან პარტიაში 23 მილიონი ადამიანის გაწევრიანების შესახებ, ბიუროკრატიულმა სისტემამ მხოლოდ ერთი დანამატი მიიღო, რომელიც რეალური ფუნქციებს მოკლებული იყო.

პარტიის გენერალურ მდივნად თავდაპირველად პრემიერ-მინისტრი ამირ აბას ჰოვეიდა დაინიშნა, რომელსაც აბსოლუტური მონარქიისა და მძლავრი საგაქის პირობებში საკმაოდ შეზღუდული ძალაუფლება გააჩნდა. პროფესიონალი დიპლომატი ჰოვეიდა სამეფო კარზე არაერთგვაროვანი რეპუტაციით სარგებლობდა. გავლენისათვის მიმდინარე შიდაინტრიგების დროს ძმები ჰოვეიდების დაჯგუფებას მამა-შვილ ზაჰედების კლანთან, აგრეთვე, სასახლის კარის ვაზირის ასადოლა ალამის გარემოცვასთან მტრული დამოკიდებულება ჰქონდა. რამდენადაც ჰოვეიდა თავისუფალ მასონთა წრის ფორუღის ლოჟას წარმოადგენდა, ალამი ანტიმასონური ხასიათის წიგნების გავრცელებას აფინანსებდა, სადაც ჰოვეიდას სახელიც ფიგურირებდა. თუმცა შაჰი თავის საკადრო პოლიტიკას სწორედ ერთმანეთის გამაწონასწორებელ დაპირისპირებულ ბანაკებს შორის ლავირებით აწარმოებდა. აშშ-ში თავისი მუდმივი წარმომადგენლებიც მან ამ პრინციპით მიაველინა: პრემიერის ძმა ფერეიდუნ ჰოვეიდა გაეროში, ხოლო თავისი სიძე არდეშირ ზაჰედი – ელჩად ვაშინგტონში.

13 წლის მანძილზე პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე მყოფი ამირ აბას ჰოვეიდა შაჰის კარზე ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლისი იყო, რომლის სახელი რომელიმე ხმაურიან კორუფციულ საქმესთან არ ასოცირდებოდა. ბუნებით თავმდაბალი ჰოვეიდა

მძღოლის მომსახურეობაზეც კი უარს ამბობდა და ნაკლებად კომფორტულ ირანულ სამსახურეობრივ ავტომანქანას თავად მართავდა[10]. შაჰთან მას უჩვეულოდ არაფორმალური ურთიერთობა აკავშირებდა – საუბრის დროს ხშირად ერთად ვისკის მიირთმევდნენ და მიწის თხილს შეექცეოდნენ. პირადი ოპონენტები ჰოვეიდას თავს ესხმოდნენ არაირანულ ძალებთან მისი კონტაქტის გამო, თუმცა გაელენიანი სამთავრობო თანამდებობის მისაღებად მასონთა წრეში არაერთი მოღვაწე შედიოდა. ამასთან ერთად ჰოვეიდას ბაჰაის სექტანტობაში დებდნენ ბრალს, რასაც თავად პრემიერი უარყოფდა.

ირანში მასონთა ლოჟის მეთაური ორგზის პრემიერ-მინისტრი ჯაფარ შარიფ-ემამი იყო, რომელიც აღიარებულ კორუმპირებულ ჩინოსნად ითვლებოდა. სხვადასხვა ბიზნესსაქმიანობიდან წილის მიღების გამო მას მეტსახელად მისტერ 5% დაარქვეს. 'ფაჰლავის ფონდის' ხელმძღვანელობის დროს მან დიდი რაოდენობით თანხა მიითვისა, რომლის უცხოეთში გადაგზავნა წარმატებით შესძლო. თვით 'ფაჰლავის ფონდი' 1958 წელს შეიქმნა და სამეფო დინასტიის წარმომადგენელთა ბიუჯეტად იქცა, სადაც შავ ფულთან ერთად ლეგალური ფულადი ოპერაციების არაოფიციალური საკომისიო გადასახადი ილექებოდა. არსებობის ოცი წლის განმავლობაში ფონდის ანგარიშზე ფანტასტიური ოდენობის თანხების აკუმულირება მოხდა. შაჰის ოჯახი საზღვარგარეთ დიდძალ უძრავ ქონებას ფლობდა: რამდენიმე ჰექტარი მიწის ფართობს ავსტრალიაში, პატარა კუნძულს იტალიის სანაპიროსთან, მიწის დიდ ნაკვეთს ჟენევის ტბის პირას, ზამთრის კურორტს შვეიცარიის ალპებში, სახლებს ლონდონში, პარიზში, მანჰეტენზე და სეიშელის კუნძულებზე. ზოგი შეფასებით, ფაჰლავთა უძრავი ქონების ფასი 3,2 მლრდ დოლარს აჭარბებდა[11].

შაჰის გარემოცვა აკონტროლებდა ყველაზე მსხვილი სასტუმროების თეჰრან ჰილტონის, ხაზარ პაიათის, მეშჰედ პაიათის და არიაშერატონის რესტორნების, სამორინეების და ღამის კლუბებიდან მიღებულ შემოსავლებს. მოგვიანებით ცნობილი გახდა აგრეთვე ფაჰლავთა წილის შესახებ სხვა ორგანიზაციებში: უმრან ბანკი, ირანშაჰრ ბანკი, დარიუშ ბანკი, შაჰრიარ ბანკი, ქურუშის საკრედიტო-შემნახველი ბანკი, ეკბატანის საკრედიტო-შემნახველი ბანკი, ჯენერალ მოტორსის ირანის ფილიალი, ალუმინის ქარხნები, ხუზისტანის და ფარსის ცემენტის ქარხნები, ფარსის, აჰვაზის, შაჰაბადის, ქერმანშაჰის და ლურისტანის შაქრის ქარხნები და ა.შ. 'ნიუ-იორკ თაიმსის' თანახმად, შაჰის

ოჯახის სიმდიდრის შედარება მხოლოდ როკფელერის, საუდის არაბეთის მეფე ფაჰდის და ქუვეითელი ემირის ალ-საბაჰის ქონებასთან შეიძლებოდა[12], თუმცა თვით შაჰმა 1980 წლის დასაწყისში ტელეკომპანია 'ეიბისისთან' ინტერვიუში 100 მლნ დოლარის ფლობა აღიარა.

6 ბაჰმანის რევოლუცია ხელისუფლების სავიზიტო ბარათად იყო ქცეული. საგანი მის შესახებ სკოლაში ცალკე ისწავლებოდა, კრიტიკა კი, ისევე როგორც ზოგადად შაჰის პოლიტიკის ოპონირება, დასჯად დანაშაულთა რიცხვში შედიოდა. უზომო პოლიტიზების გამო რეფორმების ობიექტური შეფასება შეუძლებელი იყო, თუმცა რეფერენდუმიდან დაახლოებით 12 წელიწადში საზოგადოების სხვადასხვა ფენაზე მისი შედეგების გავლენა თანდათან გამოიკვეთა.

სოფლად მიწის რეფორმა იმგვარად განხორციელდა, რომ ბევრი ახალი მიწისმფლობელი იძულებით ქალაქში გაიქცა: გლეხების 73%-მა ფერმერული საქმიანობისათვის აუცილებელ ფართობზე ნაკლები მიწა მიიღო. ზოგან მიწა მათ სესხის გადაუხდელობის გამო დაკარგეს. საირიგაციო სისტემა, რომლის შეკეთებას ადრე მემამულეები უზრუნველყოფდნენ, სიძველის ან უკმაყოფილო ფეოდალების მხრიდან საბოტაჟის გამო მწყობრიდან გამოვიდა. ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების მოშლის შედეგად ბევრი ადამიანი უსაქმოდ, უშემოსავლოდ და ბუნდოვანი პერსპექტივის წინაშე აღმოჩნდა. უკეთესი ცხოვრების იმედად ისინი ქალაქში მიემართებოდნენ. ურბანიზაციის ტემპები ისეთი მაღალი აღმოჩნდა, რომ ქალაქებში, მათ შორის თეირანის სამხრეთ ნაწილში, ქოხმახები გაჩნდა. მაგრამ ინტენსიურმა საგზაო მოძრაობამ და მშენებლობებმა პროვინციიდან ჩამოსულს უცხო გარემოში მოხვედრის განცდა შემატა. ხელისუფლება ამაყობდა თეირანში არსებული ავტომანქანების რაოდენობით, რაც ფინანსურად ძლიერი ადამიანების დიდი რიცხვის შთაბეჭდილებას ქმნიდა, მაგრამ ამავე დროს დედაქალაქში, რომლის მოსახლეობამ ბოლო ოცი წლის მანძილზე 1,5 მლნ-დან 4,4 მლნ-ს მიაღწია, საკანალიზაციო სისტემა არ არსებობდა. იმის ფონზე, რომ ქალაქებში მრავალსართულიანი სახლების მშენებლობის ბუმი იდგა, 66 ათასი სოფლიდან მილებით წყალი მხოლოდ სამი ათასში იყო შეყვანილი[13]. ტრადიციების მოყვარული ირანელები, რომლებიც უწინ ეზოს მაღალი კედლის მიღმა სხვის თვალისგან დაუნახავად ინტიმურ გარემოში ცხოვრობდნენ, საცხოვრებელ კორპუსებს ამრეზით უყურებდნენ.

ეაჭართა ფენა მათ ბიზნესში ხელისუფლების ადმინისტრაციულმა ჩარევამ სერიოზულად დააზარალა. 1975 წელს განსაკუთრებით ფართო კამპანია ჭარბი შემოსავლების წინააღმდეგ გაჩაღდა, რაშიც, მაგალითად, სპეკულაციური მიზნებისათვის ტონობით საეაჭრო საქონლის შენახვაც იგულისხმებოდა. მხილებული პირები სახელმწიფოს მტრებად გამოცხადდნენ და მკაცრად დაისაჯნენ. ქვეყანაში დაწყებული ინფლაციური პროცესები უფრო მტკივნეული აღმოჩნდა. იაპონიამ და დასავლეთ ევროპის რამდენიმე სახელმწიფომ ირანული ნავთობის იმპორტის ოდენობა შეამცირა, ირანში შემომავალი სამრეწველო საქონლის ფასი კი გაიზარდა. შესაბამისად, შემოსავლების კლების პარალელურად ბიუჯეტის ხარჯვითმა ნაწილმა მატება დაიწყო, რამაც ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა პროექტების შესრულება შეუძლებელი გახადა. ინფლაციამ შავი ბაზარი ააყვაყვა და ლეგალური ბიზნესი დააკნინა. დაბალპროცენტიანი სესხების გაცემის შეჩერებით მთავრობამ მცირე მეწარმეებს დიდი დარტყმა მიაყენა. უძრავ ქონებაზე ფასების სავალდებულო დაკლებით კი საშუალო ფენას შემოსავალი შეუმცირდა. საერთო ჯამში, ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლით ღარიბებმა და ფიქსირებული შემოსავლის მქონე მოქალაქეებმა იზარალეს, ხოლო მდიდრებმა იხეირეს. 1976 წლის ოქტომბერში შაჰი იძულებული გახდა პრობლემები ელიარებინა და თანამემამულეებისადმი მოწოდებით გამოსულიყო:

„ყველამ მეტი უნდა იშრომოს. ეროვნული ინტერესებისათვის საჭიროა სირთულეების გადასატანად მომზადება[14]“.

თეირანის სამხრეთ ნაწილის გაღატაკების სანაცვლოდ ჩრდილოეთ უბნებში უმდიდრესი სასახლეები წამოიჭიმა. 6 ბაჰმანის რეეოლუციამ ძველი პოლიტიკური გვარდია ახალი ევსტერნიზებული ელიტით ჩაანაცვლა. ამერიკაში და ევროპაში წლების მანძილზე ნაცხოვრები წარჩინებული ირანელები სპარსულ ღირებულებებს აგდებულად უყურებდნენ და თავიანთი იდეებით და ქცევებით საზოგადობის ძირითად ნაწილს მკვეთრად ემიჯნებოდნენ[15]. მათ არ იცოდნენ, სად წაეღოთ იოლად ნაშოვნი ფული და ძირითადად თავიანთი საცხოვრებელი კვარტლების სიახლოვეს მომრავლებულ სამორინეებს და ღამის კლუბებს სტუმრობდნენ, ბავშვებს სასწავლებლად საზღვარგარეთ უშვებდნენ, თვითონაც თავისუფალ დროს იქ ატარებდნენ. მაღალჩინოსნები კერძო თვითმფრინავით ევროპაში სასადილოდ მიემგზავრებოდნენ და ფეშენებლურ რესტორანში მოლხენის შემ-

დეგ რამდენიმე საათში უკან ბრუნდებოდნენ. ამასთან, საკუთარი ფუფუნების საქვეყნოდ დემონსტრირებას ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ, რის საპასუხოდ სხვებისგან მხოლოდ კრძალვის და პატივისცემის გამოხატვას ელოდნენ.
ქვეყნიდან ინტელექტუალური პოტენციალის გადინების პროცესი მზარდი ტემპით მიმდინარეობდა, პარალელურად კი მოწვეულ უცხოელ სპეციალისტთა რაოდენობა მატულობდა. მხოლოდ ტექნიკურ სფეროში 26 ათასამდე უცხოელი მოქალაქე მუშაობდა, რომელიც ადგილობრივი კოლეგისგან შედარებით მეტ ანაზღაურებას იღებდა.
სტუდენტების და საზოგადოების დისიდენტური ნაწილის მოლოდინი რეჟიმის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით არ მართლდებოდა. სიტყვის თავისუფლების და პოლიტიკური უფლებების მიღების ნაცვლად ისინი, პირიქით, დილემის წინაშე აღმოჩნდნენ – ციხე ან უცხოეთში გახიზვნა. სასახლის კარმა იცოდა, რომ საზოგადოებაში უკმაყოფილება იზრდებოდა. შაჰბანუმ უკვე 1975 წელს იგრძნო, რომ

'მონარქიასა და ხალხს შორის არსებულ ჰარმონიას და ნდობას ერთგვარი ჩრდილი გადაეფარა[16]'.

მაგრამ დროის გასვლასთან ერთად გაუცხოება მხოლოდ ღრმავდებოდა. სულ უფრო მეტი ადამიანი ასკვნიდა, რომ რეფორმები არ უკავშირდებოდა ქვეყნის კულტურას და ისტორიას და მიზნად დასავლეთის ცხოვრების სტილის დანერგვას ისახავდა.
ასეთ პირობებში ბევრი ირანელი მორალური ავტორიტეტის, მეჩეთის აზრს დაეწაფა.

[1] სორაია ესფანდიართან განშორება სწორედ იმ ფაქტმა განაპირობა, რომ უშვილო დედოფალმა უარი განაცხადა სხვა ქალზე შაჰის დაქორწინებისთვის თანხმობის მიცემაზე, რადგან მეორე ცოლად გახდომის იდეა მორალური პრინციპიდან გამომდინარე მან მიუღებლად ჩათვალა.

[2] აფშინ აფშარი, 'შაჰი და ხალხი'.

[3] ფარაჰ ფაჰლავი, 'მარადიული სიყვარული', 2004, გვ.214

[4] სპარსეთის აქემენიანთა დინასტიის დაარსების წლად ძველი წელთაღრიცხვის 559 წელი ითვლება. საზეიმო ღონისძიების ჩატარებისთვის ხელი არ შეუშლია იმ გარემოებას, რომ იუბილეს აღნიშვნა მთელი დეკადით დაგვიანდა. ანალოგიურად, მეფედ კურთხევის ცერემონიალიც ტახტზე ასვლიდან 26 წლის შემდეგ გაიმართა.

[5] თარიქ ალი, 'ფუნდამენტალისტთა შეჯახება', 2002, გვ.128
ლონდონის გაზეთ 'ინდეპენდენტში' 2008 წლის 30 დეკემბერს გამოქვეყნებული სტატიის აეტორის კეჰელ მილმოს შეფასებით, ირანის ხაზინას პერსეპოლისში გამართული ზეიმი დაახლოებით 50 მლნ გირვანქა სტერლინგის ექვივალენტი თანხა დაუჯდა.

[6] 'მარადიული სიყვარული', გვ.220

[7] მზის უძრაეი კალენდარი ხუთი ათეული წლით ადრე მამა-ფაპლაევიმ შემოიღო, რითაც მთვარის ციკლზე დაფუძნებული მოძრაეი ისლამური კალენდარი შეცვალა. ეს უკანასკნელი არაბული სამყაროს ბევრ ქვეყანაში დღესდღეობით ოფიციალურად მოქმედებს, ირანში კი მხოლოდ რელიგიური დღესასწაულების აღსანიშნავად გამოიყენება.

[8] 'თაიმსი', 1974 წლის 3 ოქტომბერი

[9] 'ქეიჰანი', 1975 წლის 3 თებერვალი

[10] 'მარადიული სიყვარული', გვ.260

[11] 'თაიმი', 1979 წლის 10 დეკემბერი

[12] 'ნიუ-იორკ თაიმსი', 1979 წლის 27 დეკემბერი

[13] 'თაიმი', 1979 წლის 10 დეკემბერი

[14] ფერეიდუნ ჰოვეიდა, "შაჰის დაცემა", 1980, გვ.57

[15] ამ ინტელიგენციის მიერ სპარსულ ენაში დიდი რაოდენობით ბარბარიზმების დამკვიდრების მცდელობა ხანდახან პაროდიულ სიტუაციას ქმნიდა. მაგალითად, 1970 წელს თეირანის ტელეეიზიამ ამერიკული ტელესერიალის ჩვენება დაიწყო, რომელიც II მსოფლიო ომის პერიოდში ნაცისტების ზურგში მოქმედ კომანდო ჯგუფებს ეხებოდა. ფილმს 'პარტიზანები' ერქეა, მაგრამ სპარსულენოვანი შესატყვისის ('ჩერიქჰა') ნაცელად ის ინგლისურიდან ნასესხები სიტყვით 'გორილჰა' თარგმნეს, რაც მაიმუნების ერთ-ერთ ჯიშს ნიშნავს.

[16] 'მარადიული სიყვარული', გვ.261

ისლამი სპარსეთში მე-VII საუკუნეში არაბთა შემოსევის შემდეგ დამკვიდრდა, თუმცა შიიზმი სახელმწიფო რელიგიად მხოლოდ მე-16 საუკუნეში გამოცხადდა. რელიგიური განხეთქილების ძირითადი მიზეზი წინასწარმეტყველ მუჰამედის მემკვიდრეობა გახდა. შიიტთა რწმენით, მემკვიდრედ (ხალიფ) მუჰამედმა თავისი სიძე ალი დაასახელა, რომლის შთამომავლებს მუსლიმანთა სულიერი და პოლიტიკური ხელმძღვანელობა უნდა გაეგრძელებინათ. სუნიტებად წოდებულ მორწმუნეთა მეორე ნაწილი ისლამური მრევლის (უმმა) მიერ ხალიფის არჩევითობის პრინციპს იცავდა. სუნიტებმა ალის მომხრეები მწვალებლებად შერაცხეს, რიცხობრივ უმცირესობაში მოაქციეს, დაამარცხეს და იმ დროიდან მათ სასტიკ დევნას შეუდგნენ. შიიტები, რომლებიც საკუთარ თავს ყოველგვარი სახის უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლებად წარმოსახავდნენ, უპირველესად უზურპატორ ხალიფებს დაუპირისპირდნენ. მათ ცნობიერებაში ხალიფა იაზდის მიერ 680 წელს იმამ ალის შვილების ჰუსეინის და ჰასანის დახოცვა უდიდესი ტრაგედიის სახით შევიდა, რაც მას შემდეგ რელიგიურ ცერემონიალებს შორის ყველაზე ფართოდ აღინიშნება. შიიტური ისლამი მტრული გარემოს პირობებში განვითარდა, ამიტომ რწმენისათვის წამებულის ცნებამ თავიდანვე განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა. სწორედ შიიზმის წიაღში წარმოიშვა ისმაილიტი ასასინების სექტა, რომლის სახელი ინდივიდუალური პოლიტიკური ტერორის პიონერობას უკავშირდება.

ფაჰლავთა პერიოდში დაახლოებით 80 ათას მეჩეთში ორასი ათასამდე სხვადასხვა რანგის ღვთისმსახური მოღვაწეობდა, 300 სასულიერო სემინარიაში კი განათლებას 60 ათასამდე სტუდენტი იღებდა[1]. სამღვდელოება შეძლებულ ფენას ეკუთვნებოდა, რომელიც დიდი რაოდენობით მიწას ფლობდა. შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს ასევე მრევლისგან მიღებული შემოწირულობები შეადგენდა. ტრადიციულად ღრმადმორწმუნე ირანულ საზოგადოებაში მეჩეთი წამყვან როლს თამაშობდა, მით უმეტეს, რომ განათლების და საოჯახო სამართლის სფეროებიც მის კომპეტენციაში შედიოდა. ფაჰლავთა პოლიტიკა კი სამღვდელოების გაელენის შესუსტებას ითვალისწინებდა. სასულიერო პირთა წინააღმდეგობის დაძლევა, მათი მიწების ექსპროპრიაცია და შემოსავლების მითვისება რეზა შაჰმა ძალის გამოყენებით მოახდინა. მემკვიდრეობით მან შვილს 1000-მდე

სოფელი და ნაწილობრივ მეჩეთის ქონების ხარჯზე დაახლოებით ერთი მილიონი დოლარი დაუტოვა[2].
მუჰამედ რეზას მმართველობის დასაწყისში სამღვდელოება ძირითადად პოლიტიკაში ჩაურევლობის პრინციპით მოქმედებდა. ხანგამოშვებითი კრიტიკული გამოსვლების მიუხედავად ხელისუფლებას პრობლემებს არ უქმნიდნენ არც აიათოლა აბულყასემ ქაშანი და არც დიდი აიათოლა სეიედ პუსეინ ბურუჯერდი, რომლის გარდაცვალების შემდეგ შაჰმა სამდღიანი საყოველთაო გლოვა გამოაცხადა. მოსადეყთან დაკავშირებულ კრიზისულ დღეებში ქაშანი თავის მხარდამჭერებთან ერთად შაჰის მხარეზეც კი დადგა. მაგრამ 1962 წლისთვის, როცა ორივე გავლენიანი სასულიერო პირი გარდაიცვალა, დამოკიდებულება სასახლის კარსა და მეჩეთს შორის შეიცვალა. წინა პლანზე აიათოლა ხომეინის მეთაურობით სამღვდელოების რადიკალური ნაწილი გამოვიდა.
აიათოლა ('ღვთის ნიშანი') შიიტურ იერარქიაში უმაღლეს სასულიერო წოდებას წარმოადგენს. მომავალი აიათოლას კარიერა ჩვეულებრივ შიიტთა წმიდა ქალაქებში არსებულ რელიგიურ სასწავლებელში იწყება[3]. ხანგრძლივი სწავლის შემდეგ სემინარიის სტუდენტი ხდება ექსპერტი თეოლოგიის, მეცნიერების, იურისპრუდენციის ან ფილოსოფიის საკითხებში, კითხულობს ლექციებს და ახდენს რელიგიური ტექსტების ბრძნულ და გამორჩეულ ინტერპრეტირებას. თანდათან ის იძენს მსმენელთა დიდ რაოდენობას, ხდება პოპულარული ღვთისმეტყველი და სწავლების, ქადაგების და წიგნების გამოცემის შემდეგ სარგებლობს პატივისცემით როგორც მრევლის, ასევე მასწავლებლების მხრიდან. თვით აიათოლებს შორის იერარქიული განსხვავება არ არსებობს. საქვეყნოდ აღიარებული აიათოლა კი ხდება დიდი აიათოლა (მარჯა), რომელსაც მრევლისთვის რელიგიური განკარგულებით (ფატვა) მიმართვის უფლება ეძლევა. ამდენად, ამა თუ იმ საკითხის გარშემო სასულიერო ლიდერებს შესაძლებელია განსხვავებული აზრი გააჩნდეთ, რომლის მიხედვით მათ პირობითად ლიბერალურ, კონსერვატიულ, ორთოდოქსალურ, ულტრაორთოდოქსალურ და ა.შ. ბანაკებს მიაკუთვნებენ.
რუჰოლა მუსავი წარმოშობით ისფაჰანის პროვინციის სოფელ ხომეინიდან იყო. მან ხომეინი მაშინ დაირქვა, როდესაც გვარების შემოღების შესახებ რეზა შაჰის ბრძანებულება გამოიცა. მამა რუჰოლას ექვსი თვის ასაკში გარდაეცვალა, ხოლო დედა – 15 წლის ასაკში, ამიტომ ნათესავებმა ობოლი ბავშვი სასუ-

ლიერო სკოლაში (მაქოაბ) შეიყვანეს. 60-იანი წლების დასაწყისისთვის ხომეინი ნეჯეფსა და ყუმში ფილოსოფიაში, ისლამის ისტორიასა და ეთიკაში ცნობილი ლექტორი იყო. შაჰთან მის ოპონირებას საფუძველად დაედო ხელისუფლების რამდენიმე ნაბიჯი, უპირველესად კი კანონპროექტი, რომლის მიხედვით არამუსლიმანს უფლება მიეცემოდა, პროვინციული საბჭოს კანდიდატი გამხდარიყო, ხოლო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში წარმომადგენლობით კრებაზე ფიცი ყურანის ნაცვლად სხვა წმიდა წიგნზე დაედო. ამიერიდან ებრაელს, ქრისტიანს თუ ზოროასტრიელს შესაძლებლობა ექნებოდა, ერთგულება შესაბამისად თორაზე, ბიბლიაზე და აევსტაზე დაეფიცა. სამღვდელოების მტკიცე პროტესტის შემდეგ ხელისუფლებამ კანონპროექტი უკან გაიწვია, მაგრამ ხომეინის მხრიდან კრიტიკის მორიგი ობიექტი რეფერენდუმზე გატანილ რეფორმათა პაკეტი იქცა. მან სასულიერო პირები ყუმში მიიწვია და შეხვედრის შემდეგ მორწმუნეებს რეფერენდუმის ბოიკოტის მოწოდებით მიმართა.
სამღვდელოებას მიწის რეფორმა მტკივნეულად შეეხო. ვინაიდან მისი ზედა ფენა მსხვილი მიწათმფლობელების ოჯახებს ეკუთვნოდა, მეჩეთმა მნიშვნელოვანი მიწები და შემოსავალი დაკარგა. მის მფლობელობაში არსებული ობოლთა სახლები, სამშობიარო სახლები და სკოლები ხელისუფლებამ ახლა სამოქალაქო მართვა-გამგებლობას დაუქვემდებარა. საოჯახო სამართლის წარმოებაც შაჰმა სახელმწიფოს პრეროგატივად აქცია.
ხომეინიმ ხელისუფლების გეგმები სამღვდელოებაზე საბოლოო შეტევის დაწყებად შეაფასა:

> *'ჩემი რელიგიური ვალდებულებაა, ირანელი ხალხის და მთელი მსოფლიოს მუსლიმანების წინაშე განვაცხადო, რომ წმიდა ყურანი და ისლამი საფრთხეშია. თუ მუსლიმანთა ფატალური სიჩუმე გაგრძელდება, სიონისტები ქვეყნის მთელს ეკონომიკას დაეპატრონებიან და მუსლიმანურ სახელმწიფოს გაანადგურებენ'.*

მიწის რეფორმას ის განიხილავდა, როგორც ისრაელ-ამერიკული შეთქმულების ნაწილს, რომლის განხორციელებით მორჩილი შაჰი სპარსული აგრარული მეურნეობის მოსპობას და დასაელეთის საქონლის გასაღებ ბაზრად ირანის გადაქცევას ისახავდა მიზნად. მან ხალხს მოუწოდა, რათა პროტესტის ნიშნად ახალი წელი (ნოურუს) არ ეზეიმა.
ავტოკრატიული მმართველობის პირობებში ფაჰლავისთვის წარმოუდგენელი იყო მისი პოლიტიკის ესოდენ ხისტი კრიტიკა,

ამიტომ მან ხომეინის გაჩუმება სცადა. ყუმში ჩასული მისი ემისრები აიათოლას დაბეჯითებით ურჩევდნენ, სასულიერო საქმეებისათვის მიეხედა, პოლიტიკა კი პოლიტიკოსებისათვის დაეტოვებინა, მაგრამ მისგან მუდმივად ერთ პასუხს ისმენდნენ: 'მთელი ისლამი პოლიტიკაა[5]'. მაშინ პოლიციამ ფაიზიეს სემინარია დაარბია, სადაც ხომეინი ლექციებს კითხულობდა. პასუხად ხომეინი შაჰის საწინააღმდეგო ტირადით გამოვიდა. 1963 წლის 3 ივნისს ყუმში მრავალათასიანი აუდიტორიის წინაშე სიტყვით გამოსვლისას ფაჰლავის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მკაცრი დაგმობის შემდეგ მან უშუალოდ შაჰს მიმართა:

> *'შენი ცხოვრების 45 წელი უკვე გავიდა. არ დადგა დრო, რომ დაფიქრდე და მამაშენის ცხოვრება გაკვეთილად მიიღო?!.. ჩვენ უკვე გაგვიჭირდება შენი ატანა და აღარ მოგცემთ ამ გზით სვლის უფლებას'.*

ბოლოს მან შაჰი შიიტი წმინდანების ჯალათს შეადარა და თანამედროვე იაზდი უწოდა. ხომეინი დააპატიმრეს, რის საპროტესტოდ ათასობით ადამიანი ყუმის, შირაზის, მეშჰედის და თეირანის ქუჩებში გავიდა. პოლიციასთან შეტაკებების და უწესრიგობების დროს ექვს დღეში 400-მდე ადამიანი დაიღუპა. დაძაბულობა მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის შემოღების და მასობრივი რეპრესიების შემდეგ განიმუხტა.

ხომეინი ათი თვით შინაპატიმრობაში იმყოფებოდა, გათავისუფლების შემდეგ კი ფაჰლავის ხელისუფლებას ის კვლავ რადიკალურად დაუპირისპირდა. ამჯერად აიათოლას გამოსვლის მიზეზი მეჯლისში აშშ-სთან შეთანხმების დამტკიცება გახდა, რომლის საფუძველზე ირანში მყოფ ამერიკელ სამხედრო პირებს და სამოქალაქო კონტრაქტორებს ადგილობრივი მართლმსაჯულებისგან იმუნიტეტი მიენიჭა. კანონპროექტის მხარდამჭერებს მან ქვეყნის მოღალატეები უწოდა, მრევლს კი ვითარება მარტივად დაუხატა – თუ ამიერიდან ირანელის მკვლელ თანამემამულეს სახრჩობელას მიუსჯიან, ირანელის მკვლელობისთვის ამერიკელი დაუსჯელი დარჩება – და მორწმუნეებს დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდა.

ხომეინი ისევ დააპატიმრეს, ანტისახელმწიფოებრივი მოწოდებების ბრალდება წაუყენეს და სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ ხელისუფლებამ მცირე ხანში მისი გადახედვის გადაწყვეტილება მიიღო. საგაქის დირექტორი ჰასან ფაქრავანი პატიმარს ყოველკვირეულად ხვდებოდა და სხვადასხვა თემებზე ესაუბრებოდა. ხომეინიმ მასზე მომხიბლავი და ქარიზმის მქონე და, ამასთან ერთად, ძალიან ამბიციური და გასაიდუმლოებული ადამიანის

შთაბეჭდილება დატოვა[7]. ფაქრაეანმა შესძლო შაჰის დარწმუნება, რომ სახელგანოქმული აიათოლას მოკვლა ხალხში აგრესიას გამოიწვევდა, ამიტომ სანაცვლოდ მისი გასახლების წინადადება წამოაყენა. გენერალი ვარაუდობდა, რომ მოსადეყის მსგავსი შინაპატიმრობა ირანულ სოფელში ამ შემთხვევაშიც საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა, რადგან უშიშროების სამსახური ხომეინის და მისი მომხრეების მუდმივ კონტროლს განახორციელებდა. მაგრამ პრემიერ-მინისტრ ალამის ინიციატივით საბოლოოდ მისი საზღვარგარეთ გაძევების იდეა მოიწონეს. აიათოლა თურქეთში გაგზავნეს, საიდანაც 1965 წლის ოქტომბერში ის ნეჯეფში გადავიდა[8].

სამღვდელოების საპროტესტო გამოსვლას შაჰი რეაქციონერების ბნელ მსოფლმხედველობას უკავშირებდა. ამიერიდან 'შაეი რეაქცია' მისი ხელისუფლების მხრიდან ყველაზე ხშირად გამოყენებადი ტერმინი გახდა. წითელი ანუ კომუნისტური რეაქცია უკვე ათი წლის განმავლობაში სასტიკი დევნის გამო ღრმა იატაკქვეშეთში იყო გადასული. ნებისმიერი სხვა ფერის ოპოზიციური აზრის ჩახშობაზეც საეაქი საგანგებოდ ზრუნავდა. ქვეყანაში გაბატონებული ტოტალური ცენზურის პირობებში კრიტიკული განცხადებები მხოლოდ მეჩეთიდან ისმოდა. თუმცა სამღვდელოება ხელისუფლებასთან მიმართებაში ერთსულოვანი სულაც არ იყო. ხომეინის გარდა, დიდი გავლენით სარგებლობდნენ აგრეთვე პოლიტიკურად ნეიტრალური აიათოლები, რომლებიც ბურუჯერდის კურსს აგრძელებდნენ. ამ მხრივ გამორჩეული ადგილი დიდ აიათოლა ყაზემ შარიათმადარის ეკავა. ამიტომ სამეფო კარი ხომეინის მხარდამჭერებს ერთი მუჭა რეაქციონერებად აღიქვამდა, რომლებიც უმეცრებას და სიბნელეს განასახიერებდნენ. 8 ივნისს პამადანში შეკრებილი ხალხის წინაშე სიტყვით გამოსვლისას შაჰი მათ მიმართ რისხვას ვერ მალავდა:

> *'შაემა რეაქციამ გადაწვა ბიბლიოთეკა, ვინაიდან მისთვის მიუღებელია ყველაფერი, რაც ცოდნასა და განათლებაზეა დაფუძნებული. მან ცეცხლი წაუკიდა სპორტულ დარბაზს, მანქანებს, ავტობუსის ბილეთის ჯიხურებს, რადგან მისი აზრით იმ მსოფლიოში, რომელიც დღეს კოსმოსს ითვისებს, ჩვენ სახედრებზე და ჯორებზე ამხედრებული უნდა დავდიოდეთ[9]'.*

შიიტთა წმიდა ქალაქში დამკვიდრებულმა ხომეინიმ სემინარიაში ლექციების წაკითხვა გააგრძელა. სტუდენტების და ადგილობრივი მორწმუნეების გარდა, მის სიტყვებს ასევე ყურადღე-

ბით უსმენდნენ ირანიდან პილიგრიმობაზე ჩასულები ადამიანები, რომელთა მეშვეობით ხომეინის აზრები სამშობლოშიც ხდებოდა ცნობილი. მოგვიანებით პილიგრიმები აიათოლასთვის ირანელებთან საკონტაქტო ხიდის ფუნქციას ასრულებდნენ. მათ უკან აუდიოკასეტები ჩაჰქონდათ, სადაც ხომეინის ქადაგებები იყო ჩაწერილი. თითქმის ყოველ გამოსელაში ის მონარქს პიროვნულად ესხმოდა თავს. ერთგან შაჰს პარაზიტად იხსენიებდა, რომელმაც მდიდარი სასახლეები წამოჭიმა და უცხოური ბანკები ირანელებისგან მოპარული ფულით აავსო, სხვაგან თანამემამულეებს უცხოელთა კოლონიური ინტერესების წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა და შაჰს ებრაელთა აგენტს ან ამერიკულ გველს უწოდებდა, 'რომლის თავი ქვით უნდა გაისრისოს'.

1970 წელს ხომეინიმ თავისი ცხოვრებისეული ხედვა წიგნში 'ისლამური მთავრობა' გააერთიანა, რომელიც ქადაგებების კრებულს წარმოადგენდა. წიგნის ძირითადი აზრი უდიდეს საფრთხეს ეხება, რომლის წინაშე ისლამი დგას: დასავლეთის სამსაუკუნოვანი კოლონიური პოლიტიკის მიზანს მუსლიმანთა მიწისქვეშა სიმდიდრის, მიწის და ადამიანთა ექსპლუატაცია წარმოადგენს; უცხოელებმა ბუნებრივი რესურსების აღმოჩენასთან ერთად ხალხის ფსიქოლოგია საგულდაგულოდ შეისწავლეს და დაასკვნეს, რომ კოლონიური გეგმების განხორციელების გზაზე ერთადერთი დამბრკოლებელი მხოლოდ ისლამი და სასულიერო ხელმძღვანელობა დარჩა; ტერიტორიების უკეთ კონტროლისათვის აუცილებელია, რათა ადგილობრივი მოსახლეობა ჩამორჩენილი და გაღატაკებული იყოს; ებრაელები და მათი უცხოელი დამქაშები, რომლებიც მთელს მსოფლიოში ებრაული დომინირების გავრცელებას ცდილობენ, ისლამის განადგურების პოლიტიკას ბოროტი პროპაგანდისტული ცენტრების მეშვეობით აწარმოებენ; მათ სათავეში მყოფი ქრისტიანების, სიონისტების და ბაჰაიტების ძირითადი სამიზნე კი ახალგაზრდობაა, რომელთა გადაბირებას ისინი სხვადასხვა სახის მატერიალური დაინტერესებით ახდენენ, - წერს აიათოლა[10].

მისი აზრით, შექმნილი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი ისლამური მთავრობის ჩამოყალიბებაა, ანუ ქვეყანა უნდა იმართოს რელიგიური კანონმდებლობის (შარია) საფუძველზე, ხოლო მთავრობის ზედამხედველობა (ველაიათ) უმაღლესი რანგის მქონე სასულიერო პირმა (ფაყიჰ) უნდა განახორციელოს. ისლამური ხელისუფლები მიზნებია:

- აღკვეთოს ისლამურ მიწაზე უცხო ქვეყნების გავლენა;

• არ დაუშვას მჩაგვრელი კლასის მიერ სუსტების უფლებების ხელყოფა, აგრეთვე, სიამოვნებისა და მატერიალური ინტერესების გამო ადამიანების სულიერი გახრწნა;
• შეინარჩუნოს ისლამური წესრიგი და ხელი შეუშალოს ადამიანებს ისლამის ჭეშმარიტი გზიდან გადახვევაში;
• აღკვეთოს ისლამური კანონმდებლობის მოდიფიკაციის მცდელობები და პარლამენტის მიერ ანტიისლამური კანონების მიღების შესაძლებლობა[11].

ავტორის განმარტებით, ეკონომიკურმა სისტემამ ხალხი ორ ჯგუფად დაპყო, ჩაგრულებად და მჩაგვრელებად, ამიტომ ჩაგრულთა მხარდაჭერა მომავალი ხელისუფლების სოციალური პოლიტიკის მთავარი მიმართულება გახდება, თავად ხელისუფლება კი ღატაკი მუსლიმანების მსგავსად ხელმომჭირნედ იფუნქციონირებს. ამასთან, მთავრობა გააუქმებს ამჟამინდელ გადასახადებს და სახელმწიფო შემოსავლებს მხოლოდ იმ გადასახადებს დააფუძნებს, რომელიც ისლამმა დაადგინა: ხუმსი, ზაქათი, ჯიზია და ხარაჯი[12].

მთავრობის ზედამხედველი სასულიერო ლიდერის პიროვნულ და პროფესიულ თვისებებს ხომეინი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს. იგი აუცილებელად მიიჩნევს ფაყიჰის მიერ ისლამის კანონების და სამართლის საფუძვლიან ცოდნას, მის სიბრძნეს და ადმინისტრაციული მართვის ნიჭს. ამ წინაპირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში შარიას მეშვეობით დუნიაზე სამართლიანი საზოგადოების დამყარებას ის შესაძლებლად მიიჩნევს. ამასთან, მუსლიმანთა კეთილდღეობის მიღწევის პარალელურად ხომეინი წინ იხედება და არამუსლიმანურ სამყაროში საკარაუდო კარდინალურ ცვლილებებზე საუბრობს:

'თუ ისლამური ხელისუფლების ფორმა განხორციელდება, მსოფლიოში ახლა არსებული მთავრობები კონკურენციას ვერ გაუძლებენ და დაემხობიან'[13].

აღსანიშნავია, რომ თავისი ხედვები ხომეინიმ ზავუალირებული სახით ჩამოაყალიბა. როგორც ობიექტური, ასევე პრაგმატული მიზეზით მას წიგნის ფართოდ გავრცელება და 'ველაიათე ფაყიჰის' ინსტიტუტის აფიშირება არ მოუხდენია. როგორც ჩანს, აიათოლა მოერიდა შაჰის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში პოტენციური მოკავშირე ლიბერალური და მემარცხენე ძალების დაფრთხობას, აგრეთვე, ზომიერი სამღვდელოების გაუცხოებას, რომელიც მის თეზისებს უტოპიად მიიჩნევდა. თვით წიგნი 'ისლამური მთავრობა' ხომეინიმ იმამ მუსაავი ქაშეფ ალ-ქიტას ფსევდონიმით გამოუშვა. დიდმა აიათოლებმა ის სკეპტიკურად

შეაფასეს, ერთადერთი გამონაკლისი ჰოსეინ ალი მონთაზერი გახდა, რომელიც მოგვიანებით სულიერი მეთაურის თანამდებობაზე ხომეინის მემკვიდრედ გამოცხადდა.
ზოგადად, 60-იანი წლები ისლამური თვითშეგნების გამოღვიძების პერიოდად იქცა. მსოფლიოში გაშლილი განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღაზე სუნიტურ და შიიტურ სამყაროში ფართოდ მოიკიდა ფეხი დასავლეთის მატერიალური კულტურის დაგმობის და ისლამის ჭეშმარიტი ფასეულობების გაზიარების მოწოდებებმა. მაგალითად, არაბულ ქვეყნებში ძალიან პოპულარული გახდა ეგვიპტელი მოაზროვნე საიდ ყუტბი, რომლის რევოლუციური ისლამის იდეოლოგია გამალ აბდელ ნასერმა ისეთ საფრთხედ ჩათვალა, რომ თეოლოგი ჩამოახრჩობინა. რადიკალური ისლამური დაჯგუფებები ორგანიზაციულად ოდნავ მოგვიანებით დაარსდა, მაგრამ მათი ლიდერების მსოფლმხედველობის განვითარებას ყუტბმა და სხვა არაერთმა მოღვაწემ დიდად შეუწყეს ხელი.
ირანში კი სოციალურ-რელიგიური ქადაგებებით ანალოგიურად სახელი გაითქვა დოქტორმა ალი შარიათიმ. მას სწამდა, რომ დედამიწაზე მისტიურ იმამ მაჰდის დაბრუნების ლოდინში პასიური ცხოვრების ნაცვლად ირანელებს სოციალური სამართლიანობისათვის დაუღალავი ბრძოლით ეს მოვლენა უნდა დაეჩქარებინათ. შარიათიმ პოპულარული გახადა ტერმინი 'ღარბზადეგი' (დასავლეთმანია ან დასავლეთტოქსიკაცია) და ირანული თვითმყოფადობის დასაცავად დასავლური საგანმანათლებლო, ეკონომიკური და კულტურული გავლენის წინააღმდეგ ენერგიულად ილაშქრებდა. ამ დაავადებით ერთადერთ არაინფიცირებულ ინსტიტუტად ის მეჩეთს მიიჩნევდა.
სამღვდელოების სხვა დაუმორჩილებელი ნაწილი შაჰის ოპონირებას კვლავინდებურად აგრძელებდა. ამ მხრივ გამორჩეულად დაუღალავი მაჰმუდ თალეყანი იყო, რომელმაც ფაჰლავის ხელისუფლება უკანონოდ პირველმა გამოაცხადა. ის, აგრეთვე, პირველი აიათოლა გახდა, რომელიც სავაქის საპყრობილეში აღმოჩნდა[14]. თალეყანი, რომლის მსოფლმხედველობა მემარცხენე იდეებით ხასიათდებოდა, ციხეში 12 წლის განმავლობაში იმყოფებოდა, სადაც ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ წამებას განიცდიდა.
მოლები შიშობდნენ, რომ შაჰის საბოლოო მიზანი საზოგადოებაზე ისლამის გავლენის მოსპობა იყო, რომელსაც ის ხანგამოშეებითი შეტევებით ახორციელებდა. ეს შიში კიდევ უფრო გამყარდა პერსეპოლისის საზეიმო ღონისძიებების დროს. საჯა-

რო გამოსვლებში ფაჰლავი სიამაყით საუბრობდა აქემენიური სპარსეთის დიდებასა და რელიგიური შემწყნარებლობის შესახებ. მაგრამ ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიას და იმპერიის 2500 წლოვან ისტორიაში მის როლს საერთოდ არ ახსენებდა. ღონისძიებამდე რამდენიმე თვით ადრე უშიშროების სამსახური სხვადასხვა ფორმით მეამბოხე სასულიერო პირების განუმეცას შეუდგა. მაგრამ ერაყში მყოფი ხომეინის ტონი კელავაც შეუვალი იყო:

> *'ირანის ხალხს ისლამის მოღალატის და მუსლიმანთა ინტერესების გამყიდველების მმართველობა არ ეზეიმება. ირანის მეფეების დანაშაულებებმა შავად აქცია ისტორიის ფურცლები'*[15].

უაღრესად მწვავე იყო აგრეთვე მისი რეაქცია ისლამური კალენდრის გაუქმების გადაწყვეტილებაზე, რომელიც, ხომეინის შეფასებით, შაჰის მიერ ნადენილ დანაშაულთა შორის ყველაზე უარესი იყო[16] ფაჰლავის მსგავსად, მონარქიას ხომეინიც ირანისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხად მიიჩნევდა, ოღონდ საპირისპირო მხრიდან: 'პირველი ღღიდან ღღემდე მეფობა ისტორიის სირცხვილად რჩება'. აცხადებდა ის და ყურადღებას მონარქიისა და ისლამის ურთიერშეუთავსებლობაზე ამახვილებდა[17]

მეჩეთის გაელენის ზრდა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა: ღვთისმსახური ირანში ყოველთვის შაჰის მოხელეზე მეტი ავტორიტეტით სარგებლობდა, ახლა კი, რეფორმების შემდეგ, სამღვდელოება მრევლის თვალში დაჩაგრულად წარმოჩინდა, რამაც მისი მხარდამჭერების რაოდენობა გაზარდა. ოპოზიციური შიმშილის მოსაკლავად ბევრმა განათლებულმა ადამიანმა მეჩეთში დაიწყო სიარული. ეს ერთადერთი ადგილი აღმოჩნდა ასევე ნაკლებად მორწმუნე და პოლიტიკურად პასიური ირანელებისთვის ქვეყნის ეკონომიკური უკესვლით გამოწვეული უკმაყოფილების გამოსახატავად. სოფლიდან წასულები კი თანამედროვე მეგაპოლისებში სრულიად უცხოდ გრძნობდნენ თავს და დასავლური ტიპის კინოთეატრების, მშენებარე ცათამბრჯენების და საგზაო საცობების ფონზე ღვთის ტაძარს მშობლიურ სახლად აღიქვამდნენ.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ პოლიტიკური ოპოზიციის განადგურების შედეგად შექმნილი ვაკუუმი მეჩეთმა თანდათან შეავსო და ხელისუფლების ალტერნატიული ცენტრის როლი შეიძინა.

ზევიდან ქვევით მუჰამედ რეზა და ფარაი 1960-იანი წლების დასაწყისში,
რეზა შაჰი, მუჰამედ მოსადეღი, ხომეინი ნოფელ-ლე-შატოში

ზბიგნევ ბჟეზინსკი და ჯიმი კარტერი, 31/12/197, დემონსტრაცია თეირანში, აბადანის ტრაგედია, ქუჩის ბრძოლები 1979 წლის თებერვალში.

[1] ლ.მედვედკო, ა.გერმანოვიჩი, 'ალაპის სახელით', 1988, გვ.112
[2] 'ნიუ-იორკ თაიმსი', 1961 წლის 27 ივლისი
[3] საკუთრივ შიიტებს ხუთი წმიდა ქალაქი აქვთ: ყუმი და მეშედი ირანში, ნეჯეფი, ქერბალა და სამარა კი ერაყში.
[4] დ.ჟუკოვი, 'ირანის თავზე ცა ნათელია', 1999, გვ.64
[5] ს.მაქეი, 'ირანელები', 1996, გვ.227
[6] იქვე, გვ.226
[7] ფატიმა ფაქრავანი, 'ირანიანი', 1998 წლის 3 დეკემბერი
[8] მიუხედავად იმისა, რომ ფაქრავანმა ხომეინი სიკვდილით დასჯისგან იხსნა, ხელისუფლების სათავეში ხომეინის მოსვლის შემდეგ თავად გენერალი დახვრეტას ვერ გადაურჩა.
[9] 'ირანის თავზე ცა ნათელია', გვ.411
[10] რუჰოლა ხომეინი, 'ისლამური მთავრობა', 2002, გვ.34 და 140
[11] იქვე, გვ.54
[12] იქვე, გვ.45
შესაბამისად: შემოსავლის 1/5 გადასახადი, წელიწადში ქონების 2,5% გადასახადი, არამუსლიმანებზე დაწესებული გადასახადი და სასოფ-ლო-სამეურნეო მიწის გადასახადი.
[13] იქვე, გვ.122
[14] 'თაიმი', 1979 წლის 24 სექტემბერი
[15] თარიქ ალი, 'ფუნდამენტალისტთა შეჯახება', 2002, გვ.129
[16] 'ირანის თავზე ცა ნათელია', გვ.408
[17] 'ირანელები', გვ.234

დასასრულის დასაწყისი

1977 წლის 20 იანვარს თეთრ სახლში დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი ჯიმი კარტერი შეეიდა. ანტისაომარი კამპანიით და რასობრივი თანასწორობის ხმაურიანი მოძრაობით გამოწვეული რყევები ამერიკას უკვე გადატანილი ჰქონდა, მაგრამ ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე განცდილი კატასტროფის შემდეგ საგარეო სფეროში ის ჯერ კიდევ ძიების პროცესში იმყოფებოდა. ვიეტნამური სინდრომის დასაძლევად კარტერის გეგმა მსოფლიოს მასშტაბით ადამიანის უფლებების დაცვისათვის ბრძოლის გააქტიურებას ითვალისწინებდა, რაც ტოტალიტარულ კომუნისტურ და პროდასავლურ დესპოტურ ქვეყნებთან ურთიერთობების დროს ამ საკითხის მიმართ მეტი ყურადღების დათმობას გულისხმობდა. იმის მიუხედავად, რომ ბევრი გაელენიანი პოლიტიკური მოღვაწე ირანთან ურთიერთობაში უპირატესობას წმინდა მერკანტილურ ინტერესებს ანიჭებდა, მოწოდებები შაჰის მიერ პიროვნული თავისუფლებების პატივისცემის აუცილებლობის შესახებ სულ უფრო ხმამაღლა გაისმოდა. ამ აზრს გამოთქვამდნენ როგორც კონგრესის დემოკრატი წევრები, ასევე ადმინისტრაციის მაღალჩინოსნები ვიცე-პრეზიდენტ უოლტერ მონდეილის და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველის ზბიგნევ ბჟეზინსკის ჩათვლით. ბჟეზინსკის მოადგილის დეეიდ აარონის თქმით,

'შაჰს სიურპრიზები ელის, თუ მას ჰგონია, რომ მიიღებს ყველაფერს, რაც სურს'.

თუმცა ამასთან დაკავშირებით აზრთა ერთსულოვნება არც აშშ-ს აღმასრულებელ ხელისუფლებაში შეინიშნებოდა. პიროვნული და ტაქტიკური უთანხმოებები კარტერის გარემოცვაში მომდევნო წელს უფრო აშკარა გახდა, რამაც შაჰის გადაწყვეტილებებზე და მთლიანად მის ბედზე გადამწყვეტი გაელენა მოახდინა. ჯერჯერობით კი ფაჰლავის მთავრობა უცხოეთიდან კრიტიკულ შენიშვნებს მზარდი სიხშირით იღებდა. ადამიანის უფლებათა დარღვევების გამო შაჰის ხელისუფლებას პოლიტიკოსებთან ერთად უფლებადამცველი ორგანიზაციებიც რეგულარულად გმობდნენ. მაგალითად, 'ემნესთი ინტერნეშნალი' ხაზს უსვამდა მსოფლიოში ირანის პირველობას სასიკვდილო განაჩენების აღსრულების მხრივ, აგრეთვე, წამების გამოყენების ხშირ პრაქტიკას. მაგრამ რეჟიმის ლიბერალიზაციას შაჰი ჯერ ნაადრევად მიიჩნევდა და პოლიტიკური რეფორმების დაწყებას

დაახლოებით ათი წლის შემდეგ ვარაუდობდა[2]. დემოკრატიისათვის ირანელთა მოუმზადებლობის შესახებ სტანდარტული ფრაზების წარმოთქმისას სამეფო კარის მოხელეები აპელირებას წამყვანი ევროპული ქვეყნების, მაგალითად საფრანგეთის ისტორიაზე ახდენდნენ, რომელმაც რევოლუციიდან დემოკრატიის დამკვიდრებამდე ხანგრძლივი და მრავალგვარი კატაკლიზმები გადაიტანა. თავის მოგონებებში ფარაჰი აღიარებს, რომ მოქალაქეებისათვის მეტი უფლებების მინიჭების მიზნით ხელისუფლებაზე ზეწოლა კარტერის გაპრეზიდენტების შემდეგ გაძლიერდა. 1977 წლის აგვისტოში შაჰმა პრემიერ-მინისტრი ჰოვეიდა სასახლის კარის მინისტრად გადაიყვანა, მის ადგილას ჯემშიდ ამუზეგარი დანიშნა და ღია პოლიტიკური ატმოსფეროს შექმნის შესახებ გამოაცხადა. მცირე ხანში საზოგადოებრივმა ცხოვრებამ გამოცოცხლება დაიწყო. ნაციონალისტები, მარქსისტები და სხვა მსოფლმხედველობის მქონე ადამიანები ღია ასპარეზზე გამოვიდნენ. თუმცა ერთპარტიული სისტემა და მკაცრი ცენზურა ძალაში დარჩა.

ნოემბერში მეფე-დედოფალი ოფიციალური ვიზიტით ჯიმი კარტერის გასაცნობად ვაშინგტონში ჩავიდნენ. დასავლეთის ქვეყნებში შაჰის თითქმის ყველა ვიზიტს თან გარკვეული ექსცესები ახლდა, რომელიც ჩვეულებრივ დემონსტრაციებით და პოლიციასთან შეტაკებით გამოიხატებოდა. ქუჩაში გასული ირანული ემიგრაციის ან რომელიმე განდევნილი პოლიტიკური ლიდერის თუნდაც მცირერიცხოვანი მხარდამჭერები ხმაურიანი აქციებით საინფორმაციო საშუალებების ყურადღების მიპყრობას ახერხებდნენ. თუ ათი წლით ადრე ბერლინში მომხდარი არეულობების დროს პოლიციასთან ჭიდილში ანტიმონარქისტი სტუდენტი დაიღუპა კიდეც, ვაშინგტონის დემონსტრაციები ახლა მშვიდობიანად, მაგრამ კურიოზულად დასრულდა. როცა თეთრი სახლის ბაღში პრეზიდენტი და შაჰი ჟურნალისტების წინ პრეს-კონფერენციაზე გაიდნენ, ამ დროს რეზიდენციის წინ ათი ათასამდე ირანელი აქციას მართავდა. პოლიციის მიერ მათ დასაშოშმინებლად ჰაერში გაშვებულმა ცრემლსადენმა გაზმა ბაღში შეკრებილ აუდიტორიას მიაღწია, რის შედეგად მსოფლიომ ორი ქვეყნის მეთაურის ხველების და ცხვირსახოცით თვალების მოწმენდის იშვიათი სცენა იხილა.

თავდაპირველად შაჰს აზრი გაუჩნდა, რომ ეს ინციდენტი მისი რეპუტაციის შელახვის მიზნით საგანგებოდ იქნა დადგმული, მაგრამ კარტერთან შეხვედრამ ყველა ეჭვი გააქარწყლა. საუბრები თბილ გარემოში წარიმართა, რამაც ახლო პირადი კონ-

ტაქტების პერსპექტივა წარმოშვა. დეკემბრის ბოლოს უკვე შაჰთან ჩასულმა კარტერმა ახალი წლის ღამე თეირანში გაატარა. პრეზიდენტის ვიზიტის გამო ფაჰლავი აღტაცებას არ მალავდა:

'ყველი ტრადიციის თანახმად ითვლება, რომ ახალ წელს პირველი სტუმრის მოსვლა მთელს წელიწადს განსაზღვრავს. ჩვენი სტუმარი ისეთ ენერგიას და კეთილშობილებას განასახიერებს, რომ მის ვიზიტს ჩვენ ყველაზე დიდებულ სიმბოლურ ნიშნად აღვიქვამთ[3]'.

კარტერის საპასუხო სიტყვის ჯერი დადგა. შაჰს მანამდე შეხვედრები ექვს ამერიკელ პრეზიდენტთან ჰქონდა გამართული და საქებარი სიტყვები ყოველი მათგანისგან მოესმინა. მაგრამ მისი გამბედაობისა და შორსმჭვრეტელობის შესახებ თუნდაც ტრუმენის კომპლიმენტები კარტერისეული პანეგირიკის ფონზე ერთობ უსახური აღმოჩნდა:

'შაჰის დიდებული ხელმძღვანელობის მეშვეობით ირანი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე შფოთიან რეგიონში დღეს სტაბილურობის კუნძულს წარმოადგენს.. მსოფლიოში არც ერთი სხვა ქვეყანა ჩვენთან ასე ახლოს არ არის ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობის სფეროში. არც ერთი სხვა ქვეყანა ჩვენთან ასე მჭიდროდ არ თანამშრომლობს რეგიონისათვის საჭირბოროტო პრობლემებთან დაკავშირებით. არც ერთი სხვა სახელმწიფოს მეთაურის მიმართ არ მაქვს უფრო მეგობრული დამოკიდებულება და მადლიერი გრძნობა[4]'.

შესაძლოა, კარტერს მიაჩნდა, რომ მისგან შაჰისთვის ხოტბის შესხმა და ირან-ამერიკული ურთიერთობის ობიექტური დახასიათება საზოგადოებას მონარქიის გარშემო მეტი კონსოლიდაციისკენ უბიძგებდა, მაგრამ რეალობა სხვაგვარი იყო. წინა წლებში გახშირდა ამერიკელ სამხედრო და სამოქალაქო პირებზე თავდასხმები, რომლებიც ორგანიზებული კამპანიის შთაბეჭდილებას ტოვებდა. სამხედრო მისიის სამი ოფიცრის, მათ შორის ორი პოლკოვნიკის მკვლელობას სავაქის 'აიბიექსის' სისტემაზე მომუშავე ტექნიკური პერსონალის სამი ამერიკელი თანამშრომლის დაღუპვა დაემატა. რადიკალური მემარჯვენე და მემარცხენე ელემენტები ამერიკელთა მიმართ თავიანთ სიძულვილს ძალადობრივი გზით გამოხატავდნენ, გაღიზიანებას კი პოლიტიკური საკითხების გარდა ყოფითი სარჩულიც განაპირობებდა. საუდის არაბეთისგან განსხვავებით, შაჰის ხელისუფლებას უცხოელი სპეციალისტებისთვის ადგილობრივი ტრადიციების პა-

ტივისცემა და კულტურული მგრძნობიარობის გათვალისწინება არ მოუთხოვია. შედეგად, ათასობით ამერიკელი შაბათ-კვირას ზღვის სანაპიროებზე მიემართებოდა. მამაკაცები შამფურებზე ღორის ხორცს წვავდნენ, მათი ცოლები მზის ქვეშ დასაველურ საცურაო კოსტიუმებში ირუჯებოდნენ, ქალაქებში კი შორტებში და მოკლესახელოიან მაისურებში დასეირნობდნენ. მიზეზთა ერთობლიობის გამო კარტერის ვიზიტის დროისთვის ირანული საზოგადოების საგრძნობი ნაწილი უკვე ანტიამერიკულად იყო განწყობილი, ამიტომ პრეზიდენტმა საახალწლო გამოსვლით მხოლოდ საპირისპირო ეფექტი მოახდინა. თეირანში მის ნასელამდე სამი დღით ადრე ირან-ამერიკის ინსტიტუტში ბომბი აფეთქდა, ხოლო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, რომლებიც ახალ წლად ოფიციალურ და ტრადიციულ ნოურუზს აღიარებდნენ, კარტერის ვიზიტისადმი პროტესტის ნიშნად სწავლა შეწყვიტეს. უნივერსიტეტი სამი დღით დაიხურა. სტუმრის გამგზავრებიდან ერთ კვირაში კი სათავე დაედო მოვლენათა უწყვეტ სერიას, რომელმაც 'სტაბილურობის კუნძული' თანდათან საბოლოოდ ნაძირა.

როგორც ყოველთვის, სტუდენტობა საზოგადოების წამყვანი მეამბოხე ძალა იყო. პირველი გამოსვლები მან ოქტომბერში მოაწყო და სომიერი მოთხოვნები წამოაყენა: კონსტიტუციის დაცვა, ხელისუფლების შტოების განცალკავება, ცენზურის გაუქმება, სიტყვის თავისუფლების უზრუნველყოფა, პოლიტიკურ პატიმართა გათავისუფლება, პარტია 'რასთოხიზის' დაშლა, სტუდენტთა დევნის შეწყვეტა. სასულიერო სემინარიების სტუდენტებს ისლამური ფასეულობების და რელიგიური ინსტიტუტების დაცვასთან დაკავშირებული სპეციფიური მოთხოვნები გააჩნდათ. 8 იანვარს ყუმში მათი შეკრების მიზეზი გახდა ყოველდღიურ 'ეთელაათში' ამმედ მოთლაქის ფსევდონიმით დაბეჭდილი სტატია 'წითელი და შავი რეაქცია ირანში', რომელიც პირადად ხომეინის შეურაცხმყოფელ წერილს წარმოადგენდა. ბრალდებათა ნაწილი გარე აგენტურასთან მის თანამშრომლობას ეხებოდა:

> *'მან გამოიჩინა წითელი და შავი იმპერიალიზმის გეგმების განხორციელების ინიციატივა, შეებრძოლა მიწის რეფორმას, ქალებისათვის მეტი უფლებების მინიჭებას, ტყის ნაციონალიზაციას, და ენთუზიაზმით შეუდგა მეხუთე კოლონისტებისთვის დამახასიათებელ საქმიანობას'.*

აიათოლას საზოგადოებრივი მოღვაწეობის შეფასების გარდა, სტატიამ არც მის პირად ცხოვრებას აუარა გვერდი. ავტორის თანახმად, ხომეინი წარმოშობით უცხოელი და ამასთან მოცეკვავე ქალის შვილი იყო.

რამდენიმე თვის შემდეგ გაირკვა, რომ საგაზეთო მასალის გამოქვეყნება წინასწარ პრემიერ-მინისტრ ამუზეგარის და ინფორმაციის მინისტრ ჰომაიუნის ზედამხედველობით მოხდა, სტატია კი სამეფო კანცელარიაში მომზადდა. აპრილის თვეში გაეროში ირანის წარმომადგენელთან ფერეიდუნ ჰოვეიდასთან შეხვედრისას შაჰმა ეს ბრალდებები სრულად გაიმეორა:

'ეს მოლა ხომ ირანელიც არ არის: მამა ინდოელი ჰყავდა, დედა კი საეჭვო რეპუტაციით სარგებლობდა[5]'.

შაჰისა და აიათოლას სიტყვიერი დუელის დროს გამოყენებული გამოთქმები ეთიკურ ნორმებში ისედაც ნაკლებად ჯდებოდა; თუმცა მხარეთა განკარგულებაში არსებული პროპაგანდისტული საშუალებები ძალიან უთანასწორო იყო. შაჰის თქმით,

'ირანელი ხალხი წყველის ხომეინის, რომელიც არის წარმოშობით უცხოელი, ინდოეთში დაბადებული და მიმღები ქვეყნის მოღალატე. ამბობენ, რომ ის ბრიტანელთა ფასიანი აგენტია, მას ასევე ერაყი აფინანსებს[6]'.

ხომეინის რიტორიკა, რომელშიც ასევე ღალატისა და უცხოელთა აგენტობის თემა ჭარბობდა, არანაკლებ გამანადგურებლად მწვავე იყო:

'შაჰი ...არის რაღაც საზიზღარი ნაბუშარი, რომელსაც ძნელია სახელი მოუძებნო[7]'.

13 წლის მანძილზე გადასახლებაში მყოფი აიათოლას ოჯახში ოქტომბერში უბედურება მოხდა: მოულოდნელად გარდაიცვალა ნეჯეფში მასთან მყოფი უფროსი ვაჟი 49 წლის მუსტაფა. გავრცელდა ხმები, რომ ის სავაქმა მოწამლა. მკვლელობაში ხომეინიმ პირადად შაჰს დასდო ბრალი. ასეთ პირობებში ანტაგონიზმის შენელება ძნელად წარმოსადგენი გახდა.

დევნილი და შვილმკვლელი სასულიერო პირის მხარდასაჭერად ყუმის ქუჩებში მრავალი ათასი ადამიანი გავიდა. დემონსტრაციის მონაწილეთა მოთხოვნებს შორის იყო ხომეინის საწინააღმდეგო ცილისწამების შეწყვეტა, ფაიზიეს სემინარის გახსნა და სამშობლოში თავად აიათოლას დაბრუნება. დემონსტრაცია უშიშროების ძალებთან სისხლიანი შეტაკებით დასრულდა, რომელმაც რვა ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

საზოგადოებრივი სტაბილურობის მოჩვენებითობა ერთბაშად წარმოჩნდა. ცხადი გახდა, რომ ხელისუფლებას აქტიურად მებრძოლი ოპონენტები ჰყავდა, ხოლო, მეორე მხრივ, შაჰი ძალის გამოყენებისგან უკან არ იხევდა. საწყისი მდგომარეობით ვითარება 1963 წლის ივნისს წააგავდა. ახლაც ფაჰლავის შეეძლო ეფიქრა, რომ ყუმის გამოსვლები საიმედოდ ჩაახშო. მაგრამ თუ ბაჰმანის რევოლუციის პერიოდში ბევრი ადამიანი რეფორმების პერსპექტივას ოპტიმისტურად უყურებდა, 15 წლის თავზე გარდაქმნების ყველა დადებითი და უარყოფითი მხარე უკვე სახეზე იყო. თვით ფაჰლავების აღიარებით, უკმაყოფილო და იმედგაცრუებული ადამიანების რაოდენობა საგანგაშოდ დიდი იყო[8]. ყველა საზოგადოებრივი კლასი თავს მოტყუებულად მიიჩნევდა – ბევრმა მსხვილმა მემამულემ სახელმწიფო საწარმოებში დაპირებული წილი არ მიიღო, ფერმერები მიწების უფრო სამართლიან განაწილებას ელოდნენ, ვაჭართა შეძლებული ფენა ხელისუფლების ორგანოების მხრიდან მზარდ ჩარევას უჩიოდა, მოლები რელიგიური ინსტიტუტების და ტრადიციების ხელყოფის გამო შფოთავდნენ, ინტელიგენცია ტოტალიტარული სახელმწიფო სისტემის შეცვლას მოითხოვდა და ა.შ., ყველა ერთად კი აყვავებულ კორუფციას, ჩინოსანთა არაკომპეტენტურობას თუ დასავლეთის ქვეყნების მიმართ ირანის ქედმოხრილ დამოკიდებულებას გმობდა.

შაჰის გეგმები აგრარული მეურნეობის ხარჯზე მრეწველობის სექტორის გაძლიერების თაობაზე სოფლის დაცემას იწვევდა. ათასობით სოფელი ცარიელდებოდა, ირანულ ბაზარზე კი სხვადასხვა საქონლის იმპორტირება 129 ქვეყნიდან ხდებოდა: ბოსტნეული ისრაელიდან შემოდიოდა, ხახვი თურქეთიდან, ხორცი ავსტრალიიდან, ხორბალი შეერთებული შტატებიდან, ფორთოხალი კი ექვსი სხვადასხვა ქვეყნიდან[9]. ვაშინგტონში აკრედიტებულ ელჩი არდეშირ ზაჰედი თავის ქვეყანაში ამერიკული საქონლის მოზღვავებას პროგრესულ მოელენად აფასებდა[10].

ამავდროულად ირანის სანავთობო ინდუსტრია ახალ სიმაღლეებს იპყრობდა. სექტემბერში გამოცხადდა, რომ ქვეყნის საექსპორტო მაჩვენებელმა დღეში 5,2 მლნ ბარელს მიაღწია[11]. ამ უდავო წინსვლასთან ერთად საეჭვრო ტვირთბრუნვის და შესაბამისად შემოსავლების მხრივ ირანი ნავთობზე სულ უფრო მეტად დამოკიდებული ხდებოდა.

შაჰის პოლიტიკის მოწინააღმდეგე ირანელებისათვის კლასობრივი სოლიდარობის საკითხი დღის წესრიგში ბუნებრივად

დადგა. ტრადიციის თანახმად, ორმოცი დღის შემდეგ ირანელები გარდაცვლილის მოსახსენიებელ ღონისძიებას მართავენ, რაც ამ შემთხვევაში სამგლოვიარო მსელელობით გამოიხატა. 18 თებერვალს სხვადასხვა ქალაქში გამართული დემონსტრაციების დროს სტუდენტი, ვაჭარი, პოლიტიკური ოპოზიციის აქტივისტი თუ სამღვდელოების წარმომადგენელი უკვე ერთმანეთის გვერდიგვერდ იდგა. ხელისუფლება გაოგნებას ვერ მალავდა ოპოზიციური კონგლომერატის გამო, კერძოდ იმ გარემოებით, რომ სწრაფი ლიბერალიზაციის მომხრეები კონსერვატიულ მოლებთან ალიანსში შევიდნენ. მაგრამ ამ ტაქტიკურ გაერთიანებას შაჰის პოლიტიკის მიუღებლობა განაპირობებდა.

მართლწესრიგის ძალებთან შეტაკების არენად ამჯერად აზერბაიჯანის მთავარი ქალაქი თავრიზი იქცა, სადაც მასშტაბური უწესრიგობები დაიწყო. პროტესტანტებმა თავდასხმების სერია შაჰის ხელისუფლებასთან და დასავლეთთან ასოცირებულ ობიექტებზე – 'რასთოხიზის' ფილიალებზე, ბანკებზე და კინოთეატრებზე მოაწყვეს, რისი მიზეზიც მარტივად აიხსნებოდა: 'რასთოხიზი' რეჟიმის განსახიერება იყო, ბანკის მიერ წარმოებული მევახშეობა ისლამის პრინციპს ეწინააღმდეგებოდა, ხოლო კინოთეატრების დარბევას ტრადიციული ფასეულობებისათვის შეუფერებელი დასავლური ფილმების ჩვენება იწვევდა. ქალაქზე კონტროლის აღდგენა მხოლოდ მეორე დღეს რეგულარული არმიის ნაწილების ჩარევის შემდეგ მოხერხდა. დაახლოებით ასი ადამიანი დაიღუპა. ამიერიდან ყოველი ტრაგიკული მოვლენის მეორმოცე დღეს გარდაცვლილთა მოსახსენიებელი რელიგიური ცერემონიალის დასრულების შემდეგ ახალი დემონსტრაციების გამართვა, მორიგი შეტაკებები და მსხვერპლი ნორმად იქცა.

ძალადობის ტალღის აგორებიდან ერთი წლის შემდეგ შაჰი თავრიზის მოვლენებს მის ძალაუფლებაზე იერიშის მიტანის დასაწყისად შეაფასებს:

> *'თავრიზულმა ამბოხებამ სათავე დაუდო ჩემი უფლებების შეზღუდვის, სუსტ და არაეფექტიან კონსტიტუციურ მონარქად გადაქცევის და საბოლოოდ ჩემი დამხობის მცდელობას'*[12].

შექმნილმა მდგომარეობამ შაჰს მნიშვნელოვანი სამომავლო გეგმების შემუშავებისკენ უბიძგა, რომელიც მან 12 აპრილს გაეროში თავის ელჩს გააცნო. რამდენადაც ეკონომიკურ კეთილდღეობასთან ერთად დემოკრატიისათვის ირანელთა მზაობაც მან უკვე შემდგარ ფაქტად შეაფასა, ფაჰლავიმ პოლიტიკური

რეფორმების დაწყება ახლა მიზანშეწონილად ჩათვალა და 1979 წლის ზაფხულში თავისუფალი არჩევნები ჩატარების მ'ხად;ოფნა გამოთქვა, სადაც გამარჯვებულ პარტიას მთავრობის დაკომპლექტების შესაძლებლობა მიეცემოდა. მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს შაჰი ყურადღებით ადევნებდა თვალს. მას ნიშანდობლივი ეჩვენა ესპანეთის მეფის ხუან კარლოსის არაფორმალური და უშუალო ურთიერთობა თავის ყოფილ მიწინააღმდეგე კომუნისტებთან, ამიტომ აქამდე მკაცრად დევნილი პარტია 'თ'ულდეს' ლეგალიზება არ გამორიცხა. ჰოვეიდამ საიდუმლო დავალება მიიღო, რათა არჩევნებზე დაკვირვების მსურველი პოტენციური ორგანიზაციები ამერიკის შეერთებულ შტატებში მოეძებნა[13].

ჯერ კიდევ რამდენიმე თვით ადრე შაჰი ამტკიცებდა, რომ რეფორმების ბოლომდე მისაყვანად ქვეყანას მისი სახით ძლიერი ხელი სჭირდებოდა. ამ საკითხში მისი პოზიციის ცვლილება ქუჩებში მიმდინარე პროცესების გარდა ჯანმრთელობამაც გამოიწვია. 1974 წელს ფრანგმა ექიმებმა მონარქს სისხლის ქრონიკული ლიმფოციტური დაავადება დაუდგინეს, რომელიც ვალდენსტრიომის დაავადებად გამოაცხადეს. სამწლიანი ხშირი მკურნალობის შემდეგ მათ შაჰს აცნობეს, რომ ეს ბუნდოვანი ტერმინი კიბოს დაავადებას ნიშნავდა. იმის მიუხედავად, რომ ფაჰლავი გარეგნულად ჯანმრთელი და ენერგიული ადამიანის შთაბეჭდილებას კიდევ რამდენიმე ხნის მანძილზე ტოვებდა, ავადმყოფობა სინამდვილეში მის საერთო მდგომარეობას ნელი ტემპით აუარესებდა, რაც სახელმწიფოს მართვაზე შესაბამისად აისახებოდა. ახლო მომავალში მოსალოდნელ აღსასრულს შაჰი შეგუებული იყო, ამიტომ მისთვის პრიორიტეტად სამოქალაქო სიმშვიდის აღდგენა იქცა, რომელსაც გზა უნდა გაეხსნა არჩევნებისკენ და შემდეგ ტახტის გადაბარებისკენ: მეფისათვის აუცილებელ 21 წლიან ასაკობრივ ზღვარს პრინცი რეზა 1980 წლის 31 ოქტომბერს გადააბიჯებდა.

ქუჩის გამოსვლებთან დაკავშირებული კრიზისის განმაელობაში ძალოვანი სტრუქტურების მეთაურებისადმი შაჰის მოთავარი ბრძანება სისხლისღვრის თავიდან აცილება იყო, მაგრამ ადამიანების დაღუპვა არ წყდებოდა. ივნისში ორასზე მეტი კაცი მხოლოდ ქალაქ მეშჰედში მომხდარ შეტაკებებს შეეწირა. თითოეული ახალი მსხვერპლის შემდეგ ხელისუფლება თანდათან პასიურ მხარდამჭერებს კარგავდა, რადიკალური ბანაკი კი ზომიერი ოპოზიციის რიგების შეთხელების ხარჯზე ახალ ცოცხალ ძალას იძენდა.

უწესრიგობებთან გამკლავებას საჭირო აღჭურვილობის არქონის გამო პოლიცია ვეღარ ახერხებდა. კარტერის ადმინისტრაციამ უარყო შაჰის თხოვნა რეზინის ტყვიების და ცრემლსადენი გაზის მიწოდების შესახებ[14], არმია კი, რომელიც გარეშე მტრის მოსაგერიებლად იყო გაწვრთნილი, პოლიციური ტიპის ოპერაციების ჩასატარებლად მოუქნელი აღმოჩნდა. ფაჰლავი თავს იმ იმედით იმშვიდებდა, რომ არეულობები დემოკრატიის გზაზე გარდაუვალ დროებით მოვლენას წარმოადგენდა. მაგრამ რაც დრო გადიოდა, საპროტესტო აქციების მასშტაბი იზრდებოდა. მაღალფარდოვან ცნებასაც ორიეე მხარე თავისებურად აღიქვამდა. ოპოზიციის გამოსვლების ძირითადი ლოზუნგი ამ ეტაპზე სწორედ ლიბერალური იდეების დამკვიდრება იყო. იენისში მოსადეყის მიერ დაარსებული 'ეროვნული ფრონტის' სამმა თვალსაჩინო წევრმა ქარიმ სანჯაბიმ, შაჰფურ ბახთიარმა და დარიუშ ფორუჰარმა შაჰს ღია წერილით მიმართეს და კელავ მოუწოდეს ცენზურის გაუქმების, ციხეებიდან პოლიტიკურ პატიმართა გამოშვების და ხალხის მხარდაჭერის მქონე მთავრობის შექმნისკენ. მაგრამ ქუჩებში ჯავშანტექნიკის გრუხუნი და მაღაზიების თუ ავტომანქანების მსხვრევის ხმაური კონსტიტუციონალისტების ხმას სულ უფრო მტკიცედ ახშობდა. აპრილში მთავრობამ გამოაცხადა საბჭოთა ჯაშუშური ქსელის აღმოჩენის და განადგურების შესახებ. ოფიციალური პირები დაბეჯითებით აცხადებდნენ, რომ დესტაბილიზაციას კრემლის ინტრიგები ასულდგმულებდა. რუსული კვალის ძიება განსაკუთრებით ავღანეთის მოვლენების შემდეგ გაძლიერდა. 27 აპრილს ქაბულში სამხედრო გადატრიალება განხორციელდა, რომლის დროს პრეზიდენტი მუჰამედ დაუდი დაიღუპა, ხოლო ხელისუფლების სათავეში სახალხო-დემოკრატიულ პარტიად წოდებული რადიკალ კომუნისტთა დაჯგუფება მოვიდა. კოლექტივიზაციის ძალდატანებითი პროცესის და სამღვდელოების შევიწროების დაწყებამ ანტისამთავრობო განწყობა და სამოქალაქო ომის საშიშროება შექმნა. აღმოსავლეთის საზღვარზე ვითარების ესკალაციას შაჰი შეშფოთებით ადევნებდა თვალს. თვით ირანშიც ხანგამოშვებით შეიარაღებული თავდასხმები ხდებოდა. თებერვალში და მარტში აფეთქებები მოხდა ყუმში 'რასთოხიზის' შტაბ-ბინაში, ასევე ყუმისა და თავრიზის პოლიციის განყოფილებებში.

შეიარაღებული ბრძოლის ავანგარდში ორი ორგანიზაცია იდგა. მათგან 'ფედაინები' კლასიკურ მარქსისტულ ჯგუფს წარმოადგენდნენ, 'მოჯაჰედები' კი უნიკალურ იდეოლოგიურ თეორიებს

აეითარებდნენ. ძირითადად უნივერსიტეტის სტუდენტებისგან და უმაღლესი განათლების მქონე აქტივისტებისგან დაკომპლექტებული ხალხოსნები მარქსიზმისა და ისლამის სრულ თავსებადობაზე საუბრობდნენ: კომუნისტურ ლოზუნგებს უკლასო საზოგადოების და კაპიტალიზმის დამპყრობლური ბუნების შესახებ ისინი ჩაგერის წინააღმდეგ შიიტი წმინდანების საქმის გაგრძელების აუცილებლობას უხამებდნენ. შედეგად, იმპერიალიზმის, კაპიტალიზმის და დესპოტიზმის საწინააღმდეგო ბრძოლა მათ საკვანძო პრინციპებად აღიარეს. პირველი შეიარაღებული გამოსვლა მოჯაჰედებმა პერსეპოლისის ღონისძიების ჩაშლის მიზნით 1971 წელს განახორციელეს. მოგვიანებით მათ ექვსი ბანკი დააყაჩაღეს, თეირანის პოლიციის უფროსი და ამერიკელი სამხედრო მრჩეველი მოკლეს, თვითმფრინაეის გატაცება სცადეს და რამდენიმე უცხოურ ორგანიზაციაში აფეთქება მოაწყვეს. ხელისუფლების მხრიდან დახვრეტების შედეგად მათ ასამდე მებრძოლი დაკარგეს, თუმცა ძალების შეკვეთბას მოჯაჰედები ლიბანიდან იღებდნენ, სადაც მათი არაერთი აქტივისტი საბრძოლო მზადებას გადიოდა.
აგვისტოს დასაწყისისთვის ვითარების განმუხტვის იმედს შაპი ორ გარემოებას აფუძნებდა. მისი გათვლით, არჩევნების თარიღის დასახელება და მუსლიმანთა მარხვის დაწყება ქვეყანაში ემოციების ნაცხრომას გამოიწვევდა. 5 აგვისტოს შაპმა საქვეყნოდ გამოაცხადა 1980 წლის გაზაფხულისათვის ყველა პარტიის მონაწილეობით თავისუფალი არჩევნების ჩატარების შესახებ. მეორე დღეს რამადანის თვე დაიწყო. მაგრამ მოლოდინის საწინააღმდეგოდ პაპანაქება სიცხეში დღის მანძილზე მშიერმწყურვალე ადამიანების მხრიდან საპროტესტო აქტიურობა მხოლოდ გაიზარდა. ყველაზე სისხლიანი დაპირისპირება ახლა ისფაჰანში მოხდა, სადაც ათობით დემონსტრანტი დაიღუპა და დაიჭრა. წესრიგის აღსადგენად ადგილობრივმა ხელისუფლებამ 20 საათიდან დილის ექვს საათამდე კომენდანტის საათი შემოიღო და სამზე მეტი ადამიანის შეკრება კატეგორიულად აკრძალა.
პოლიტიკურმა სპექტრმა წელიწადნახევრის შემდეგ არჩევნების გამართვის შეპირება უნდობლობით მიიღო. წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, საპროტესტო კამპანიის შეჩერება მან თვითმკვლელობის ტოლფას იდეად მიიჩნია, რადგან საეაქის მხრიდან ფართო რეპრესიების დაწყება ყველაზე რეალურ ვარიანტად მოჩანდა. პოლიტპატიმრების გათავისუფლების და მედიაზე დიქტატის მოხსნის გარეშე ოპოზიციისათვის არჩევნების

თარიღის დასახელება საკმარისი არ იყო. თავის მხრივ, ფაჰლავის ამ მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში მოწინააღმდეგის გაძლიერების სავარაუდო პერსპექტივა გაცნობიერებული ჰქონდა: ასობით გამოცდილი შეურიგებელი პოლიტიკური მოღვაწის გათავისუფლება და მათთვის ტრიბუნის დათმობა დემონსტრაციების შეწყვეტის ნაცვლად უკუშედეგს გამოიღებდა. ამიტომ კომპრომისზე წასვლა ორივე ბანაკისთვის მიუღებელი იყო. შაჰს არსენალში ერთგული არმია გააჩნდა, რომელიც ისფაჰანში კომენდანტის საათის აღსრულებას შედეგიანად ახერხებდა. საჭიროების შემთხვევაში ანალოგიური ღონისძიება სხვა ქალაქებშიც გატარდებოდა. ყველაფრის მიუხედავად, მონარქის მდგომარეობა უიმედო არ ჩანდა. 19 აგვისტოს 'ეთელაათში' გამოქვეყნებულ ინტერვიუში შაჰი სინანულით აღნიშნავდა, რომ არ ეგონა, 'თუ თავისუფლებისათვის გადასახდელი ფასი ესოდენ მაღალი იქნებოდა'. თუმცა გაზეთის დაბეჭდვიდან მხოლოდ რამდენიმე საათი იყო გასული, როცა ქვეყანა შემზარავმა ტრაგედიამ შეარყია.

[1] სეფეჰრ ზაბიჰი, 'ირანი რევოლუციის შემდეგ', 1982, გვ.3
[2] ფარაჰ ფაჰლავი, 'მარადიული სიყვარული', 2004, გვ.234
[3] იქვე, გვ.272
[4] იქვე, გვ.272-73
[5] ფერეიდუნ ჰოვეიდა, 'ირანიანი', 'ჩემი ბოლო აუდიენცია შაჰთან', 2000 წლის 18 აგვისტო.
ხომეინის წინაპრები მე-18 ს. დასაწყისში ინდოეთში გადასახლდნენ. რუჰოლას პაპა სეიედ აჰმადი სპარსეთში 1839 წელს ჩავიდა და ხომეინში მამული შეიძინა, სადაც ოჯახი დააფუძნა.
[6] ასაფ ჰუსეინი, 'ისლამური ირანი', 1985, გვ.124
[7] დ.ჟუკოვი, 'ირანის თავზე ცა ნათელია', 1999, გვ.408
[8] 'მარადიული სიყვარული', გვ.258
[9] 'ქეიჰანი', 1977 წლის 16 სექტემბერი
[10] 1977 წლის 27 მაისს დალასში გამართულ მიღებაზე სიტყვით გამოსვლისას ზაჰედიმ სიამაყით განაცხადა: 'ირანი რეგიონში შეერთებული შტატების საქონლის უდიდეს ბაზარს წარმოადგენს'. 'ირანიანი', 2001 წლის 11 თებერვალი
[11] 'ქეიჰანი', 1977 წლის 13 სექტემბერი
[12] მუჰამედ რეზა ფაჰლავი, 'პასუხი ისტორიას', 1980, გვ.154
[13] დავალების შესრულების მიმდინარეობა შაჰმა 20 იენისს ელჩთან სატელეფონო საუბრის დრო დროს მოიკითხა, მაგრამ ჰოვეიდას ამ მხრივ არაფერი გაეკეთებინა.
'ჩემი ბოლო აუდიენცია შაჰთან'
[14] 'მარადიული სიყვარული', გვ.275

ხალხით სავსე აბადანის კინოთეატრ 'რექსში' ფილმის ჩვენება ახალი დაწყებული იყო. უეცრად კინოდარბაზში ჯერ კვამლი, შემდეგ კი ცეცხლი გაჩნდა. ადამიანები პანიკამ მოიცვა. სიბნელეში ისინი გასასვლელ კარს მიაწყდნენ, მაგრამ ვერ გააღეს. ის გარედან ჩაკეტილი აღმოჩნდა. ოცი წუთის შემდეგ ადგილზე მისულმა სახანძრო სამსახურის ჯგუფებმა 477 ცოცხლად დამწვარი ადამიანის ნაშთების გამოტანა დაიწყეს. მათი უდიდესი ნაწილის ამოცნობა შეუძლებელი იყო, ამიტომ დაღუპულები საერთო საფლავში დაკრძალეს.

დაძაბული პოლიტიკური ვითარების გამო ტრაგედიას თაეიდანვე შესაბამისი შეფერილობა მიეცა. ყველაზე სარწმუნო გახდა ვერსია იმის შესახებ, რომ აბადანის ქუჩებში პოლიცია ოთხი ისლამისტის დევნას ახორციელებდა, რომლებმაც თაეი კინოთეატრს შეაფარეს. ხალხის დიდ ნაკადში პოლიციელებისგან შეუმჩნეველად გაქცევის მიზნით მათ შენობას ცეცხლი წაუკიდეს, თუმცა მართლწესრიგის დაცვის ოფიცერმა დამხმარე რაზმის მოლოდინში 'რექსის' კარები გარედან ჩარაზა, რითაც რამდენიმე კაცის დაპატიმრების სურვილს უამრავი ადამიანის სიცოცხლე გადააყოლა.

უკიდურესად დაზაფრული საზოგადოება კრიზისში მონაწილე მხარეებისგან ახსნა-განმარტებას ელოდა. ხელისუფლებამ ოპონენტების მიერ კინოთეატრების გადაწვის ორგანიზებულ ქმედებებზე მიუთითა და მომხდარში 'შემდგომ დესტაბილიზაციაში დაინტერესებული ძალები' ამხილა. ის ამტკიცებდა, რომ გარეშე მტრების მიერ მართული რეაქციული ელემენტები თაეიანთი ბოროტი ზრახვების განხორციელებისას უკან არ იხევდნენ თვით ყველაზე ამაზრზენი დანაშაულის ჩადენისგან; იმ დროს, როცა სამოქალაქო მშვიდობის აღსადგენად შაპი ძალისხმევას არ იშურებდა და 5 აგვისტოს განცხადებით სამომავლოდ საკუთარი ძალაუფლების შეკვეცის მზადყოფნა გამოთქვა, ექსტრემისტების მთავარი სამიზნე უდანაშაულო ხალხი გახდა, რათა ხელისუფლების კომპრომეტაციის საშუალებით ახალი უწესრიგობები გამოიწვიოს, - განმარტავდნენ ოფიციალური პირები.

სრულიად საწინააღმდეგო არგუმენტებზე დაყრდნობით ოპოზიცია პროცესებს ასეთ შეფასებას აძლევდა: მრავალთვიანი დაპირისპირების შემდეგ შაპის რეჟიმი მიხვდა, რომ ვერც უხეში ძალის გამოყენებით და ვერც ტკბილი დაპირებებით საზოგადოების პროტესტის ჩახშობას ვერ შესძლებდა, ამიტომ ეს და-

ნაშაული მან ოპონენტებისათვის სახელის გასატეხად ჩაიდინა; ისევე როგორც ნაცისტების მიერ რაიხსტაგის გადაწვა გახდა საყოველთაო რეპრესიების დაწყების სიგნალი, აბადანის ტრაგედიასაც სასტიკი ანგარიშსწორება მოჰყვება, თუ საზოგადოება ხელისუფლების წინააღმდეგ ერთსულოვნად არ დაირაზმება. ოპოზიციის მომხრეებისთვის ჰიტლერის გერმანიასთან ირანის შედარება ზედგამოჭრილი იყო, რადგან სავაქს ისინი ისედაც გესტაპოს ნაირსახეობად მიიჩნევდნენ. კინოთეატრს მათ 'არიამეჰრის საქაბაბე' დაარქვეს. თუმცა ორი წლის შემდეგ პოსტმონარქიულ ირანში გამართული სასამართლო პროცესის შედეგად გაირკვა, რომ დანაშაული არა სავაქის აგენტებმა, არამედ რელიგიურმა აქტივისტებმა ჩაიდინეს. რევოლუციურმა ტრიბუნალმა 'რექსის' გადაწვის ბრალდებით ექვს პიროვნებას სასიკედილო განაჩენი გამოუტანა. ნებისმიერ შემთხვევაში პოლიციელთა გონიერული ქმედებით და მეხანძრეთა დროული მისვლით უბედურების თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა. ხალხის გულის დასაპყრობად ბრძოლის საკვანძო ეტაპი დაიწყო. ცხადი იყო, რომ ის პოზიციური დაპირისპირება, როცა ხელისუფლება დაძაბულობის განმუხტვას ვერ ახერხებდა, ხოლო ოპოზიცია სასურველ შედეგს ვერ აღწევდა, უსასრულოდ ვერ გაგრძელდებოდა. შაჰმა ინიციატივის ხელში აღება გადაწყვიტა. მან მთავრობა გადააყენა და ჯაფარ შარიფ-ემამის მეთაურობით შექმნილ ახალ კაბინეტს მდგომარეობის გამოსასწორებლად ფართო უფლებამოსილება მიანიჭა. შარიფ-ემამი ბოლო 15 წლის მანძილზე სენატს თავმჯდომარეობდა, 'ფაჰლავის ფონდსაც' ხელმძღვანელობდა და კორუმპირებული ადამიანის იმიჯით სარგებლობდა, მაგრამ პირველივე საჯარო გამოსვლაში განაცხადა, რომ ის 'ძველი შარიფ-ემამი არ იყო[1]'. მან თავიდანვე რამდენიმე გაბედული ღონისძიება გაატარა: პრესის ცენზურა გააუქმა, ოპონენტებს პირდაპირი რადიოეთერი დაუთმო, ხელფასებისა და პენსიების მომატების პირობა დადო, სავაქის 34 მაღალი რანგის ოფიციალური პირი თანამდებობიდან ერთ დღეში გაათავისუფლა, კორუფციის ბრალდებით რამდენიმე მოხელის წინააღმდეგ გამოძიების დაწყება გამოაცხადა, სამორინეები და კინოთეატრები დახურა, ხელისუფლების ოპონენტების დევნაში მხილებული პროვინციების თუ სასწავლო-დაწესებულებების ხელმძღვანელები შეცვალა. შარიფ-ემამის გეგმით, ფასების ზრდას ბრინჯზე, ჩაიზე, შაქარსა და პურზე სუბსიდიების დაწესება შეაჩერებდა, გაზრდილი საბიუჯეტო ვალდებულებების გასტუმრება სამხედრო პროექტების შემცირების და

ბირთვული ელექტროსადგურების მშენებლობის პროგრამების გადახედვის ხარჯზე მოხდებოდა, ხოლო სოფლის მეურნეობის უხვი დაფინანსება ქალაქებში ჩასულ ადამიანებს პროვინციებში დაბრუნებისკენ უბიძგებდა.

'მე მომთმენი ვარ და არ გადავდგები, ვიდრე ირანში სიმშვიდე არ დაისადგურებს',

- რიხით განაცხადა მან[2]. ახალი პრემიერი წარმოშობით რელიგიური ოჯახიდან იყო და სამღვდელოებასთან და სამოქალაქო ოპოზიციასთან წარმატებული დიალოგის იმედი ჰქონდა. სასულიერო პირების შეხედულებების არაერთგვაროვნების გამო მოლებს ის სერიოზულ საფრთხედ არ აღიქვამდა, მით უმეტეს, რომ დიდი აიათოლა შარიათმადარის ზომიერ მხარდამჭერებთან შედარებით ხომეინის მომხრეების რაოდენობა უმნიშვნელოდ მიაჩნდა. შერიგებისთვის მნიშვნელოვანი სიმბოლური ჟესტის სახით მან შაჰის მიერ ორი წლით ადრე გაუქმებული ისლამური კალენდარი ისევ აღადგინა. პირად საუბრებში პრემიერი მიუთითებდა, რომ წინამორბედებისგან განსხვავებით შაჰისგან დამოუკიდებლად მოქმედებდა, ოპონენტებისადმი დიდ დათმობებს კი იმით ამართლებდა, რომ ისინი ყველაფერს მიიღებდნენ და ბრძოლას შეწყვეტდნენ. ერთობ სკეპტიკურმა ბრიტანელმა და ამერიკელმა ელჩებმა ამ კურსს 'ნიანგების გამოკვების პროგრამა' დაარქვეს[3].

შაჰის ძირითადი მოკავშირე ქვეყნების ეს ორი წარმომადგენელი ნიავარანის სასახლეში რეგულარულად დადიოდა. სექტემბრის დასაწყისში მორიგი შეხვედრის დროს ფაჰლავი მათ სტრესულ მდგომარეობაში დახვდა. მიმდინარე პროცესები მან ხელისუფლების წინააღმდეგ უცხოეთიდან კარგად ორგანიზებულ შეთქმულებად დაახასიათა. შაჰის თქმით, საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ მან დაასკვნა, რომ საბჭოთა სუკ-ის გარდა არეულობებში თავიანთი წელილი ამერიკულ და ბრიტანულ სპეცსამსახურებსაც მიუძღოდა. მაშინ, როდესაც ინგლისელთა არაკეთილგანწყობას ის თეირანის სანავთობო პოლიტიკის მიმართ უკმაყოფილებით ხსნიდა, ვაშინგტონის მოქმედებათა საფუძველი შაჰს ვერ გაეგო. მან ეჭვიც კი გამოთქვა, რომ შესაძლოა მსოფლიოში გავლენის სფეროების ახალი გადანაწილების მიზნით მძლავრ სახელმწიფოებს შორის საიდუმლო გარიგება მოხდა[4]. აშშ-თან მეგობრობის საკითხში მონარქს თვალსაზრისი შეეცვალა. რამდენიმე თვის წინ ის და კარტერი ერთმანეთის მიმართ გულისამაჩუყებელ ფრაზებს გამოთქვამდნენ, ახლა კი, ამ მძიმე ჟამს, პრეზიდენტის სიჩუმე უსიამოვნო ფიქ-

რებს აღძრავდა. თავის მრჩეველთან ეპსან ნარაღისთან საუბარში შაჰს ამერიკელთა ქცევამ ბრიტანელთა 37 წლისწინანდელი ქმედებები გაახსენა:

'მათ რეგიონში ჩვენი ძლიერების შიში აქვთ და ურჩევნიათ სუსტ მეფესთან ჰქონდეთ საქმე, რომლის მანიპულირებას იოლად შესძლებენ'.

ელჩ სალივანისგან შაჰი გამუდმებით ისმენდა სიტყვებს შეერთებული შტატების მხრიდან მისი შეურყეველი მხარდაჭერის შესახებ, მაგრამ მას ქმედითი დახმარება სჭირდებოდა. ფაჰლავი მხოლოდ საყვედურებს ამბობდა, სინამდვილეში კი ვითარების უფრო გაუარესებასთან ერთად თითოეული ნაბიჯის გადადგმამდე ის სწორედ ამერიკისკენ იხედებოდა.

7 სექტემბერს ოპოზიციამ რამადანის თვის დასრულებასთან დაკავშირებით ახალი დემონსტრაცია ჩაატარა. თეირანის ქუჩები 100 ათასამდე ადამიანმა მშვიდობიანი მარშით ჩაიარა. მიტინგზე გამოცხადდა, რომ მომდევნო დღეს ქვეყნის მთავარ ქალაქებში ყუმში დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად მორიგი აქციები გაიმართებოდა. შეშფოთებულმა შაჰმა გეიან საღამოს თავის უახლოს გარემოცვასთან საგანგებო თათბირი ჩაატარა. დემონსტრაციების აღკვეთის მიზნით ხელისუფლებამ 11 ქალაქში ექვსი თვის ვადით კომენდანტის საათის დაუყოვნებლივი შემოღება გადაწყვიტა. მთავრობის დადგენილების შესახებ ინფორმაციის გადაცემა რადიომ პარასკევს დილით დაიწყო, როდესაც ათასობით მოქალაქე უკვე ქუჩაში იყო გასული. განკარგულების შესრულება გენერალ-ლეიტენანტ ღოლამ-ალი ოვეისის ჰქონდა დაკისრებული, რომელიც გადამჭრელი ზომების გატარების მომხრე იყო. ოვეისის მიერ ქუჩაში გაყვანილი არმიის ნაწილებმა დემონსტრანტებს გზა ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ჟალეს მოედანზე გადაუკეტეს, სადაც მასობრივი ხოცვა-ჟლეტა გაიმართა[6].

ხელისუფლებამ ისევ თავის გამართლება სცადა. ამჯერად სროლის დაწყება მან სახლების სახურავებზე მყოფ პალესტინელ მებრძოლებს დააბრალა, ჯარის გამოყენება კი კომენდანტის საათის რეჟიმის დაცვის აუცილებლობით გაამართლა. მაგრამ სასახლის კარის შეფასებები ნაკლებ ნდობას იწვევდა ირანშიც და დანარჩენ მსოფლიოშიც, სადაც დემონსტრაციის დახვრეტის ვიდეოკადრები სწრაფად გავრცელდა. მსხვერპლის რაოდენობით შაჰი შოკირებული ჩანდა. საგანგებო ზომები ძალაში დარჩა, ოვეისიმაც შეინარჩუნა თანამდებობა, მაგრამ კანონგარეშედ გამოცხადებული საპროტესტო აქციები მომდევნო

დღეებში გაგრძელდა. პროპაგანდისტულ ომში ოპოზიცია ცხადია ამუქებდა ხელისუფლების დანაშაულის მასშტაბს, მაგრამ უყურადღებოდ არ დარჩენილა ის გარემოება, რომ ჟალეს მოედანზე მყოფი სამხედროების ნაწილი სპარსულ ენაზე არ საუბრობდა. ცნობილი გახდა, რომ ტრაგედიის ადგილას ოფეისის მართლაც ეთნიკური ქურთებით დაკომპლექტებული სამხედრო შენაერთი ჰყავდა. ასევე სწრაფად გავრცელდა ხმები, რომ თეირანმა დახმარება ისრაელს სთხოვა, რომლის არმიას პალესტინაში პონტანურ ამბოხებებთან ბრძოლის დიდი გამოცდილება გააჩნდა. ირანში თავიანთი სამხედროების გაგზავნის ამბავი ოდნავ მოგვიანებით ისრაელის გაზეთებმა დაადასტურეს. ჰაიფას მახლობლად მდებარე რამათ-დავითის ავიაბაზას და ირანის აეროდრომ ლუდს შორის საჰაერო ხიდი შეიქმნა, რომლის მეშვეობით ცრემლსადენის გაზის, სპეციალური აღჭურვილობის და კომანდო ჯგუფების ტრანსპორტირება ხდებოდა. ისრაელის არმიის სადაზვერვო სამსახურის ჯგუფს სათავეში რაბბამ ზიბაკი ჩაუდგა, რომელიც ადრე ტურიზმის საკითხებში პრემიერ-მინისტრის მრჩეველი იყო. ჯარისკაცებს ირანის შეიარაღებული ძალების უნიფორმა ეცვათ და ადგილობრივი ებრაელი თარჯიმნების სამსახურით სარგებლობდნენ, უწესრიგობების აღკვეთის ვარჯიშებს კი აბადანის სიახლოვეს მდებარე სამხედრო ბაზაზე გადიოდნენ[7].

'შავი პარასკევი' შემობრუნების წერტილად იქცა. ხელისუფლებას ნერვებმა უმტყუნა, ოპოზიციამ კი აქამდე ნეიტრალური ირანელებისგან თანაგრძნობისა და მხარდაჭერის ძალზე საჭირო მუხტი მიიღო. ის დრო, როცა დემონსტრანტები შაჰისგან მეტ თავისუფლებას ითხოვდნენ, წარსულს ჩაბარდა. ახლა უკვე მათი მოთხოვნა თვით შაჰლავისგან ირანის გათავისუფლება იყო. ყველაზე პოპულარული ლოზუნგი 'მარგ ბარ შაჰ' (სიკვდილი შაჰს) გახდა. დიდ ქალაქებში ყოველდღიური მასობრივი გამოსვლები მიმდინარეობდა, მაგრამ ამიერიდან ქუჩის მარშებს სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ელემენტები დაემატა. 17 სექტემბერს ნავთობის მრეწველობაში დასაქმებულმა სამუშაო პერსონალმა პოლიტიკური და სოციალური მოთხოვნებით პირველი გაფიცვა მოაწყო. 23 სექტემბერს სკოლებში სასწავლო სეზონი დაიწყო, თუმცა საკლასო ოთახების ნაცვლად უფროსკლასელებმა ორგანიზებულად დემონსტრაციებს მიაშურეს. ოთხი დღის შემდეგ რკინიგზელთა გაფიცვამ ამ სატრანსპორტო საშუალების პარალიზების საფრთხე წარმოშვა, უმაღლესი სას-

წავლებლების გახსნისთანავე კი ინსტიტუტები ანტიმონარქისტული ბრძოლის ციტადელებად გადაიქცა.
ამასობაში თეირანმა ერაყთან დამთბარი ურთიერთობები გამოიყენა და ნეჯეფში მყოფი ხომეინის გაჩუმება სცადა. ერაყის უშიშროების მინისტრმა სადუნ შაკირმა აიათოლას ულტიმატუმი წაუყენა და ქვეყნიდან გაძევებით დაემუქრა, მაგრამ ცალსახა პასუხი მიიღო:

ჩემთვის პოლიტიკა და რელიგია განუყოფელია, ამიტომ უკან არ დავიხევ და საკუთარ პოლიტიკურ შეხედულებებზე უარს არასოდეს ვიტყვი[8].

4 ოქტომბერს ხომეინი ქუვეითისკენ გაემართა, თუმცა შაჰის განაწყენების შიშით მას საზღვარი ჩაუკეტეს. მომხრეების წინადადებით, მაშინ ის საფრანგეთში ჩაფრინდა, სადაც მდიდარმა ირანელმა პარიზიდან 25 კმ-ში მდებარე სოფელ ნოფლ-ლე-შატოში საცხოვრებლად თავისი მამული დაუთმო. ხელისუფლება კმაყოფილებას ვერ მალავდა. შარიფ-ემამის სჯეროდა, რომ 'საზოგადოება ხომეინის ვეღარ დაინახავდა და მის ხმას ვეღარ მოისმენდა[9]'.
მაგრამ რამდენიმე დღეში შაჰის გარემოცვას მწარე იმედგაცრუება ელოდა. ხომეინი ორ სახლში განთავსდა. ერთში ის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა, მეორე კი რეზიდენციად აქცია, სადაც მხარდამჭერებს და ჟურნალისტებს ხვდებოდა. მანამდე უცნობი ფრანგული სოფელი თითქმის მსოფლიო მედიის მექა გახდა. მის ვიწრო გზებზე ავტომანქანების საცობიც კი გაჩნდა, რომლის მოწესრიგებას პოლიციელები ცდილობდნენ. ყოველდღიურად ტელეეკრანებზე, რადიოეთერში ან გაზეთის ფურცლებზე ირანელი აიათოლას შესახებ სიუჟეტები გადიოდა, მისი თვალსაზრისი და მოწოდებები გადაიცემოდა. თუ ნეჯეფიდან გარე სამყაროსთან კონტაქტი ტექნიკურად რთული იყო, ახლა ხომეინის განკარგულებაში ინფორმაციის ელექტრონული საშუალებებიც გაჩნდა, რომლის მეშვეობით ის რევოლუციურ ბრძოლაში გადაზრდილი სახალხო გამოსელების ერთპიროვნულ ორკესტრირებას შეუდგა. პირველივე ინტერვიუში აიათოლამ განაცხადა, რომ შაჰთან კომპრომისი გამორიცხული იყო, რადგან ეშმაკის მსახურს არ დაელაპარაკებოდა. მან რწმენა გამოთქვა, რომ

'შაჰს არმია და სასახლის კარი განუდგებიან მაშინვე, როგორც კი ღვთისგან დაწყეველილი ამერიკელები მას დახმარებას შეუწყვეტენ[10]'.

ოპოზიციის ღვაწლმოსილი ინტელექტუალი ხელმძღვანელები ერთბაშად ჩრდილში მოექცნენ. პარიზში განათლებამიღებული იურისტი, 'ეროვნული ფრონტის' 75 წლის თავმჯდომარე ქარიმ სანჯაბი აქამდე პროცესების ევოლუციური განვითარების აქტიურ მხარდამჭერად გამოდიოდა, მაგრამ ხომეინისთან შეხვედრის შემდეგ მან მონარქია უკანონოდ სცნო. ხედვა შეიცვალა ასევე ცნობილმა დისიდენტმა მეჰდი ბაზარგანმა. ხომეინიმ სამი საკვანძო პრინციპი გამოაცხადა, რომლის გაზიარების სანაცვლოდ ოპოზიციას თანამშრომლობა შესთავაზა: ფაჰლავთა დინასტიის დამხობა, მონარქიის ლიკვიდაცია და ისლამური რესპუბლიკის შექმნა. ეს პრინციპები ირანის ქალაქებში გამართული აქციების მონაწილეებმა თავიანთი ბრძოლის მიზნებად გამოაცხადეს.

შაჰის ბანაკის მდგომარეობა კი განუხრელად მძიმდებოდა. ნომინალურად კომენდანტის საათი ისევ ძალაში იყო, მაგრამ ოპოზიცია მის იგნორირებას ახდენდა. ხალხის მიმართულებით სროლა ოვეისის აკრძალული ჰქონდა. ახალი მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად შაჰის თხოვნით ბრიტანეთმა ჩრდ.ირლანდიაში გამოცდილი სპეცდანიშნულების მებრძოლებისგან შექმნილი სამხედრო მისია მიავლინა. ირანელმა ძალოვნებმა აგრეთვე რეზინის ტყვიების და ცრემლსადენი გაზის პარტია მიიღეს[11]. მაგრამ ქუჩის გამოსვლებზე არანაკლებ საგანგაშო ვითარება ეკონომიკურ სექტორში შეიქმნა. ოქტომბრის ბოლოსთვის 37 ათასი მუშის გაფიცვის შედეგად ნავთობის მრეწველობა გაჩერდა. შარიფ-ემამის მთავრობამ გაფიცულები მოღალატეებად გამოაცხადა და სამუშაო ადგილებზე დაბრუნების სამდღიანი ულტიმატუმის შეუსრულებლობის შემდეგ ნავთობსარეწებზე არმია გაგზავნა. მაგრამ ძალდატანების და დაშინების მიუხედავად წარმოების აღდგენა ვერ მოხდა. დაიკეტა აეროპორტები, სკოლები, ბანკები, მაღაზიები, რესტორნები. გაფიცვები სამთავრობო უწყებებსაც მოედო. მორიგი ასიათასიანი მარშის შემდეგ ფაჰლავიმ კონტრ-დემონსტრაციის ჩატარება გადაწყვიტა, თუმცა ბრიტანელმა და ამერიკელმა ელჩებმა ის იმ არგუმენტით გადაარწმუნეს, რომ მომდევნო დღეს ოპოზიცია ქუჩაში ორჯერ მეტ ხალხს გაიყვანდა.

'მაშინ მათ დაკუჯერე, მაგრამ შევცდი, მე შემეძლო ამ შეჯიბრის მოგება',

- წერს შაჰი მემუარებში მოვლენებიდან ერთი წლის შემდეგ[12]. მას ასევე სანანებელი დარჩა აშშ-ში ელჩის თანამდებობაზე არდეშირ ზაჰედის დატოვება, რომლის ინერტულობამ, მისი აზ-

რით, მოვლენებისადმი ეაშინგტონის არაადეკვატურ დამოკიდებულებაში დიდი როლი შეასრულა.
ამერიკის ადმინისტრაციაში ირანულ პოლიტიკას ზბიგნევ ბჟეზინსკი ზედამხედველობდა, რომელიც ოპოზიციის მიმართ ხისტი მოქმედებების გატარებას უჭერდა მხარს. უილიამ სალივანმა მოგვიანებით გამოქვეყნებულ მოგონებებში დაწერა, რომ შაჰის დაცემის გარდაუვალობა უკვე სექტემბერში იცოდა, თუმცა მისი ქმედებები ამ მტკიცებას ეჭვქვეშ აყენებს. ანტიმონარქისტულ ძალებს ის მაშინ ახასიათებდა, როგორც 'აიათოლა ხომეინის მიერ მართულ ფანატ მუსლიმანთა ექსტრემისტულ კოალიციას, რომელსაც ხელს უწყობდნენ ტერორისტული, კომუნისტური და სხვა უკიდურესად მემარცხენე ელემენტები[13]'. ხელისუფლებისათვის რეალური საფრთხის დანახვის შემთხვევაში ელჩი სავარაუდოდ შვებულებაში არ გაეიდოდა. დიდწილად სწორედ თეირანში ამერიკული საელჩოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე აშშ-ს სამხედრო დაზვერვის სამსახურმა თავის 28 სექტემბრით დათარიღებულ მოხსენებაში შაჰის შემდგომი ათწლიანი აქტიური მმართველობის ალბათობა გამოთქვა[14]. მომდევნო ორი თვის მანძილზე თეთრი სახლის მიერ ფაჰლავის მხარდაჭერა აშკარა ჩანდა, ვიდრე განვითარებულმა მოვლენებმა შაჰის პოლიტიკური სიცოცხლისუნარიანობა საბოლოოდ დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ არ დააყენა.
შემოდგომის პირველი ორი თვე ხელისუფლებისთვის ქრონიკულად წარუმატებელი აღმოჩნდა. საპროტესტო კამპანიის არეალმა მხოლოდ იმატა, ქუჩის განწყობამ სამეცნიერო, საწარმოო და სახელმწიფო დაწესებულებებში შეაღწია, მასებზე მოლების დომინირება უკონკურენტო გახდა. პრესაზე ცენზურის გაუქმების შემდეგ შაჰის ლანძღვამ პროკლამაციებიდან მრავალტირაჟიან გაზეთებში გადაინაცვლა. პოლიტიკური რწმენისათვის დატუსაღებულმა აქტივისტებმა, რომლებმაც დემონსტრანტების წყალობით თავისუფლება დაიბრუნეს, თავიანთი პრინციპებისათვის ბრძოლა მეტი ენთუზიაზმით გააგრძელეს. გადაწყვეტილებების მიღება შაჰს უჭირდა. ეროი მხრივ, ის დაბეჯითებით ამბობდა, რომ 'მონარქი თავისი ხალხის დახოცვის მეშვეობით ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებდა[15]', რითაც ძალის გამოყენების სურვილს უარყოფდა, მაგრამ ამავე დროს ფიქრი ქაოსის შედეგად ქვეყნის შესაძლო დანაწევრების ან ავღანეთის მსგავსად გასაბჭოების შესახებ მას უზომოდ თრგუნავდა. უკურნებადი ავადმყოფობაც შაჰზე მსახვრელად მოქმედებდა. სამეფო რეზიდენციაში არსებულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას შაჰბანუს

პირად დღიურში ოქტომბრის დღეებში ჩაწერილი რამდენიმე სიტყვაც სრულად ასახავს:

'ეგრძნობ, რომ იმედი აღარ არის... პესიმიზმმა შემიპყრო. დავიღალე.'[16]

[1] ფარაჰ ფაჰლავი, 'მარადიული სიყვარული', 2004, გვ.282
[2] 'ნიუიორკერი', 1978 წლის 18 დეკემბერი
[3] უილიამ სალივანი, 'მისია ირანში', 1981, გვ.164
[4] იქვე, გვ.156
[5] ერიკ დურშმიდი, 'რევოლუციის სისხლი', 2001, გვ.331
[6] მსხვერპლის რაოდენობის შესახებ თავიდანვე განსხვავებული ინფორმაცია გავრცელდა. შაჰი თავის მემუარებში ასახელებს 86-ს, დედოფალი – 91-ს (ოცდაერთი დემონსტრანტი და 70 ჯარისკაცი და პოლიციელი), ერიკ დურშმიდის თანახმად დაიღუპა 122 ადამიანი, ოპოზიციური წყაროები კი ოთხნიშნა ციფრებს იუწყებოდნენ.
[7] დ.ჟუკოვი, 'ირანის თავზე ცა ნათელია', 1999, გვ.113
[8] გაზეთები 'ჰაარეცი', 23/10/1978, და 'მაანი', 17/12/1978
[9] 'მისია ირანში', გვ.167
[10] 'ირანის თავზე ცა ნათელია', გვ.113
[11] 'მისია ირანში', გვ.168
[12] მუჰამედ რეზა ფაჰლავი, 'პასუხი ისტორიას', 1980, გვ.164
[13] რობერტ ფისკი, 'ახლო აღმოსავლეთის დაპყრობა,' 2006, გვ.156
[14] სეფეჰრ ზაბიჰი, 'ირანი რევოლუციის შემდეგ', 1982, გვ.5
[15] 'რევოლუციის სისხლი', გვ.339
[16] 'მარადიული სიყვარული', გვ.285

26 ოქტომბერს შაჰის დაბადების დღე იყო. წლების განმავლობაში ეს თარიღი განსაკუთრებულად საზეიმოდ აღინიშნებოდა. მოსამზადებელი სამუშაოები რამდენიმე კვირით ადრე იწყებოდა, მედია მოსახლეობას არიამეჰრის მიღწევებს ახსენებდა, ნიავარანის სასახლეში უამრავი მისალოცი ბარათი იგზავნებოდა. ახლა ტრადიცია დაირღვა. დღემ მოკრძალებულად ჩაიარა. სამეფო კარზე მიღებაც არ გაიმართა. მეფე, რომელსაც სხვადასხვა ქალაქებში მრავალრიცხოვან აქციებზე ყოველდღიურად სიკვდილს უსურვებდნენ, სტრესულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. აგრესიული შეძახილების ხმა ქუჩიდან მის რეზიდენციაშიც აღწევდა.

სახალხო მღელვარების ჩასაცხრომად მთავრობა აქამდე წარმოუდგენელ დათმობებზე მიდიოდა. თვითლიკვიდაციით დაასრულა თავისი უშინაარსო არსებობა პარტია 'აღორძინებამ' იმ დროს, როცა ქვეყნის აღორძინების პროცესებზე საუბარი ყველაზე გამოუსწორებელმა ოპტიმისტებმაც შეწყვიტეს. პოლიტპატიმართა რამდენიმე ჯგუფმა თავისუფლება დაიბრუნა, მათ შორის გაუტეხელმა მაჰმუდ თალეყანიმ. ხანგრძლივი ფიზიკური და ფსიქოლოგიური წამების შედეგად აიათოლა დაბერებული ჩანდა და ფეხზე დგომა უჭირდა. ხელისუფლების მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, პოლიტიკური მრწამსისათვის დატუსაღებული 3112 ადამიანიდან 2312 გათავისუფლდა[1]. გამოიცა სამეფო ოჯახის წევრთა ქცევის კოდექსი, რომელმაც შაჰის უახლოეს ნათესავებს გარკვეული შეზღუდვები დაუწესა. მაგალითად, მათ აეკრძალა ოფიციალურ თანამდებობაზე ყოფნა, მინისტრებად ან გუბერნატორებად კანდიდატების დასახელება და ისეთ ბიზნეს-გარიგებებში მონაწილეობა, სადაც სახელმწიფო იყო ჩარეული. იუსტიციის მინისტრს ქვეყნის შიგნით და გარეთ ფაპლავთა ოჯახის წევრების სიმდიდრის წყაროების დადგენა დაევალა.

ირანულ საზოგადოებაში პრინცებს და პრინცესებს ძალიან უარყოფითი სახელი ჰქონდათ. მათ მიერ დაგროვილი ზღაპრული ქონება მუდმივი განხილვის საგანი იყო. ეკონომიკის საგრძნობ ნაწილს შაჰის ძმები ღოლამ რეზა, აბდულ რეზა, მაჰმუდ რეზა და აჰმად რეზა და დები აშრაფი, შამსი და ფატიმა თავიანთი ოჯახების მრავალრიცხოვან წევრებთან ერთად განაგებდნენ. გავრცელებული ცნობებით, უშუალოდ ან ირიბად ისინი მნიშვნელოვან წილს ფლობდნენ 17 ბანკში და სადაზღვევო

კომპანიაში, 25 მეტალურგიულ ქარხანაში, 8 მაღაროში, 10 სამშენებლო მასალათა ქარხანაში, 45 სამშენებლო კომპანიაში და ა.შ.[2] მათგან გამორჩეულად ოდიოზურ პიროვნებად შაჰის ტყუპისცალი აშრაფი ითვლებოდა. იმის გარდა, რომ ის ამორალური ქალის რეპუტაციით სარგებლობდა, ხმები დადიოდა სამორინეებში გაფლანგული მილიონების, ნარკობიზნესთან მჭიდრო ურთიერთობის და შაჰზე მისი ძლიერი გავლენის შესახებ. აშრაფი რელიგიისადმი უდიერი დამოკიდებულებით იყო ცნობილი. ერთხელ მან საჯაროდ გააკრიტიკა ის ქალები, რომლებიც 'ბებიების ამაზრზენ შავ ნაჭერს' (ჩადრს) ატარებდნენ. შაჰი ბოლოს იძულებული გახდა, ბევრისთვის საძულველი და საზღვარგარეთ გაეგზავნა.

ხალხის გულის მოსაგებად ის არც თავისი ერთგული მომხრეების გაწირვას მოერიდა. საგანგებო თათბირზე მიღებული გადაწყვეტილებით, დაპატიმრებული იქნა 14 მაღალი რანგის მოქმედი და გადამდგარი თანამდებობის პირი, მათ შორის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ამირ აბას ჰოვეიდა და საავაქის ყოფილი დირექტორი ნემათულა ნასირი. ამ შემთხვევაში შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ მონარქის გარემოცვის ერთი ნაწილი მეორის წინააღმდეგ პირად ანგარიშსწორებას ახორციელებდა. შაჰის კარზე 'რუხი კარდინალის' როლის შესრულება მცირე ხნით ეაშინგტონიდან ჩამოსულმა ელჩმა არდეშირ ზაჰედიმ დაიწყო, რომელსაც ჰოვეიდას მიმართ ხანგრძლივი მტრული დამოკიდებულება გააჩნდა. სიძე-სიმამრი ვარაუდობდა, რომ წარსულის შეცდომები ცალკეულ მოხელეებს დაბრალდებოდა, შაჰი კი ამ მძიმე ვითარებიდან უდანაშაულოდ გამოსვლას შესძლებდა. ამ აზრს ძალოვნებიც იზიარებდნენ. საავაქის ხელმძღვანელი გენერალი მოყადამი ემოციურად ამტკიცებდა, რომ

'ჰოვეიდას დაპატიმრება ყოველდღიურ პურზე უფრო მნიშვნელოვანია'[4].

მოგვიანებით თავიანთ მოგონებებში როგორც შაჰმა, ასევე შაჰბანუმ ეს გადაწყვეტილება ინანეს, მით უმეტეს, რომ სასურველი ეფექტი მან ვერ გამოიღო. ოდესღაც ესოდენ გავლენიანი პირების დატუსაღება ოპოზიციამ შაჰის მიერ განტევების ვაცის ძიებად შეაფასა, ექს-პრემიერი სიამოვნებით მოინელა, მაგრამ მადა თვით შაჰის მიმართ მხოლოდ მოემატა. თეირანში ბრიტანეთის ელჩმა ენთონი პარსონსმა მოგვიანებით მემუარებში დაწერა:

ჰოვეიდას გასამართლება შაჰის გასამართლება იქნებოდა, ხოლო ჰოვეიდასთვის სასჯელის გამოტანა – შაჰისთვის სასჯელის გამოტანა[5]*:*

ფაჰლავი იმედოვნებდა, რომ ამ პოლიტიკური ნაბიჯით ხალხის ყურადღებას სასამართლოსკენ გადაიტანდა, სადაც ჰოვეიდა საკუთარი თავის დაცვას წარმატებით შესძლებდა. მაგრამ საგულისხმოა, რომ მომდევნო თვეების განმავლობაში ექს-პრემიერის წინააღმდეგ კონკრეტული ბრალდება არ ყოფილა წაყენებული. ნოემბრის დასაწყისისთვის უცნაური სურათი გამოიკვეთა: შეურიგებელ ოპონენტებს შაჰი ციხიდან უშვებდა, მათ ადგილას კი თავის ერთგულებს გზავნიდა. ტახტის შენარჩუნების სტრატეგიული ამოცანიდან გამომდინარე ის გარდამავალი ტაქტიკით მოქმედებდა - ზოგ დამნაშავეს აპატიმრებდა, ზოგს კი თანამდებობრივად აწინაურებდა. ასევე მოხდა ნასირის შემთხვევაში. პოსტიდან გენერლის გათავისუფლება თავდაპირველად აღქმული იქნა როგორც მისი დასჯა საეაქის რეპრესიული მანქანის მესაჭეობის გამო, მაგრამ მალე გამოცხადდა ნასირის გადასვლა დიპლომატიურ ასპარეზზე პაკისტანში სრულუფლებიან ელჩის სახით. ახლა, მისი დაპატიმრების შემდეგ, თითქოს უშიშროების სამსახურის ზოგიერთი დანაშაულებრივი საქმიანობის აღიარება უნდა მომხდარიყო, თუმცა არც ნასირის წარედგინა რაიმე ბრალი. რაც მთავარია, ქუჩებში დიდი რაოდენობით ადამიანების დახვრეტის გამო პასუხისმგებლობა არაეის დაეკისრა. სამხედრო მეთაურები ხელშეუხებელ კასტად დარჩა. უფრო მეტიც, აღმოჩნდა, რომ შაჰი მთავარ იმედს უკვე გენერალიტეტზე ამყარებდა.

29 ოქტომბერს კასპიისპირა პატარა ქალაქ ამოლში ხელისუფლება ოპოზიციის ხელში გადავიდა, რომელიც ქუჩების პატრულირებას თუ საგზაო მოძრაობის მოწესრიგებას შეუდგა. არმიამ ამბოხება ჩაახშო. ერთი კვირის შემდეგ მასობრივი არეულობები უკვე დედაქალაქში მოეწყო. ბრიტანეთის საელჩოს ჩათვლით ასობით შენობა გადაიბუგა. აშშ-ს საელჩო ანალოგიურ ხვედრს ძლივს გადაურჩა. შაჰმა ვითარება შვეულმფრენიდან შეაფასა და ნანახით შეძრწუნებულმა შარიფ-ემამის კაბინეტი დაითხოვა. მას სამხედრო მთავრობა ჩაენაცვლა, რომლის თავმჯდომარედ შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი გენერალი ღოლამ რეზა აზჰარი დაინიშნა.

შაჰის სახელზე დადებული ფიცი სამხედროებმა აქამდე პატიოსნად შეასრულეს, ზოგ შემთხვევაში მონარქის დასაცავად აუცილებელზე ჭარბი ძალაც გამოიყენეს. თვეების მანძილზე

გენერლები მკაცრი ღონისძიებების განხორციელებას ემხრობოდნენ, მაგრამ სანაცელოდ შაჰისგან მხოლოდ ნახევარზომების გატარების უფლებას იღებდნენ: ჟალეს ტრაგედიის შემდეგ ჯავშანტექნიკით ქუჩებში გასულ ჯარისკაცებს კომენდანტის საათის აღსასრულებლად სროლა აეკრძალათ, ამიტომ კანონდარღვევით მიმდინარე აქციების დაშლა მათ არ შეეძლოთ. ცალმხრივი დათმობების და განსაკუთრებით პრესის თავისუფლების ფონზე კომენდანტის საათი ფიქცია გახდა. სამხედროები ჯარის დემორალიზებას უჩიოდნენ და არეულობის სათავედ ცალმხრივი დათმობების პროცესს მიიჩნევდნენ. იგივე პრობლემის წინაშე სავაქი იდგა, რომლის უფროსი ნასერ მოყადამი უცხოელ ჟურნალისტთან აღიარებდა:

'ჩვენ, უშიშროების ძალები, ლიბერალიზაციის გამო ხელფეხშეკრული ვართ'.

ახლა, სამხედრო მთავრობის შექმნასთან ერთად, გენერლებს მოქმედების მეტი თავისუფლება უნდა მიეღოთ. თუმცა ხალხისადმი შაჰის 5 ნოემბრის სატელევიზიო მიმართვა ისევ ორმაგი პოლიტიკის გაგრძელებას მოასწავებდა. უაღრესად შემრიგებლური პათოსით მან განაცხადა:

'ირანელი ხალხი წინ აღუდგა უსამართლობას და კორუფციას. მეც გავიგე რევოლუციის ხმა. როგორც ირანის შაჰი და ირანელი, მხარს ვუჭერ ჩემი ხალხის რევოლუციას. პირობას ვდებ, რომ წინა შეცდომები და უკანონობა აღარ განმეორდება'.

ამ გამაოგნებელ სიტყვებში მინიშნებაც აღარ ჩანდა შავ და წითელ რეაქციონერებზე და მათი უცხოელი მფარველების ინტრიგებზე. სახალხო გამოსვლები ფაჰლავიმ რევოლუციად აღიარა, მაგრამ მისი ძირითადი მოთხოვნის საპასუხოდ ის თავისუფალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების ვალდებულებას იღებდა, რისი წინაპირობა წესრიგის აღდგენა უნდა ყოფილიყო.

სამხედრო მთავრობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით შაჰმა წინასწარი კონსულტაციები ამერიკულ მხარესთან გამართა, რომელმაც მას სრული მხარდაჭერა აღუთქვა. თეთრი სახლი შაჰს ჯერ კიდევ განიხილავდა, როგორც ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნების ერთადერთ საშუალებას, რომელსაც შეეძლო სამხედროების მოთოკვა და ამავდროულად კონტროლირებადი ცვლილებების მოხდენა. მაგრამ ირანული კრიზისიდან გამოსვლის მეთოდები ამერიკულ ადმინისტრაციაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. ერთ დაჯგუფებას, რომელიც ზბიგნევ

ბუეზინსკის გარშემო გაერთიანდა, ყველაზე ოპტიმალურ გამოსაელად უმკაცრესი ღონისძიებების გატარება მიაჩნდა. ამ მეთოდით წესრიგის აღდგენის საჭიროების ხაზგასმისას ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველს ჩილეს მაკალითი მოჰყავდა, სადაც ხუთი წლით ადრე არმიამ გენერალ პინოჩეტის მეთაურობით საყოველთაო სისხლიანი რეპრესიები ჩაატარა. შაჰის პირადი მეგობრების ძმები როკფელერების, ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჰენრი კისინჯერის, კონგრესის წევრების და ინფორმაციის ზოგიერთი საშუალების დახმარებით ბუეზინსკის დაჯგუფება კომუნისტური საფრთხის აღსაკვეთად შაჰის უპირობო მხარდაჭერის იდეის პროპაგანდას ეწეოდა.

ამის საპირისპიროდ სახელმწიფო დეპარტამენტში ამტკიცებდნენ, რომ ძალის გამოყენება მხოლოდ გააღრმავებდა ისედაც მძაფრ დაპირისპირებას, რომელიც შესაძლოა ფართომასშტაბიან ძალადობაში გადაზრდილიყო და საბოლოოდ კომუნისტთა გამარჯვებით დასრულებულიყო. ამის მაგალითად საირუს ეენსის ბანაკს რამდენიმე ათეულ ქვეყანაში უკვე მომხდარი პრეცედენტი მოჰყავდა და ირანში რელიგიური და სამოქალაქო ოპოზიციის ანტისაბჭოთა განწყობაზე საგანგებოდ მიუთითებდა, რის გამოც, მისი აზრით, შაჰის ცალსახა მხარდაჭერა აუცილებლობას არ წარმოადგენდა. ამდენად, საპროტესტო კამპანიაში მონაწილე ყველა წონადი ფიგურების მონაწილეობით კარტერის ადმინისტრაცია ამ ერთგვარ საჭადრაკო დაფაზე ისეთი მრავალსვლიანი კომბინაციის შემუშავებას ცდილობდა, რომელსაც ენდშპილ'ში ირანის მარქსისტთა ტრიუმფი უნდა გამოერიცხა. მაგრამ უწყებათაშორისი დავის შედეგად ვაშინგტონს მკაფიო პოლიტიკის ჩამოყალიბება აღარ ძალუძდა, შესაბამისად, თეირანში მყოფმა ელჩმაც არ იცოდა, მხარდაჭერის ზოგადი ფრაზის გარდა რეგულარული შეხვედრების დროს შაჰისთვის რა რჩევა მიეცა.

9 ნოემბერს სალიეანმა თავის ზემდგომებს ერცელი მოხსენება გაუგზავნა. ელჩის პროგნოზით, აზარის მთავრობის წარმატების შემთხვევაშიც კი დაძაბულობა დიდი ალბათობით გაგრძელდებოდა და ტერორისმში გადაიზრდებოდა, შაჰი და სამხედრო მეთაურები ქვეყანას დატოვებდნენ, ხომეინი კი ახალი მთავრობის შექმნას 'ეროვნული ფრონტის' რომელიმე ხელმძღვანელს დაავალებდა; ასეთ შემთხვევაში მუშაობა დაიწყებოდა არჩევნების ჩასატარებლად და ზოგადად მშვიდობიანი პროცესის აღსადგენად, ხოლო ირან-ამერიკული ურთიერთობე-

ბის გაუარესების მიუხედავად მთავარი მიზანი – არმიის და ქვეყნის ერთიანობა – მიღწეული იქნებოდა, რაც ხელისუფლებაში კომუნისტების მისვლას შეუძლებელს გახდიდა. პრეზიდენტმა კარტერმა პირველად შეიტყო, რომ შაჰს შესაძლოა ტახტი ვერ შეენარჩუნებინა. მან საკითხი ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წევრებთან სათათბიროდ გაიტანა, თუმცა სალივანის ვარაუდები ბჟეზინსკის ძალიან არადამაჯერებული მოეჩვენა[7]. ვაშინგტონიდან შაჰის მხარდამჭერი საჯარო განცხადებები კვლავ დიდი სიხშირით გაგრძელდა, რაც ირანში ფაჰლავის იმიჯზე დადებითად ნამდვილად არ მოქმედებდა. სალივანის თქმით, შაჰი შეურაცხყოფილადაც კი გრძნობდა თავს, რადგან თანამემამულეების თვალში ასეთი განცხადებები მას მარიონეტად წარმოსახავდა. ამერიკელ დიპლომატთან საუბარში მსგავსი აზრი გამოხატა ასევე გაეროში ირანის წარმომადგენელმა ფერეიდუნ ჰოვეიდამ:

> *"შაჰის დამხობის საუკეთესო საშუალებას თქვენი მხრიდან მისი მხარდაჭერის ფრაზების მუდმივი გამეორება წარმოადგენს"*[8].

ღოლამ რეზა აზჰარის აშშ-ს გენერალური შტაბის და სახმელეთო ძალების სასწავლებელი პქონდა დამთავრებული, წარმატებული სამხედრო კარიერაც გააჩნდა. თავდაპირველად 10 ათასკაციანი იმპერიული გვარდიის სარდლის თანამდებობაზე ყოფნა შაჰთან მის ახლო ურთიერთობაზე მეტყველებდა. თავდაცვის სამინისტროში გენერალს უკვე 450 ათასი სამხედრო მოსამსახურე ჰყავდა დაქვემდებარებული, ახლა კი მას პატიოვად მონარქიის გადარჩენის საქმეში პირველკაცობა ერგო.

ახლადდანიშნულ მთავრობის თავმჯდომარეს ელჩი სალივანი უარყოფითად ახასიათებდა და მასში უპირველესად ძალაუფლებამოწყურებულ ადამიანს ხედავდა[9]. შაჰის მსგავსად, გენერალი ირანელებს რბილი ტონით მიმართავდა, საკუთარი რელიგიურობის ნიშნად საუბრისას ხანგამოშვებით ყურანის ციტირებას ახდენდა, რისთვისაც ირონიულად აიათოლა აზჰარი დაარქვეს. მაგრამ რამდენადაც მისი მოვალეობა ქვეყანაში წესრიგის აღდგენა იყო, დანიშვნის დღეს გამოცემული პირველივე განკარგულებით მან დემონსტრაციები აკრძალა და მედიაზე ცენზურა აღადგინა. საკითხავი ახლა განკარგულების აღსრულება იყო. წამყვანმა გაზეთებმა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა დაგმეს და პროტესტის ნიშნად გამოცემა შეაჩერეს. რამდენიმე დღის მანძილზე ქუჩებში შედარებითი სიმშვიდე სუფევდა. მაგრამ სამოქალაქო დაუმორჩილებლობის კამპანიას ფესვე-

ბი ღრმად გაედგა, რასაც ნავთობით მდიდარი ხუზისტანის პროვინციიდან ფრანგულ გაზეთ 'მონდში' გაგზავნილი რეპორტაჟი ადასტურებდა:

'14 ნოემბერს აბადანიდან 12 კმ-ში მდებარე ქალაქი ხორემშაჰრი გაუკაცრიელებული იყო. შაბათ-კვირის შეტაკებებს 30 კაცი შეეწირა, ასამდე დაიჭრა. ახლა ქუჩები დაცარიელებული, მაღაზიები დაკეტილი, ბანკები გაძარცვული, კინოთეატრები გადამწვარია. ყოველ გზაჯვარედინზე ტანკები დგას, რეზა შაჰის ძეგლს ტყვიამფრქვეველებით შეიარაღებული ჯარისკაცები იცავენ. სამხედრო მმართველმა გენერალმა ესფანდიარმა ნავთობინდუსტრიაში დასაქმებული 80 მუშის დაპატიმრება გამოაცხადა. გაფიცვა 23 ოქტომბერს დაიწყო. მოითხოვენ კომენდანტის საათის გაუქმებას, პოლიტპატიმრების გათავისუფლებას, საეაქის დაშლას, ამერიკელ მრჩეველთა წასვლას, კორუფციასთან ბრძოლას. მოთხოვნებს მასწავლებლები უერთდებიან. გაფიცვას იწყებენ აგრეთვე მოსამართლეები, რომლებსაც მუშების საქმე უნდა განეხილათ. სოლიდარობა ყველა ფენას გადაედო. ირანის ეროვნული სანავთობო კომპანია მუშების დაბრუნების იმედით ხელფასების და პრემიების 10%-ით მატებას აცხადებს, მაგრამ უშედეგოდ. საქმეში ჯარი ერევა. ისევ მსხვერპლია[10].'

საყოფაცხოვრებო დონეზეც ვითარება უკიდურესად მძიმე იყო. პურის საცხობებთან და ბენზინგასამართ სადგურებთან 200-300 კაციანი რიგები იდგა. უარესის მოლოდინში ხალხი პროდუქტებს დიდი რაოდენობით იძენდა, რის გამო მაღაზიები მალე ცარიელდებოდა. საქონელზე მაღალი მოთხოვნის გამო ფასები განუხრელად იზრდებოდა. მთავრობის წევრები ირანის ეკონომიკისთვის ყოველდღიურ ზარალს 60 მლნ. დოლარით აფასებდნენ, მაგრამ იმედს არ კარგავდნენ, რომ სტაბილურ ცხოვრებას მონატრებული ირანელები საბოლოოდ მაინც მათკენ შებრუნდებოდნენ. თუმცა სინამდვილეში ხალხს შაჰისადმი აგრესიის დამატებითი მოტივი უჩნდებოდა.

იმ პირობებში, როცა გაზეთების გამოცემა შეწყდა, ინფორმაციის გავრცელების მთავარი წყარო ისევ პროკლამაცია გახდა. 28 ნოემბერს სწორედ პროკლამაციებით ქვეყანას სწრაფად მოედო ირანის ცენტრალური ბანკის თანამშრომელთა ასოციაციის სკანდალური ინფორმაცია მაღალჩინოსნების საფინანსო ოპერაციების შესახებ. ამ მონაცემების თანახმად, აგვისტო-ოქტომ-

ბერში მუჰამედ რეზა ფაჰლავის შვეიცარიულ, ფრანგულ და ამერიკულ საბანკო ანგარიშებზე 17 ფულადი გადარიცხვის შედეგად ორ მილიარდ დოლარზე მეტი გაიგზავნა. საზღვარგარეთ ირანული კაპიტალის დიდი რაოდენობით გატანაში სულ 144 მაღალი რანგის მოხელე იყო მხილებული, მათ შორის: მრეწველობის მინისტრი რეზა ამინი – 500 მლნ. დოლარი, ყოფილი გენერალ-გუბერნატორი მაჰდი შაიბანი – 450 მლნ., ბელგიაში ელჩი ეზათულა ამელი – 350 მლნ., ყოფილი პრემიერ-მინისტრი შარიფ-ემამი – 250 მლნ., ეკონომიკის მინისტრი ჰასან ალი მეჰრანი – 155 მლნ., სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი ადმირალი ჰაბიბულაჰი – 150 მლნ., ექს-პრემიერი ჯემშიდ ამუზეგარი – 150 მლნ., ხელოვნების და კულტურის მინისტრი ფურუღი – 150 მლნ. და ა.შ.

მოცემული ინფორმაციის გადამოწმების შესაძლებლობა არ არსებობდა, მაგრამ საზოგადოებრივი აღშფოთების მასშტაბის გათვალისწინებით აზჰარიმ სიაში ჩამოთვლილ პირებს ქვეყნიდან გასვლა აუკრძალა. მედია საშუალებების სიმწირის მიუხედავად, ოპოზიცია საინფორმაციო ომს წარმატებით ახორციელებდა. სახელმწიფო უწყებებში მომუშავე რეეოლუციურად განწყობილი თანამშრომლებიც საკუთარი ძალის დემონსტრირებას ახდენდნენ. მაგალითად, ტელევიზიით ახალი ამბების გადაცემის წინ ენერგეტიკის სამინისტროს მუშები პოლიტიკური მიზეზით ელექტროენერგიის მიწოდებას წყვეტდნენ. 2 დეკემბერს რადიო-ტელევიზიის პერსონალი მათ მხარდამჭერი განცხადებით მიესალმა.

კომენდანტის საათის შესახებ კანონის V მუხლის თანახმად, სამხედრო მმართველებს თუნდაც ეჭვის საფუძველზე მოქალაქის დაპატიმრების უფლება მიეცა, რასაც ისინი ფართოდ იყენებდნენ. შედეგად, კვლად ციხეში აღმოჩნდა 'ეროვნული ფრონტის' ხელმძღვანელი ქარიმ სანჯაბი. რამდენიმე თვით ადრე ხელისუფლების წარმომადგენლების წინდაუხედავი ქმედებების შემდეგ დიდი აიათოლა შარიათმადარის ხმაც ოპოზიციას შეუერთდა: პოლიციელთა ჯგუფი ყუმში მის სახლში შეიჭრა და აიათოლას თვალწინ ერთი ახალგაზრდა დახვრიტა. ბოდიშის მოხდამ ნაკლები ეფექტი გამოიღო – აქამდე აპოლიტიკურმა ღვთისმსახურმა თავის უამრავ მომხრეს წინააღმდეგობისკენ მოუწოდა. შაჰის მთავრობის შეცდომებს ბოლო არ უჩანდა.

დეკემბრის დასაწყისში ყველა დრამატულ ესკალაციას ელოდა, რადგან მოჰარამის თვეში შიიტები იმამ ალის შვილების გლოვის ნიშნად ტრადიციულად მრავალრიცხოვან რელიგიურ პრო-

ცესიებს აწყობენ. აზჰარიმ ახლა ყოველგვარი სახის აქციის გაჩაღებისა აკრძალა, მაგრამ, როცა ურიცხვი ხალხი ქუჩაში გავიდა, გენერალ ოვეისის რჩევის საწინააღმდეგოდ შაჰმა მაინ დაშლის ნებართვა არ გასცა. 11-12 დეკემბერს ირანის ქალაქებში მილიონიანი მარშები გაიმართა. მონარქიის გაუქმების, ისლამური რესპუბლიკის შექმნის და აიათოლა ხომეინის სადიდებელი ლოზუნგები ყველა კუთხეში ისმოდა. ჯარსა და ხალხს შორის დიდი კონფრონტაციის თავიდან აცილების მიუხედავად ცხადი იყო, რომ ვითარების გამოსწორებას სამხედრო მთავრობაც ვერ ახერხებდა. გენერლებს უკვე უჭირდათ შაჰის მიმართ უკმაყოფილების დამალვა. აზჰარიმ ელჩ სალივანს პირდაპირ განუცხადა:

'ეს ქვეყანა განწირულია, რადგან შაჰი გადაწყვეტილებებს ვერ იღებს'[11]:

მისი გეგმით, შაჰის ნებართვის შემთხვევაში მთავრობა რკინის ხელით შეუდგებოდა წესრიგის დაცვას, ოპოზიციის ლიდერებს დახვრეტდა ან დააპატიმრებდა და რომელიმე ლათინოამერიკული ხუნტის მსგავს ნამდვილ სამხედრო დიქტატურას დაამყარებდა. მაგრამ შაჰი მასშტაბური სისხლისღვრის იდეას მტკიცედ უარყოფდა:

'მონარქისთვის შეუძლებელია ტახტის შენარჩუნება თავისი თანამემამულეების სისხლის ხარჯზე'[12].

თანდათან საპროტესტო აქციების მასშტაბი კიდევ უფრო იზრდებოდა, რაც ქვეყნის სასიცოცხლო ობიექტების პარალიზებას იწვევდა. გაფიცულებს აეროპორტების ტექნიკური პერსონალი შეუერთდა, რომელთა ადგილი სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცრებმა და სერჟანტებმა დაიკავეს. მაგრამ 11 დეკემბერს, როდესაც იმპერიული გვარდიის ბაზაზე ორმა ჯარისკაცმა პოლიტიკურ ნიადაგზე რამდენიმე ოფიცერი მოკლა, ისიც გამოაშკარავდა, რომ აქამდე მონოლითურ სამხედრო სისტემაშიც დამანგრეველი ბზარი გაჩენილი იყო და საზოგადოების ეს განუყოფელი კომპონენტი ოპოზიციის გაელენის მიღმა ვერ დარჩებოდა. მდგომარეობას ის გარემოება ართულებდა, რომ წლების მანძილზე გენერლები თავიანთ სფეროში შაჰის ბრძანებების უსიტყვო მორჩილებას მიეჩვევნენ, ახლა კი მათ დამოუკიდებლად სამოქალაქო სექტორების მართვა უნდა მოეხერხებინათ. პრემიერმა აზჰარიმ აღიარა, რომ ტრაგი-კომიკულ სიტუაციაში იმყოფებოდა:

'მინისტრები მე მთხოვენ გადაწყვეტილების მიღებას, მაგრამ ეკონომიკაში არაფერი გამეგება, მე ხომ ჯარისკაცი ვარ! [13]'

რამდენიმე დღეში აზპარის ჩინებული კარიერა გულის შეტევით დასრულდა, შაპმა კი ამერიკელი მრჩეველების რეკომენდაციით ახალი მთავრობის დანიშვნა გადაწყვიტა, თანაც ამჯერად ისეთი პიროვნების ხელმძღვანელობით, რომელიც ბევრი ადამიანისთვის საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა.

[1] სეფეპრ ზაბიპი, 'ირანი რევოლუციის შემდეგ', გვ.20
[2] ფერეიდუნ ჰოვეიდა, 'შაპის დაცემა', გვ.104
[3] ერიკ დურშმიდი, 'რევოლუციის სისხლი', გვ.318
[4] ფარაპ ფაპლავი, 'მარადიული სიყვარული', გვ.288
[5] ენთონი პარსონსი, 'ღირსება და დამარცხება', გვ.100
[6] 'ნიუიორკერი', 1978 წლის 18 დეკემბერი
[7] უილიამ სალივანი, 'მისია ირანში', გვ.199
[8] 'შაპის დაცემა', გვ.122
[9] 'მისია ირანში', გვ.179
[10] 'მონდი', 1978 წლის 16 ნოემბერი
[11] 'მისია ირანში', გვ.211
[12] მუპამედ რეზა ფაპლავი, 'პასუხი ისტორიას', გვ.167
[13] 'შაპის დაცემა', გვ.131

სამხედროების მეშვეობით ვითარების განმუხტვის იმედი შაჰს უკვე გადაწურული ჰქონდა. ახლა მისი განსრახვა ოპოზიციის ბარკვეულ ნაწილთან ძალაუფლების გადანაწილებაში მდგომარეობდა. 'ეროვნული ფრონტის' წარმომადგენლებთან თვით მოლაპარაკების ფაქტი მონარქის თავმოყვარეობას ლახავდა, მაგრამ სხვა გამოსავალი აღარ ჩანდა. ფაჰლავის მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ ხელისუფლების შენარჩუნების სანაცვლოდ მრავალწლიან ოპონენტებთან გარიგება უკვე მისაღები გახდა.

თავდაპირველად შაჰს პრემიერად დოქტორ რეზა სადიყის დანიშვნა სურდა. სადიყი, როგორც მოსადეყის მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრი, საზოგადოების გარკვეულ წრეებში სიმპათიით სარგებლობდა. მაგრამ მას ესმოდა, რომ წარმატებისთვის ერთობ სათუო პერსპექტივა გააჩნდა, ვინაიდან შაჰის მთავრობის მეთაურობა ხალხის საგრძნობ ნაწილში მის დისკრედიტაციას გამოიწვევდა. ამიტომ სადიყიმ რეგენტთა საბჭოს დანიშვნა ითხოვა, რაც ხელისუფლებიდან ფაქტობრივად შაჰის ჩამოცილების ტოლფასი იყო. ეს იდეა გაზიარებული არ იქნა. ამასთან, ოპოზიციის სხვა ლიდერებმა შაჰისადმი შეურიგებელი დამოკიდებულების გამო მის მთავრობაში შესვლა გადაჭრით უარყვეს. შედეგად, სადიყის კანდიდატურა დღის წესრიგიდან მოიხსნა.

სამაგიეროდ, კაბინეტის დაკომპლექტება ახლა 'ეროვნული ფრონტის' ვიცე-პრეზიდენტმა შაჰფურ ბახთიარმა ითავა. ბახთიარს სოლიდური ბიოგრაფია ჰქონდა: იურიდიული განათლება პარიზში ჰქონდა მიღებული, ესპანეთის სამოქალაქო ომში რესპუბლიკელთა მხარეზე იბრძოდა, საფრანგეთის ანტინაცისტური წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობდა, მოსადეყის იდეებს იზიარებდა და შაჰის პოლიტიკას წლების მანძილზე მტკიცე ოპონირებას უწევდა. ის ფრანგული ლიტერატურის, სპარსული პოეზიის, ევროპის ისტორიის და ირანული ტრადიციების მოყვარული იყო და ინტელექტის თვალსაზრისით გამორჩეულ ფიგურას წარმოადგენდა. თუმცა ელჩი სალივანი მისი პიროვნებით არ მოხიბლულა:

> *'ბახთიარი იყო ერთ-ერთი ყველაზე დასრულებული ფრანკოფილი, რომელსაც ოდესმე შევხვედრივარ. ის მხოლოდ ფრანგულად საუბრობდა, ფრანგულ ტანსაც-*

მელს იცავამდა, ფრანგულ მანერებს აელენდა და გარეგნულადაც ფრანგ პროვინციელ მამაკაცს ჰგავდა[1].
უალეს ტრაგედიის შემდეგ ბახთიარმა ხელისუფლებასთან დათმობის შესაძლებლობა გამორიცხა, მაგრამ ახლა, მას შემდეგ, რაც მისი მოთხოვნით პატიმრობიდან ფრონტის ხელმძღვანელი ქარიმ სანჯაბი გათავისუფლდა, მან გაპრემიერების მტკიცე სურვილი გამოთქვა. შაჰი ზოგადად 'ეროვნული ფრონტის' მიმართ უარყოფითად იყო განწყობილი, ამიტომ ესოდენ საძულველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენელთან იძულებითი თანამშრომლობა მისი მდგომარეობის სირთულის მასშტაბზე ნათლად მეტყველებს. რეალურად ეს უფრო პოლიტიკური მანევრი იყო, ვიდრე აქამდე ერთმანეთთან დაპირისპირებული ორი პიროვნების შეგნებული და გულწრფელი უნია. შაჰი ამ არჩევანში თავისუფალი არ აღმოჩნდა. მოგონებებში მას არ დაუმალავს, რომ 'ბახთიარის დანიშვნის გადაწყვეტილება ყოყმანისა და უცხოეთიდან ზეწოლის შედეგი იყო', ოღონდ, სალივანისგან განსხვავებით, ახალი პრემიერი მას ანგლოფილად და 'ბრითიშ პეტროლიუმის' აგენტად მიაჩნდა[2].
შემდგომი მოვლენები შაჰისა და პრემიერის სურვილების საწინააღმდეგოდ განვითარდა. სადიყის მსგავსად, ფაჰლავის მიმართ პოზიციების შერბილებასთან დაკავშირებით თანამებრძოლების დარწმუნება ვერც ბახთიარმა შესძლო, ამიტომ მთავრობა მან ტექნოკრატებით დააკომპლექტა. მეტიც, მშობლიურმა პარტიამ ბახთიარის ნაბიჯი ღალატად შეაფასა და ის თავისი რიგებიდან მოკვეთა, რითაც პრემიერი თავისი რეზიდენციის გარეთ არსებულ ერთადერთ მხარდამჭერ საზოგადოებრივ სეგმენტსაც შეელია. მაგრამ შაჰი გაცილებით უარეს დღეში იყო, რადგან, როგორც გაირკვა, მას უკვე ქვეყანაში აღარ დაედგომებოდა. დეკემბრის ბოლოს კვლავ ამერიკელთა რჩევით მან ირანის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო, რაც ბახთიარმა 1 იანვარს საჯაროდ გაახმოვანა. იმისათვის, რათა გამგზავრება გაქცევის ნაცვლად ღირსეულ წასვლად წარმოჩენილიყო, ირანელებს ეუწყა, რომ მეჯლისის მიერ მინისტრთა კაბინეტის დამტკიცებისთანავე ფაჰლავი შვებულებაში გავიდოდა.
ამ პერიოდისთვის ფარდის მიღმა გაცხოველებული საქმიანობა მიმდინარეობდა. ირანის საკითხი თეთრ სახლში და მის დაქვემდებარებულ სამხედრო და დიპლომატიურ უწყებებში ყოველდღიური განხილვების თემად იქცა. დეკემბრის მიწურულისთვის შაჰის მიერ ქაოსის დაძლევის ყველა იმედი ვაშინგტონში საბოლოოდ დაკარგეს. ათიათასობით ამერიკელმა მოქალაქემ

მასობრივად დაიწყო ქვეყნის დატოვება. კარტერის ადმინისტრაცია შიშობდა, რომ მტრული ძალების ხელში ჩაგდების საფრთხე შეექმნებოდა ირანში ამერიკულ უახლეს სამხედრო ტექნიკას, უპირველესად კი ელექტრონული დაზვერვის საიდუმლო აღჭურვილობას. ასევე დიდ შეშფოთებას იწვევდა მდგომარეობა ირანის შეიარაღებულ ძალებში. ვიდრე შაჰი ირანში რჩებოდა, მისი ერთგული გენერლების მართვა რთული არ იყო, მაგრამ მათგან ავტორიტეტს მოკლებული ბახთიარისადმი მორჩილების გარანტია არ არსებობდა. თავისი პირველი ტელემიმართვა ბახთიარმა მოსადეყის პორტრეტის ფონზე გააკეთა, რომლის დამხობაში არაერთმა ახლანდელმა გენერალმა უშუალო მონაწილეობა მიიღო. სახელმწიფოს მოქმედი მეთაურის იგნორირებაში სამხედროებმა პრემიერის რესპუბლიკური ორიენტაციის ნიშნები დაინახეს. მათ ეჭვი გაუჩნდათ, რომ ქვეყნიდან წასვლის მიზნით შაჰზე ზეწოლა ხდებოდა, ამიტომ მონარქის მიმართ მათ სრული მხარდაჭერა გამოხატეს. ფაქტიურად, გენერალმა ხოსროუდადმა თავისი ზემდგომი პირის, პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის განცხადება უარყო კიდეც:

'მის უდიდებულესობას ამ კრიტიკულ მომენტში თუნდაც დასვენების მიზნით ქვეყნის დატოვების გეგმა არ გააჩნია'.

ბახთიარსა და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს აბას ყარაბაღის შორის პირველი დღიდან დაძაბული ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ეს უკანასკნელი შარიფ-ემამის და აზჰარის მთავრობებში შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობდა. ეთნიკურად აზერბაიჯანელმა და სპარსულ ენაზე მძიმე თურქული აქცენტით მოსაუბრე გენერალმა ბახთიართან გაუთავებელი კამათის გამო გადადგომის განცხადებაც დაწერა. კონკრეტულ საკითხებში შეუთანხმებელი მოქმედებების გარდა, ყარაბაღი პრემიერის ორპირობას უსვამდა ხაზს. მას უკვირდა, ბახთიარი როდის იყო გულწრფელი – როცა შაჰს და მთელს ხელისუფლებას უკანონოს უწოდებდა თუ ახლა, ამ უკანონო სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ პრემიერად მისი დანიშვნის შემდეგ. ნებისმიერ შემთხვევაში, არაჯანსაღი ვითარება უკვე თვით ხელისუფლების შიგნით არსებობდა, რაც მხოლოდ უარესის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო. თუმცა პრემიერი და გენერლები ირანელთა ბედის ეული გამგებლები არ იყვნენ. ქვეყნის მომავალი დიდწილად ამერიკის დედაქალაქში და ფრანგულ სოფელში განისაზღვრებოდა.

4 იანვარს გვადელუპაში აშშ-ს, ბრიტანეთის, გფრ-ს და საფრანგეთის მეთაურთა შეხვედრა გაიმართა, რომელსაც შაჰმა მოგვიანებით 'ახლო აღმოსავლური იალტა' უწოდა[3]. სამიტის დასრულებიდან რამდენიმე დღის შემდეგ მას გაუმყარდა ვარაუდი, რომ დასავლეთის მხრიდან ირანის ხელისუფლების პოლიტიკური მხარდაჭერა დასრულდა. შეერთებულმა შტატებმა თეირანს ევროპაში მოკავშირეთა ძალების მთავარსარდლის მოადგილე გენერალი რობერტ ჰაიზერი ისე მიავლინა, რომ შაჰს წინასწარ არც შეატყობინა. რამდენადაც ფაჰლავი სტუმარს პირადად იცნობდა, მას ამ გარემოებამ ზურგს უკან მიმდინარე საიდუმლო მოქმედებების აზრი გაუჩინა. რეტროსპექტივაში ჰაიზერის მისია მან მონარქიის ბოლო ბასტიონის, არმიის ნეიტრალიზაციის ოპერაციად მონათლა. თუმცა ყარაბაღის თქმით, შაჰი ამერიკელ ემისარს იმდენად ენდობოდა, რომ მან ჯარის სახეობათა სარდლებს უბრძანა, რათა 'ჰაიზერისთვის მოესმინათ და დაეჯერებინათ[4]'. 11 იანვარს ამერიკელი გენერალი ირანის მეფეს ეწვია და მისი გარეგნული იერით გაოგნებული დარჩა:

> *'სტრესი და შეშფოთება მას სახეზე ეწერა. წინა წლებისაგან განსხვავებით, როცა შაჰს სამხედრო უნიფორმა ეცვა, ახლა ის მუქ სამოქალაქო ტანსაცმელში იყო გამოწყობილი'.*

თვით შეხვედრაც რთულად წარიმართა. პასუხად გენერლის კითხვაზე – რა მოხდა ერთ წელიწადში, 'შაჰი ელჩ სალივანს დაუინებით დიდი ხნით დააცქერდა, შემდეგ რამდენჯერმე კეფა მოიფხანა და საუბრის თემა შეცვალა[5]'. ჰაიზერი ირანელი გენერლების რეალურ უფროსად გადაიქცა, შაჰი კი ამ პერიოდისთვის უკვე ნომინალური მმართველი იყო. მისდამი დამოკიდებულებაც შესაბამისად შეიცვალა. 6 იანვარს, მთავრობის წევრების გაცნობის დროს, ერთ-ერთმა მომავალმა მინისტრმა სამეფო კარის პროტოკოლური ნორმა დაარღვია, როცა წარმავალი მონარქისთვის ხელზე კოცნა საჭიროდ აღარ ჩათვალა.

ამერიკული შიდაუთანხმოება კი ვაშინგტონის სამთავრობო დეკრეფნებიდან თეირანში გავრცელდა. შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით სრულიად განსხვავებული თვალსაზრისი ჰქონდა აშშ-ს ორ წარმომადგენელს, რომელთაგან ერთი მუდმივი სტატუსით სარგებლობდა, ხოლო მეორე საგანგებო მისიით იყო მიელინებული. ჰაიზერის აზრით, მრავალთვიანი საზოგადოებრივი არასტაბილურობის მიუხედავად არმიამ ერთიანობის შენარჩუნება შესძლო და საჭიროების შემთხვევაში მას ქმედითი ღონისძიებების გატარების უნარი შესწევდა, ამიტომ მთავ-

რობის და ჯარის სინქრონული მუშაობა მდგომარეობის გამოსწორების მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნებოდა. თავის მხრივ, ელჩი სალივანი არმიის შესაძლებლობებს სკეპტიკურად უყურებდა და სამხედრო გადატრიალების შემთხვევაში მასობრივ დეზერტირობას ეარაუდობდა. მას აგრეთვე აეჭვებდა ბახთიარის რეალური ქმედითუნარიანობა და პრემიერს შაჰის ღირსეული წასვლისათვის შექმნილ ქიმერას უწოდებდა, რომელიც საზოგადოებრივ მხარდაჭერას მოკლებული იყო. ერთადერთ გამოსავლად ელჩი ხომეინის თანაშემწეებთან კონტაქტს მიიჩნევდა, რომელსაც შეთანხმების გზით სამხედროებთან კონფრონტაციის შეწყვეტა უნდა მოჰყოლოდა. მას უკვე მტკიცე შთაბეჭდილება ჰქონდა, რომ

'შეერთებული შტატების მთავრობას ირანთან მიმართებაში არანაირი პოლიტიკა არ გააჩნდა[6]'.

გასაკვირი არ არის, რომ ასეთ პირობებში ამერიკელთა იმედად ყოფნა ირანელ ოფიციალურ პირებს სასოწარკვეთის გრძნობას მხოლოდ უძლიერებდა. ისიც იოლი წარმოსადგენია, ელჩისა და გენერლის ურთიერთსაწინააღმდეგო მოხსენებები თეთრ სახლში რა თავსატეხს გამოიწვევდა. მოგონებებში ჰაიზერი გულახდილად წერს:

'უცნაურად მეჩვენა, რომ მაშინ, როცა პრეზიდენტის დავალების თანახმად ირანში ბახთიარის დასახმარებლად ყველაფერი უნდა მელონა, პრეზიდენტის მუდმივი წარმომადგენელი ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე უკვე დამარცხებაზე საუბრობდა[7]'.

ინსტრუქციების შესაბამისად, ის სამხედროების მხრიდან ბახთიარის მთავრობის მხარდაჭერის უზრუნველსაყოფ სამუშაოებს ენერგიულად შეუდგა. ამასობაში პრემიერმა თავისი სამოქმედო პროგრამა წარმოადგინა: დემოკრატიის დამკვიდრება, საეაქის დაშლა, ისლამური ნორმების დაცვა, სამღვდელოებისთვის პრივილეგიების დაბრუნება, პოლიტპატიმრების გამოშვება და დამნაშავე მოხელეების დასჯა. სანაცვლოდ მან სამოქალაქო სიმშვიდის აღდგენა ითხოვა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში კომუნისტების გამარჯვება ან ქვეყნის დაქუცმაცება გარდაუვალი ეჩვენებოდა. ამ მთავარი ამოცანის შესრულებაში ბახთიარი იმედს ჯარზე ამყარებდა, რომლის ხუთ წამყვან მეთაურთან ჰაიზერი ყოველდღიურ თათბირებს მართავდა. ორი მათგანი – აბას ყარაბაღი და ფლოტის სარდალი ჯამალადინ მირ ჰაბიბულაჰი რევოლუციურ ძალებთან შეთანხმების მომხრენი იყვნენ, ხოლო სახმელეთო ძალების ახალი სარდალი აბდულა-

ლი ბადრაიე, ავიაციის სარდალი ამირ ჰოსეინ რაბიი და თავდაცვის ვიცე-მინისტრი ჰასან თოუფანიანი შაჰის ხელისუფლების შესანარჩუნებლად აქტიურ მოქმედებას მოითხოვდნენ. განსაკუთრებული ენთუზიაზმით ძალისმიერ აქციას რაბიი ეკიდებოდა:

'თუ ქვეყნის გადარჩენა გახდება საჭირო, აუცილებელი ზომების გატარებას მე ვითავებ[8]';

განაცხადა მან თათბირზე ერთ დღეს. შესაძლო სამხედრო გადატრიალების შესახებ ხმები ერცელდებოდა, რომლის თანახმად სათანადო გეგმებს საპარაშუტო-სადესანტო ჯარების სარდალი მანუჩერ ხოსროუდადი და სახმელეთო ჯარების სარდალი ღოლამ-ალი ოვეისი ამუშავებდნენ.

მაგრამ გადატრიალების საკითხს არც ირანელი გენერლები წყვეტდნენ და არც მათი ამერიკელი კოლეგა. ჰაიზერისთვის მიცემულ ინსტრუქციებში ამგვარი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ვაშინგტონის კომპეტენციაში შედიოდა. ამდენად, ირანის ამაყი იმპერიული არმია ოკეანისგაღმიდან ბრძანების გაცემის მოლოდინში უნდა ყოფილიყო.

პარიზის გარეუბანში მყოფ ხომეინის კი ზურგს არც ჯარი უმაგრებდა და არც რომელიმე მოკავშირე სახელმწიფო. მაგრამ მის განკარგულებაში ხალხის მილიონიანი მასები იყვნენ. ევროპაში მისი შეძახილის მძლავრი ექო ირანულ ქალაქებში მუდმივად გაისმოდა. აიათოლა სიმბოლური ლიდერიდან რევოლუციური კამპანიის უკონკურენტო ხელმძღვანელად გადაიქცა. შაჰის წინააღმდეგ მიმდინარე შეურიგებელი ბრძოლა ახალ პრემიერ-მინისტრზეც გავრცელდა. შეუცველელ მთავარ ლოზუნგს ახალი დაემატა - 'ძირს შაჰის შვილი[9]'. ხომეინიმ თანდათან მითიური სტატუსი შეიძინა და თაყვანისცემის და ლოცვის ობიექტი გახდა: მას იმამს უწოდებდნენ, რაც შიიზმის ისტორიაში თორმეტი წმინდა იმამის შემდეგ არ მომხდარა; ყველაზე მხურვალე მომხრეები მისტიურ მაჰდის ადარებდნენ, რომელიც რელიგიური რწმენის თანახმად მე-IX საუკუნეში გამოქვაბულში გაუჩინარდა და დედამიწაზე მესიის სახით უნდა დაბრუნდეს; სხვა მხარდამჭერებმა იმამ მუსა ალ-ყაზიმის წინასწარმეტყველება გაიხსენეს – 'ყუმიდან წამოვა კაცი, რომელიც მის გარშემო დარაზმულ რკინასავით ძლიერ ხალხს ჭეშმარიტების გზაზე დააყენებს..' – და ის ხომეინის მიუსადაგეს; ირანელები ერთმანეთს უყვებოდნენ, მთვარეზე აიათოლას სახე როგორ დაინახეს და ა.შ. 14 წლის მანძილზე დევნილი ადამიანის მიმართ პიროვნების კულტის დამკვიდრება თურმე შესაძლებელი ყოფი-

ლა, თანაც იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობის ნახევარი 16 წელზე ნაკლები ასაკის იყო, 2/3 კი - 30 წელზე ნაკლები[10].

ასკეტურად მცხოვრებმა აიათოლამ თავის გარემოცვაში რამდენიმე ინტელექტუალი სამოქალაქო პირი დაიახლოვა:

- მეჰდი ბაზარგანმა განათლება პარიზში მიიღო, მოსადეყს თანაუგრძნობდა, 'ეროვნულ ფრონტში' გამორჩეული ადგილი ეკავა და ოთხჯერ იქნა დაპატიმრებული. ცნობილი იყო, როგორც მოაზროვნე და ფრთხილი ეტაპობრივი გარდაქმნების მომხრე;

აბულჰასან ბანისადრი აიათოლა ბანისადრის შვილი იყო, ასევე მოსადეყის იდეების მხარდაჭერით გამოდიოდა და ემიგრაციაში საფრანგეთში ცხოვრობდა. სორბონას უნივერსიტეტში ეკონომიკა შეისწავლა და 'ღვთიური ჰარმონიის ეკონომიკური თეორია' წამოაყენა, რომელსაც ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციისთვის ბოლო უნდა მოეღო;

იბრაჰიმ იაზდი ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე იყო, ჰიუსტონში 18 წლის მანძილზე ცხოვრობდა და სამედიცინო სფეროში მოღვაწეობდა, სადაც კიბოს დაავადებას იკვლევდა;

სადეყ ყოტბ-ზადეს განათლება ვაშინგტონის ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში ჰქონდა მიღებული და იაზდის მსგავსად ლიბანში შიიტების და პალესტინელების ბაზებზე ირანელ მებრძოლთა მომზადებას კურირებდა.

მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ეს პირები ხომეინის სახელით ფასდაუდებელი მნიშვნელობის მქონე თანამშრომლობას აწარმოებდნენ. თუმცა ჟურნალისტებთან შეხვედრებზე უარს არც აიათოლა ამბობდა. მრავალრიცხოვან ინტერვიუებში 77 წლის ხომეინი თავის მომავალ როლზეც საუბრობდა. ის აცხადებდა, რომ არც სურვილი გააჩნდა და არც ასაკი ან ჯანმრთელობა აძლევდა საშუალებას, რათა შაჰის წასვლის შემდეგ ქვეყნის მართვაში პირადი მონაწილეობა მიეღო:

> *'მე არ გავხდები პრეზიდენტი ან რაიმე სხვა თანამდებობის პირი, ხალხს კელაე მხოლოდ ზოგად მიმართულებას მივცემ'[1]*.

ხომეინი პოსტ-მონარქიულ ირანს ახასიათებდა, როგორც თავისუფალ საზოგადოებას, სადაც ჩაგვრის, სისასტიკის და ძალადობის ყველა გამოვლინება გამორიცხული იქნებოდა. ის ამბობდა, რომ სამღვდელოება მეჩეთში თუ სასულიერო სასწავ-

ლებელში დაბრუნდებოდა და იქიდან დაუჭერდა მხარს ისლამური მთავრობის პროგრესულ პოლიტიკას.

'ირანელმა ხალხმა სანდო და ნიჭიერი ადამიანები უნდა აღჭურვოს ძალაუფლებით',

– განმარტავდა ხომეინი ფრანგული 'ჟორნალის' კორესპონდენტთან საუბარში და თეოკრატიული მმართველობის სისტემაზე გადასვლის გეგმებს უარყოფდა. ეს განცხადებები ქვეყნის შიგნით ოპოზიციური სპექტრის კონსოლიდაციას ემსახურებოდა, საზღვარგარეთ კი რევოლუციის მეთაურს ზომიერი ღვთისმსახურის რესპექტაბელურ სახელს უქმნიდა, რაც შაპის წინააღმდეგ ბრძოლის ამ გადამწყვეტ ეტაპზე მაქსიმალურად ეფექტიანი იყო. აიათოლას ანტიკომუნისტური განწყობის გამო დასავლეთის ზოგიერთ წრეებში ირანში საკუთარი ინტერესების დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე მასთან საერთო ენის გამონახვის სურვილი გაჩნდა.

იანვრის პირველ დღეებში თეირანში დიდი რაოდენობით თოვლი მოვიდა, რასაც ყინული და მოზუზუნე ქარი დაემატა. ცხოვრება ჩამკვდარი იყო. 4 იანვარს ირანის დედაქალაქში ჩასულ ჰაიზერს ასეთი სურათი დახვდა:

'ქალაქი, სადაც ადრე ცხოვრება ჩქეფდა, ახლა სრულიად პარალიზებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ქუჩები გაუკაცრიელებულიყო, მანქანა, ავტობუსი ან მოტოციკლეტიც კი არ მოძრაობდა. ყველაფერი მყარად დაკეტილი იყო – მაღაზიის მფლობელებს კარები ჩაერაზათ, გაზეთები არ გამოიცემოდა, ბაზრები დაცარიელებული იყო, ტროტუარზე არავინ დადიოდა, ბენზინის გასამართ პუნქტებზე ბოქლომები ეკიდა, ყოველ მეორე ფანჯარაში აიათოლა ხომეინის სურათი ჩანდა... ჰაერში შიშისმომგვრელი დაძაბულობა იგრძნობოდა[12]'.

იანვრის დასაწყისში სხვადასხვა ქალაქებში მიმდინარე მოვლენების რამდენიმედღიანი ქრონიკის გაცნობა საკმარისია დაპირისპირების მასშტაბის აღსაქმელად:

1 იანვარს მეშჰედის კერძო კლინიკებიდან და საავადმყოფოებიდან მიღებული მონაცემების თანახმად 70 ადამიანი დაიღუპა და 200-მდე დაიჭრა;

2 იანვარს თეირანში ჯარის ნაწილებთან ახალ შეტაკებას მსხვერპლი მოჰყვა. ქერმანშაჰში და ყაზვინში არმიამ ცეცხლი გაუხსნა აქციის მონაწილეებს. მეშჰედში ათასობით ადამიანი მთავარ მეჩეთთან შეიკრიბა;

3 იანვარს დემონსტრანტებმა ქერმანშაჰში იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებულ რეგიონულ ოფისს ცეცხლი წაუკიდეს;
4 იანვარს საპროტესტო გამოსვლები შეტაკებებით დასრულდა შემდეგ ქალაქებში – ლორი, ლანგრუდი, მარაღე და ბუნაბი;
5 იანვარს 13 ადამიანი დაიჭრა ქალაქ მინაბში;
6 იანვარს თეირანში ხუთი ადამიანი დაიღუპა, ვარამინში – ოთხი, ბეჰშაჰრში – ორი, ბანეჰში – ორი;
7 იანვარს თეირანში იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებმა ხომეინის მხარდამჭერი დეკლარაცია მიიღეს. სახანძრო სამსახურის თანამშრომლებმა გამოაცხადეს, რომ 'კორუფციის ბუდეებში' ანუ სახელმწიფო უწყებებში ისინი ცეცხლს არ ჩააქრობდნენ. ეროვნული ავიახაზების გაფიცულმა თანამშრომლებმა აეროპორტებში აშშ-ს და ისრაელის თვითმფრინავების დაშვების აღკვეთის მზადყოფნა გამოთქვეს...
ბოლოს 16 იანვარიც დადგა. რადიოს და ტელევიზიის მეშვეობით ხალხმა შეიტყო, რომ გადაღლის გამო მონარქი დასასვენებლად საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა, ქვეყნის საქმეებს კი პარლამენტის მიერ უკვე დამტკიცებული ახალი მთავრობა გაუძღვებოდა. ჟურნალისტის კითხვას დასვენების ხანგრძლივობის შესახებ შაჰმა გულწრფელად უპასუხა: 'არ ვიცი, მართლა არ ვიცი[13]'. ფაჰლავის დედა და ოთხივე შვილი უკვე შეერთებულ შტატებში იმყოფებოდნენ, საითკენაც შაჰს ახლა გეზის აღება სურდა. ეს ფაქტი მიუთითებდა, რომ შვებულება ხანმოკლე არ უნდა ყოფილიყო. ნიავარანის სასახლეში და შემდეგ მეჰრაბადის აეროპორტში დამშვიდობების სცენებმა მტერ-მოყვარეს ეს აზრი მხოლოდ განუმტკიცა. შაჰისა და შაჰბანუს გაცილების დროს სამეფო კარზე მომსახურე პერსონალს შორის ზოგი ადამიანი გაოგნებისგან დამუნჯებული იყო, ზოგი ქვითინებდა, ზოგი კი შაჰს დარჩენას ემუდარებოდა. მძიმე სანახაობამ უემოციო ვერავინ დატოვა. თვითმფრინავის ტრაპთან პრემიერი ბახთიარიც კი თვალცრემლიანი იდგა. ძლიერი აღელვების მიუხედავად, შაჰმა პილოტის საეარძელი დაიკავა და ბოინგი 'შაჰინით' უკანასკნელი გაფრენა დაიწყო.

[1] უილიამ სალივანი, 'მისია ირანში', გვ.235
[2] მუჰამედ რეზა ფაჰლავი, 'პასუხი ისტორიას', გვ.171
შაჰი იქვე სარკაზმულად მიუთითებს, რომ ეროვნული ფრონტი მხოლოდ 27 კაცს აერთიანებს.
[3] იქვე, გვ.172

1945 წელს იალტაში II მსოფლიო ომში გამარჯვებული მოკავშირე ქვეყნების ხელმძღვანელები შეიკრიბნენ, რომლებმაც ევროპაში გავლენის სფეროები გაინაწილეს. იალტის შეხვედრა ისტორიაში მძლავრი სახელმწიფოების მიერ კულუარული გარიგების გზით სხვა ხალხების ბედის ეოლუნტარისტულად გადაწყვეტის სინონიმად იქცა.

[4] რობერტ ჰაიზერი, 'მისია თეირანში', გვ.85

[5] იქვე, გვ.78

[6] 'მისია ირანში', გვ.230

[7] და [8] 'მისია თეირანში', გვ.24 და 265

[9] სიტყვების თამაში: ბახთიარის სახელი შაჰფურ სპარსულ ენაზე შაჰის შვილს ნიშნავს.

[10] ფერეიდუნ ჰოვეიდა, 'შაჰის დაცემა', გვ.76

[11] 'მონდი', 1979 წლის 9 იანვარი

[12] 'მისია თეირანში', გვ.22

[13] ერიკ დურშმიდი, 'რევოლუციის სისხლი', გვ.346

შაჰის წასვლამ სანუგეშო ვერაფერი მოიტანა. არმია აღიარებული მთავარსარდლის გარეშე დარჩა, ოპოზიციას კი ბრძოლის ბოლომდე მისაყვანად მორიგი დამატებითი ძლიერი სტიმული მიეცა. გაფიცვები და დემონსტრაციები არ წყდებოდა. ახლა მთელი ყურადღება ნოფლ-ლე-შატოსკენ იყო მიპყრობილი.
1 თებერვალს 168 ადამიანის, ძირითადად უცხოელი ჟურნალისტების თანხლებით და ბახთიარის მთავრობისგან ნებართვის გარეშე ხომეინი 'ეირ ფრანსის' კუთვნილი თვითმფრინავით თეირანისკენ გამოფრინდა. შაჰის ორჭოფობა და დაბნეულობა ბახთიარს სრულად გადაედო: ერთი მხრივ, ხომეინის ის რეტროგრადული აზროვნების მქონე უმეცარ ადამიანს უწოდებდა, რომლის იდეები ნგრევის პათოსზე იყო დაფუძნებული. ასეთი პიროვნების ჩამოსვლა მას ცხადია არ სურდა, მაგრამ, როდესაც არჩევანის წინაშე აღმოჩნდა, საერთაშორისო სკანდალის შიშით დახურული აეროპორტის გახსნის განკარგულება გასცა. მან გადაჭრით უარყო რამდენიმე თავდადებული მონარქისტი ოფიცრის წინადადება თვითმფრინავის ჩამოგდების შესახებ. საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით პრემიერი იძულებულიც კი შეიქმნა, აიათოლას ესკორტისათვის იმპერიული სამხედრო-საჰაერო ძალების შვეულმფრენი უზრუნველყო.
ხომეინის დაბრუნებამ შაჰის ბოლო მთავრობის დასასრული დააჩქარა: 11 თებერვალს მომხდარი გადამწყვეტი შეიარაღებული შეტაკებების შედეგად ყველა სახელმწიფო დაწესებულება ერთმანეთის მიყოლებით რევოლუციონერების ხელში გადავიდა. ლტოლვილობის 18 თვის განმავლობაში მუჰამედ რეზა ფაჰლავის უბედურებამ მხოლოდ ახალი განზომილება შეიძინა. პირველი ექვსი დღე მან ეგვიპტეში დაჰყო, რომლის პრეზიდენტი ანვარ ალ-სადათი თავის მოკავშირეს განსაკუთრებული პატივისცემით მიეგება[1]. მომდევნო ორი თვე მან ჰასან II-ის მიწვევით მაროკოში გაატარა. აქედან ფაჰლავის სხვა ქვეყანაში გამგზავრება სურდა, მაგრამ ის სახელმწიფოს მეთაურები, რომლებიც წლების მანძილზე შაჰთან ახლო ურთიერთობით ამაყობდნენ, ახლა მას უარით ისტუმრებდნენ. საფრანგეთი, ბრიტანეთი, აშშ და შვეიცარია ამ სიაში პირველები აღმოჩნდნენ.
ამასობაში თეირანში შექმნილმა ისლამურმა რევოლუციურმა ტრიბუნალმა შაჰს დაუსწრებლად სიკვდილი მიუსაჯა და განაჩენის სისრულეში მოსაყვანად 131 ათასი დოლარის ოდენობით ჯილდო დააწესა. მოლები დაიმუქრნენ, რომ მუჰამედ რეზას

მსოფლიოს ნებისმიერ წერტილ'ში იპოვნიდნენ და მოკლავდნენ. პარალელურად, ახალი ხელისუფლების მიერ დაქირავებულმა ფრანგმა და არგენტინელმა ადვოკატებმა შაჰის დანაშაულობების შესახებ 450 გვერდიანი მოხსენება მოამზადეს და ეჭვემიტანილის გაცემა მოითხოვეს. იმ პირობებში, როცა ირან'ში დარჩენილი მონარქისტების წინააღმდეგ მასობრივი დახვრეტები დაიწყო, პირადი უსაფრთხოება ფაჰლავის პირველხარისხოვანი ამოცანა გახდა. შექმნილი ვითარების გამო შაჰს ხანგამოშვებით სასოწარკვეთა ეუფლებოდა, რომლის დაფარვას ის მაქსიმალურად ცდილობდა, მაგრამ ფარაჰი საერთო ემოციებს პირად დღიურ'ში აღწერდა:

'მირჩევნია ჩემი ქვეყნისთვის ღირსეულად მოვკვდე, ვიდრე სიკვდილამდე დეპრესიამ მიმიყვანოს'.

კისინჯერის და როკფელერის დახმარებით შემდეგი ორი თვის განმავლობაში შაჰი ბაჰამის კუნძულებზე გაჩერდა, საიდანაც მექსიკაში გაემგზავრა. აქ მას პირადად მოუხდა შესაფერისი სახლის მოძიება, სამზარეულო და საძინებელი ოთახების შედარება თუ ლოდინი, როცა ამას სახლის მფლობელი ითხოვდა. პრობლემები შაჰის სამ უმცროს შვილსაც შეექმნა. ნიუ-იორკის სკოლების ადმინისტრაციები უსაფრთხოების მოტივით ბავშვების მიღებაზე უარს ამბობდნენ.

მექსიკაში მუჰამედ რეზამ მოგონებებზე დაიწყო მუშაობა, რომელიც მომდევნო ზაფხულში გამოიცა მრავალისმეტყველი სათაურით 'პასუხი ისტორიას'. მაგრამ სასიკვდილო ავადმყოფობამ უკვე მწვავე ფორმა მიიღო, რამაც ოპერაციის ჩატარება გარდაუვალი გახადა. ფაჰლავი იმდენად აღშფოთებული იყო მის მიმართ ამერიკელი მაღალჩინოსნების დამოკიდებულებით, რომ შეერთებულ შტატებში ჰოსპიტალიზაცია არ სურდა:

'იმის შემდეგ, რაც მე გამიკეთეს, რომც დამიჩოქონ, იქ მაინც არ წავალ'.

თუმცა საბოლოოდ პოლიტიკური სიმპათია სამედიცინო მომსახურების ხარისხის არგუმენტმა გადაწონა. კარტერის ადმინისტრაციამ, რომელმაც ჰაჰისათვის თავშესაფრის მიცემა მანამდე არამიზანშეწონილად მიიჩნია, ახლა ჰუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარე მას სპეციალურად ქვეყნის საზღვარი გაუხსნა. მაგრამ თეირანში ხომეინის მომხრეებმა ეს გადაწყვეტილება პოლიტიკურ ნაბიჯად აღიქვეს და ამერიკული საელჩოს შენობა შტურმით აიღეს. 52 დიპლომატი 444 დღის განმავლობაში ტყვეობა'ში დარჩა, რამაც აშშ-ს პრესტიჟს უმძიმესი დარტყმა მიაყენა, ხოლო კარტერის კარიერის დასრულებაში გარდამტეხი რო-

ლი შეასრულა. ვინაიდან ისლამისტების მოთხოვნა შაჰის ეჭ-სტრადირება იყო, ფაჰლავის მომავალი ბედი სხვადასხვა ვარაუდების და სპეკულაციების საგნად იქცა. ორ ქვეყანას შორის კრიზისის აღმოსაფხვრელად საერთაშორისო ტრიბუნალის იდეაც წარმოიშვა, თუმცა კარტერმა თავისი მოქალაქეების კეთილდღეობა ყოფილი მეგობრის სიცოცხლეზე არ გაცვალა.

არაერთი უსიამოვნება მუჰამედ რეზას ნიუ-იორკის კლინიკაში ელოდა. ადგილობრივმა ირანელებმა საპროტესტო აქცია გამართეს და ლოზუნგს 'სიკვდილი შაჰს' ჰოსპიტლის ფანჯრებთან სკანდირებდნენ. უსაფრთხოების გაძლიერებული ზომები დაძაბულობას და ნერვულ ატმოსფეროს იწვევდა, ყოველ ნაბიჯზე ჩასაფრებული ჟურნალისტებიც ავადმყოფის გარშემო დიდ დისკომფორტს ქმნიდნენ. თვით ოპერაციის ჩატარების პროცედურები საქმის მცოდნე მედიკოსებმა არცთუ ერთგვაროვანად შეაფასეს.

მკურნალობის დასრულების შემდეგ ფაჰლავი მცირე ხნით პანამამ შეიფარა, მაგრამ გაზაფხულზე ელენთის ამოკვეთის აუცილებლობა წარმოიშვა. შაჰი იძულებული გახდა, ეგვიპტეში დაბრუნებულიყო. მორიგი ოპერაციის დროს მას კიბოთი ინფიცირებული უჯრედები ღვიძლშიც აღმოაჩნდა. ის ფიზიკურად ძალიან დასუსტდა. ალ-სადათის მეუღლის თქმით,

> *'შაჰს სიარული უჭირდა, ისეთი გამხდარი იყო, რომ ტანსაცმელი მის ტანზე ორჯერ დიდი მოჩანდა, სახე ნაცრისფერი ჰქონდა'*[4].

აღსასრული 1980 წლის 27 ივლისს დადგა.

ირანულმა მოვლენებმა მძლავრი გამოძახილი ჰპოვა და ბევრი სხვადასხვა ინტერპრეტაცია დაიმსახურა. დაუყოვნებლივი რეაქცია უმეტესწილად დადებითი იყო. ირანული რევოლუცია, ფრანგულის და რუსულის მსგავსად, მსოფლიოში ყველაზე გამორჩეულ რევოლუციათა რიცხვში შეეიდა. მათ შორის ბევრი მსგავსებაც შეინიშნება და განსხვავებაც. მაგრამ თუ სახალხო გამოსვლების სპონტანურობამ ლუი XVI და ნიკოლოზ II შოკში ჩააგდო, თეირანში მონარქიის დამხობა ხანგრძლივი ბრძოლის შედეგი იყო, სადაც ეკონომიკური, პოლიტიკური, რელიგიური და საინფორმაციო ბერკეტების მეშვეობით საზოგადოების დიდი ნაწილის ადამიანური და შემოქმედებითი რესურსი იქნა გამოყენებული. განსხვავებული ეპოქის მიუხედავად, რევოლუციური იდეები ზოგ შემთხვევაში იდენტური მოჩანდა. მაგალითად, უკლასო სამართლიანი საზოგადოების დამყარება ხომეინის ერთ-ერთი ძირითადი დევიზი იყო:

'ყველანი – უფროსები და ქვემდგომები, უწყებათა წარმომადგენლები და ვაჭრები, რელიგიური მოღვაწეები და სტუდენტები, დამსაქმებლები და დასაქმებულები ერთმანეთის მიმართ ძმები და თანასწორები იქნებიან. სრულიად ნათელია, რომ მათ შორის ძმობა იბატონებს, არ მოხდება კონფლიქტები თანამდებობის, წოდების და სიმდიდრის გამო, რადგან თითოეული ადამიანის ქონება ყველა დანარჩენის განკარგულებაში იქნება[5]'.

მომხიბლავ იდეებს ირანელები აღფრთოვანებით იტაცებდნენ. რევოლუციის მონაწილეებში ღრმად იყო ფეხმოკიდებული რწმენა იმის შესახებ, რომ მონარქის მოშორების შემდეგ უსამართლოდ დევნილი ღვთისმსახური მსოფლიოში უნიკალურ საზოგადოებრივ სისტემას დააფუძნებდა.

მუჰამედ რეზა კი, მამისგან განსხვავებით, ძლიერ პიროვნებას არ წარმოადგენდა. ვერც შიშით და ვერც ნებაყოფლობით ხალხმა ის ვერ შეიყვარა. კრიზისის პერიოდში შაჰი საზოგადოების მხრიდან რამდენადმე მნიშვნელოვან მხარდამჭერ აქციასაც კი ვერ ეღირსა. ფაჰლავი იდეალისტი იყო. მას სწამდა, რომ 'დიადი ცივილიზაციის' გეგმით განსაზღვრული მატერიალური კეთილდღეობის დაპირება ირანელებს მის გარშემო გააერთიანებდა. როცა ეს მოლოდინი არ გამართლდა და ქუჩაში ერთი მუჭა რეაქციონერების ნაცვლად შაჰმა მრავალათასიანი საპროტესტო კოალიციის არსებობა დაინახა, ის დაიბნა. უბედურებათა მთელი სერია მის ყოყმანს, არაადეკვატურობას და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების უუნარობას მოჰყვა. სადაც დრამატიზების საჭიროება არ არსებობდა, შაჰი სიმკაცრეს მოითხოვდა, ქირურგიული ჩარევის აუცილებლობის დროს კი პირველადი დახმარების ღონისძიებებს მიმართავდა. თავდაპირველი გადაჭარბებული თვითრწმენა საბოლოოდ მოქმედების პარალიჩში გადაიზარდა. აშშ-ს ფინანსთა მინისტრ მაიკ ბლუმენთალს შაჰთან გვიან შემოდგომაზე გამართული შეხვედრის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ 'იგი აღარ ფუნქციონირებდა[6]'. ოპოზიციისადმი დათმობები ან ძალიან მცირე იყო ან ძალიან დაგვიანებული და ისიც ძირითადად ფაჰლავის მდგომარეობის სიმყიფეს წარმოაჩენდა. თვალსაჩინო იყო, რომ უცხოეთიდან გაუღერებულ აზრებს ის გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობდა, ვიდრე საკუთარი თანამემამულეების თვალსაზრისს. ამ უკანასკნელთა შორის მისი მხურვალე მხარდამჭერი მაღალჩინოსნებიც შედიოდნენ, რომელთაც მონარქის მიმართ გულ-

ფრფელი თაყვანისცემა დიდი იმედგაცრუებით შეეცვალათ. ექსპრემიერ ამინის შეფასებით, პრობლემა შაჰში მდგომარეობდა, რომელსაც სიმართლის მოსმენა არ უყვარდა.

'შაჰი მის მიერ დაწინაურებულმა მლიქვნელმა მოხელეებმა იზოლაციაში მოაქციეს'[7];

- განუცხადა მან უცხოელ ჟურნალისტს. თავისი მმართველობის მიწურულს მუჰამედ რეზას მხოლოდ რამდენიმე თანამოაზრე შემორჩა. ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში ფერეიდუნ ჰოვეიდას მიერ გამოცემული წიგნი 'შაჰის დაცემა' მონარქის მიმართ ისეთი ნეგატიური ტონით არის გაჯერებული, თითქოს ავტორი არა მრავალი წლის მანძილზე გაეროში მისი წარმომადგენელი, არამედ 'ეროვნული ფრონტის' სტაჟიანი აქტივისტი ყოფილიყოს. თავისი უკმაყოფილება არც პრემიერის თანამდებობაზე საგრძნობი ავტონომიური უფლებებით აღჭურვილმა შარიფ-ემამიმ დამალა. მან შაჰს მართვის სტილი დაუწუნა, კერძოდ, ნდობის სიმწირის გამო ქვემდგომებისათვის უფლებამოსილების არასაკმარისი დოზით დელეგირებას გაუსვა ხაზი[8]. თუმცა განსაკუთრებით საგალალო მდგომარეობაში სამხედროები აღმოჩნდნენ. თავისი უპირობო ერთგულების დემონსტრირების სურვილის მიუხედავად, წინააღმდეგობრივი ინსტრუქციების პირობებში ჯარის სარდლობა ეფექტური როლის შესასრულებლად უძლური აღმოჩნდა. გამგზავრების წინ შაჰთან ბოლო შეხვედრისას გენერლებმა მისგან გადამჭრელი მოქმედებების ნებართვა ითხოვეს. მაგრამ, ადმირალ ჰაბიბულაჰის თქმით, შაჰმა პასუხისმგებლობის აღებაზე უარი განაცხადა ქვეყანაში თუნდაც მისი არყოფნის დროს და სამხედროების წარმატების შემთხვევაში მხოლოდ დაბრუნების პირობა დადო[9].

ფაჰლავი 1953 წლის 19 აგვისტოს მოვლენების მძევალი აღმოჩნდა. ამერიკელთა ძლევამოსილების და ყოვლისშემძლეობის მიმართ მას ფატალური რწმენა ჰქონდა ჩამოყალიბებული. დროთა განმავლობაში ის ეჭვიანობდა, თითქოს იბუტებოდა, კრიტიკულ აზრებს გამოთქვამდა და პირად საუბრებში ამერიკული პოლიტიკის მარცხის მაგალითები მოჰყავდა (კუბა, ვიეტნამი). შეშფოთების საბაბიც ჰქონდა: ბრიტანული რადიოკორპორაცია 'ბიბისის' სპარსულენოვანი სამსახური ოპოზიციის რუპორად იყო გადაქცეული, საფრანგეთიც შესაშურ შემწყნარებლობას იჩენდა თავისი ტერიტორიიდან ირანის მოქალაქის არცთუ მშვიდობიანი მოწოდებების მიმართ, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ პოლიტიკური დევნილის სტატუსი აიათოლას არ გა-

აჩნდა. ფაპლავის ეჯვი ღრღნიდა, რომ ევროპის ამ ქვეყნების არამეგობრული ქცევის უკან თეთრი სახლის ინტერესები იდგა.

'არ მჯერა, რომ ირანის უბედურება ამერიკის მთავრობის არაშორსმჭვრეტელურმა პოლიტიკამ, პოლიტიკის არქონამ ან შიდაკონფლიქტებმა განაპირობა',

- წერს ის მოგონებებში და ეარაუდობს, რომ ვაშინგტონს მისი მოცილება მტკიცედ სურდა[10]. მაგრამ სამოქალაქო დაუმორჩილებლობის დღეებში ის ხსნას მხოლოდ ამერიკელებისგან ელოდა. ნებისმიერ მნიშვნელოვან საკითხზე რჩევას ელჩ სალივანს ეკითხებოდა, ათანხმებდა გასატარებელ ზომებს, წინასწარ სურდა გაეგო ადმინისტრაციის აზრი მისი სამომავლო გეგმების თაობაზე. კარტერი მიუთითებდა, რომ

'შაპი სულ უფრო დათრგუნული და დაბნეული მოჩანდა, მაგრამ მას მხრებზე თავი ჰქონდა'.

ამიტომ პრეზიდენტს მიაჩნდა, რომ ვითარების გამოსწორება თავად შაპს უნდა მოეხერხებინა[11]. ის მონარქს არწმუნებდა, რომ კრიზისის გადასაჭრელად მის ნებისმიერ გადაწყვეტილებას მოიწონებდა, თუმცა ფაპლავი ეტყობა მეტს ელოდა. კარტერი საშინაო და საგარეო პრობლემების სიმცირით არც თავად იყო განებივრებული, ამიტომ საოცრების მოხდენა მას არ შეეძლო. ამასთან, უწყებათაშორისი დაპირისპირების გამო ირანთან დაკავშირებით მოქმედების კონკრეტული გეგმა მას უბრალოდ არ ჰქონდა. შაპი მისთვის თანდათან თავსატკივრად იქცა. საბოლოო ჯამში, პრეზიდენტის იმპერატივს არა ირანის მონარქის, არამედ აშშ-ის ინტერესების სადარაჯოზე დგომა წარმოადგენდა.

შაპმა ვითარების ობიექტური შეფასება ვერ შესძლო. საკუთარი გენერალიტეტის მიმართ მისი ბოლო ბრძანება ჰაიზერისადმი მორჩილება იყო. ამერიკელი სამხედრო პირისადმი ფაპლავის ბრმა რწმენა, ხოლო შაპისადმი ირანელი გენერლების უსიტყვო მხარდაჭერა უაღრესად ტრაგიკული შედეგების მომტანი აღმოჩნდა: შეიარაღებული ძალების უმაღლესი სამეთაურო შემადგენლობის 30% ისლამურ ტრიბუნალებს შეეწირა[12].

ახალი ხელისუფლება საფუძვლიანად განსხვავდებოდა წინამორბედისგან, მათ შორის ჰუმანიზმის იდეების სრული უგულებელყოფით იმ მომენტში, როცა დღის წესრიგში თავისი ყოფნა-არყოფნა იდგა. ხომეინის სიტყვები –

'თუ მოლების რეჟიმის დასამყარებლად 50 ათასი კაცის დახოცვა იქნება საჭირო, ჩვენ ამას გავაკეთებთ![13]',

– მხოლოდ შიშისმომგვრელი მუქარა არ იყო. სასულიერო პირების მიერ ძალაუფლებაზე სრული მონოპოლიის მოპოვებას ორწელიწადნახევარი დასჭირდა, რომლის მანძილზე მონარქიის და მეშარცხენე შეიარაღებული დაჯგუფებების მხარდაჭერაში ბრალდებული მრავალი ათასი ადამიანი, მათ შორის 15-16 წლის ბავშვები, სიკვდილით იქნა დასჯილი. ახალმა ირანმა ფრანგულ-რუსული რევოლუციური ტრადიცია არ დაარღვია და ყველა სახის ორგანიზებული წინააღმდეგობა ფართომასშტაბიანი ტერორის მეშვეობით წელში გადატეხა. ამდენად, მცდარი აღმოჩნდა ყარაუდი იმის შესახებ, რომ სახელისუფლო მართვის ტექნოლოგიების არმცოდნე ახუნდები ძალაუფლებას მოკლე დროში დაკარგავდნენ.

შაჰის ტრაგიკული დასასრულის გადამწყეტი მიზეზი არც დესპოტიზმი იყო და არც პროამერიკული პოლიტიკა, რადგან სპარსეთის ყურის პირას მდებარე ზოგიერთი არაბული სახელმწიფო ამ მხრივ ირანს არაფრით ჩამოუვარდებოდა. 1960-70 წწ. მთელი რეგიონისთვის ეკონომიკური ბუმის მომასწავებელი აღმოჩნდა. მაგრამ არც ერთ სხვა ქვეყანაში საზოგადოებრივი რევოლუცია არ მომხდარა. ემირებმა თუ შეიხებმა რაციონალური ბალანსირების მეშვეობით შიდასტაბილურობის შენარჩუნებაც შესძლეს და ამავე დროს ვაშინგტონის მოკავშირეებადაც დარჩნენ. ირანში კი მდგომარეობა სხვაგვარი იყო. ორჯერ, 1905 და 1953 წლებში, ფაროთ ფენები შეეცადნენ, რათა მონარქია კონსტიტუციურ ჩარჩოებში მოექციათ, ამიტომ ლიბერალური ფასეულობებისთვის ბრძოლა ირანელებისათვის უცხო არ იყო. მეორე მხრივ, ბოლო 13 საუკუნის განმავლობაში მათი ყოფა-ცხოვრება შიიტური ისლამის პრინციპებზე იყო დაფუძნებული. ეკონომიკური აღორძინების პერიოდში ბევრ ადამიანს მძაფრი შეგრძნება გაუჩნდა, რომ უდავოდ შთამბეჭდავი სოციალური პროგრესი ამავე დროს მათი ტრადიციული ცხოვრების წესს ძირს უთხრიდა და დასავლურ კულტურაზე დაფუძნებული 'ახალი ირანელის' შექმნის იდეას ემსახურებოდა. წინა საუკუნეების მსგავსად შიიზმი კვლავ საბრძოლო ბაირაღად გადაიქცა, რომელმაც მიჩნობრივ ალიანსში სხვადასხვა მიზეზით შესული ადამიანები შეკრიბა. საბოლოოდ, მონარქიისათვის სასიკვდილო ზარი სამღვდელოებამ შემოჰკრა.

მუჰამედ რეზა ფაჰლავის პიროვნული ტრაგედია ყოვლისმომცველი იყო: შაჰის თვალწინ დასამარდა მის მიერ ნალოლიავები არაერთი გეგმა და პროექტი, რომელიც ირანის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას უკავშირდებოდა; ახალმა ხელისუფ-

ლებამ რეზას ნეშტი გაანადგურა, ფაპლავთა მთელი ქონების კონფისკაცია მოახდინა, შაპს და მისი ოჯახის წევრებს, მათ შორის ძმას, დას და მეუღლეს, სიკვდილი მიუსაჯა და მათ მოსაკლავად ნადირობა გამოაცხადა[14]; მუჰამედ რეზას მიერ იდეალიზებული ქურუშის ყველაზე დიდი მემკვიდრეობა, 25 საუკუნოვანი სამეფო ინსტიტუტი ისტორიის კუთვნილებად გადაიქცა.

ჩვენ ირანის წმინდა მიწაზე დავიბადეთ და ბოლოს მისი ნაწილი გავხდებით[15];

- ამბობდა ის 1976 წელს რეზა შაპის საფლავთან დინასტიის 50 წლის აღსანიშნავ ცერემონიალზე. მაგრამ ბედი გულმოწყალე არც ამ საკითხში აღმოაჩნდა. ფარშევანგის ტახტზე ყოფნისას საქვეყნოდ პატივცემულმა შაპინშაპმა სიცოცხლის ბოლო თვეები სამშობლოსგან შორს თითქმის ყველასგან ათვალწუნებულ განდეგილად გაატარა. თანაგრძნობას ის ვერც სიკვდილის შემდეგ ეღირსა: ვაშინგტონში დიპლომატიური სკანდალის მოგვარების იმედად შვებით ამოისუნთქეს, ირანის ქალაქებში კი ზარ-ზეიმი გაიმართა.

[1] ალ-სადათის მიერ კემპ-დევიდში ისრაელთან სეპარატული სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერას, რომლის გამო არაბულ სამყაროში ეგვიპტე სრულ იზოლაციაში აღმოჩნდა, თეირანი დაუფარავი მოწონებით შეხვდა.

[2] ფარაპ ფაპლავი, 'მარადიული სიყვარული', გვ.307

[3] იქვე, გვ.324

[4] იქვე, გვ.369

[5] დ.ჟუკოვი, 'ირანის თაზე ცა ნათელია', გვ.122

[6] ფერეიდუნ პოვეიდა, 'შაპის დაცემა', გვ.120

[7] 'ნიუიორკერი', 1978 წლის 18 დეკემბერი
ჟურნალ 'თაიმის' 1979 წლის 10 დეკემბრის გამოცემის თანახმად, შაპმა ამ მოსაზრების სისწორე ალ-სადათთან საუბარში აღიარა: 'ჩემმა მრჩეველებმა ხალხსა და ჩემს შორის კედელი აღმართეს. თავდაპირველად ეს ვერ გავაცნობიერე, მაგრამ, როცა გავიღვიძე, ხალხი უკვე დაკარგული მყავდა'.

[8] ჯაფარ შარიფ-ემამი, 'მისი უდიდებულესობის სამსახურში', 1999

[9] აფშინ აფშარი, 'შაპი და ხალხი', 2005

[10] მუჰამედ რეზა ფაპლავი, 'პასუხი ისტორიას', გვ.24

[11] ს.აგაევი, 'ირანი წარსულსა და მომავალს შორის', 1987, გვ.22

[12] 'ვაშინგტონ პოსტი', 1980 წლის 13 იანვარი
დახვრეტები 15 თებერვალს დაიწყო. სიკვდილმისჯილთა პირველ ჯგუფში ნასირი, რაბიი და ხოსროუდადი აღმოჩნდნენ. ყველაზე ხმაურიანი განაჩენი ტრიბუნალმა ყოფილ პრემიერ-მინისტრს ამირ აბას ჰოვეიდას გამოუტანა, რომელსაც ბრალდების 17 პუნქტი პქონდა წაყენე-

ბული. მათ შორის 'დედამიწაზე კორუფციის დათესვა' და 'ღმერთის წინააღმდეგ ბრძოლა'.

[13] აბულჰასან ბანისადრი, 'ჩემი სიტყვა', 1991, გვ.138

[14] პირველი მსხვერპლი აშრაფის შვილი შაჰრიარ შაფიყი აღმოჩნდა, რომელიც 1979 წლის დეკემბერში პარიზის ქუჩაში იქნა მოკლული. საფრანგეთის დედაქალაქში, სადაც ახლა უკვე მოლებისგან დევნილი პოლიტიკური ემიგრანტები დამკვიდრდნენ, მოგვიანებით თავდასხმების შედეგად გენერალი ღოლამ-ალი ოვეისი და ექს-პრემიერი შაპფურ ბახთიარი დაიღუპნენ.

[15] 'მარადიული სიყვარული', გვ. 262.